

X 197 698  
3

16036780  
სსრკ ბიბლიოთეკა

მ. ღორთქიფანიძე

არგონავტიკა  
და  
კველი კოლხეთი



ქართული  
ლიბრთეკა


ღ ღორთქიფანიძე

არგონავტიკა

და



კველი კულხეთი



გამომცემლობა „საბოთო საქართველო“  
თბილისი — 1986

000000

არგონაეტების ლაშქრობა კოლხეთში ოპროს საწმისისათვის ძველი ვილიის ერთ-ერთი ყველაზე სახელგანთქმული და პოპულარული მითია, რომლის სიუჟეტებიც ახლაც საყოველთაო ინტერესს იწვევს. იმ ლაშქრობის რეალობის დასამტკიცებლად ექსპერიმენტული მოგზაურობა განახორციელა ცნობილი ინგლისელმა მწერალმა-მეცნიერმა ტიმ სევერინმა.

წიგნში მეცნიერულ-პოპულარულადაა გადმოცემული ბერძნული მითის სიუჟეტი, მისი გენეზისი და რეალობის პრობლემა, არგონაეტების მოგზაურობის მარშრუტი. არქეოლოგიური აღმოჩენების საფუძველზე წარმოგვნილია ძველი კოლხეთი — აია. დახასიათებულია არგონაეტების უმთავრესი პერსონაჟები (აიეტი, მედეა) და მათი ასახვა ბერძნულ ლიტერატურისა და სხვათა ხელოვნების ძეგლებში. დიდი ადგილი ეთმობა „ოპროს საწმისის“ რაობას და ძველი კოლხეთის „ოქრომრავლობას“.

რეცენზენტი პროფ. რ. გორდუზიანი


869.698  
K 197.691

1905020000 — 062

Л ————— 211 — 86

M 601(08) — 86

© გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1986



## წიგანები

„თუ როგორ იყო სახელგანთქმული ძველად ეს ქვეყანა, ცხადყოფენ ამას მითები, რომლებიც მოგვითხრობენ იასონისა და ამაზე უწინ კი ფრიქსეს ლაშქრობაზე“

ასე წერდა ჯერ კიდევ თითქმის ორი ათასი წლის წინ კოლხეთის შესახებ ძველი მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე უფრო გამოჩენილი გეოგრაფოსი და ისტორიკოსი სტრაბონი<sup>1</sup>. სახელოვან ბერძენ მეცნიერს არგონავტების შესახებ თქმულება ნამდვილ ამბად მიაჩნდა და თავგამოდებით ეპაექრებოდა თავის წინამორბედს, ძვ. წ. II ს-ის ცნობილ ბერძენ ისტორიკოსსა და გრამატიკოსს დემეტრიოს სკეპსიელს: „უფიცავ ზეკსს, რომ ნამდვილად იყო ეს შირეული მოგზაურობა, ისევე როგორც ოდისევსისა და მენელაოსისა<sup>2</sup>, რომელთა შესახებ ახლაც მიუთითებენ და ირწმუნებიან ჯერ კიდევ ჰომეროსის ნაწარმოებების დროიდან. აიას ხომ მიგვითითებენ ფასისტან, ხოლო აიექტი რომ კოლხეთში მეფობდა, სარწმუნოა! იქაურებში ეს სახელი ადგილობრივია... რაც იასონს გადახდა თავს, არგოსა და არგონავტებს, ყველანი ერთი აზრისა არიან ამის შესახებ და ნუთუ ჰომეროსმა გამოიგონა ოკეანეში აიექთან მგზავრობა და არავითარი ისტორიული საფუძველი არსაიდან აუღია?“

არგონავტების შესახებ ბერძნული მითი მართლაც საყოველთაოდ იყო ცნობილი და ჰომეროსიდან მოკიდებული საოცრად პოპულარული მთელს ანტიკურ სამყაროში. ამ თქმულების საფუძველზე არაერთმა ბერძენმა თუ რომაელმა ხელოვანმა, პოეტმა თუ დრამატურგმა, მხატვარმა თუ მოქანდაკემ შექმნა თავისი ნაწარმოებები. საკმარისია დავასახელო გამოჩენილი მწერლები — ჰესიოდე და ევმელოს კორინთელი, დიდი ბერძენი ტრაგიკოსები ესქილე, სოფოკლე და ევრიპიდე, უცნობი ხელოვანი, დელფოში რომ სიკიონელთა საგანძურის ფრიზი გამოაქანდაკა<sup>3</sup> და შესანიშნავი ათენელი მხატვარი-კერამიკოსი დურისი, ლირი-

ვოსი პოეტები მიმწერმე, ანაკრეონტი და პინდარე, ელინისტური ეპოქის<sup>4</sup> პოეტი და მეცნიერი აპოლონიოს როდოსელი, საბელგანთქმული რომაელი პოეტი და მოაზროვნე სენეკა და კიდევ სხვა მრავალი უდიდესი მადაა აღიარებული, რომ ანტიკურ ლიტერატურაში იმდროინდელი კოლხეთში ოქროს საწმისისათვის ლაშქრობა ტროის ომის შემდეგ ყველაზე უფრო საბელგანთქმული ამბავია.

ბერძნული მითი არგონავტების შესახებ ძალზე პოპულარული იყო და არის ანტიკური პერიოდის მერმეც და ახლაც. საინტერესოა, რომ XVIII საუკუნის ცნობილი ფრანგი დრამატურგი პიერ კორნელი — ავტორი ტრაგედიისა „მედეა“ — წერდა: „ანტიკურობას არ შემოუნახავს ჩვენთვის სხვა რამ ამბავი უფრო საყოველთაოდ ცნობილი, ვიდრე არგონავტების მოგზაურობაა“. არგონავტიკის თემაზე 1820 წელს ავსტრიელმა ფრანც გრილბარცერმა შექმნა დრამა, რომელიც სამ ნაწილად იყო ლექსად წარმოდგენილი: „სტუმართმოყვარე“, „არგონავტები“ და „მედეა“. ცნობილია სხვა მხატვრულ-დრამატული და ფერწერული ნაწარმოებებიც ევროპულმა ხელოვნებამ რომ შექმნა XIX და XX საუკუნეებში<sup>5</sup>, მაგრამ მათ შესახებ საუბარი ახლა ძალზე შორს წაგვიყვანდა...

არგონავტების ოქროს საწმისისათვის ლაშქრობის შესახებ ბერძნული თქმულება მკვიდროდაა დაკავშირებული ჩვენ ქვეყანასთან — ძველ კოლხეთთან<sup>6</sup>, რომელიც დღევანდელ დასავლეთ საქართველოს მიწა-წყალს მოიცავდა, ხოლო მისი ისტორია საქართველოსა და ქართველი ხალხის ერთიანი ისტორიის განუყოფელი ნაწილია. ამიტომაც საქართველოში თქმულება არგონავტების მოგზაურობის შესახებ და მასთან ერთად საუკუნეების მანძილზე შექმნილი მითოლოგიურ-მხატვრული სიუჟეტები და სახეები (განსაკუთრებით — კოლხთა მეფის ასული მედეა) ძველთაგანვე იზიდავდა ქართველი კაცის ყურადღებას და აცხოველებდა ინტერესს ბერძენთა და ქართველთა უძველესი ხანის ურთიერთობათა მიმართ.

ქართულ ფილოლოგიურ სამეცნიერო ლიტერატურაში ამჟამად კარგადაა შესწავლილი და ნაჩვენები, რომ მითს არგონავტების შესახებ იცნობდა (უპირატესად ბიზანტიური წყაროების გზით) უკვე ძველი ქართული მწერლობა (ექვთიმე ათონელი, ეფრემ მცირე). არგონავტთა მითის სხვადასხვა ვერსიები გადმოცემულია XVIII—XIX საუკუნეებში შექმნილ „მითოლოგიურ კრებულებში“, რომელნიც ხელნაწერების სახითაა დაცული<sup>7</sup>.



ქართულ ისტორიკოსთაგან არგონავტებას შესახებ თქმულებას იხსენიებს XVIII საუკუნის დიდი მეცნიერა ვახუშტი ბაგრატიონი. „ხოლო ესე ოდისი ისახელა ორითა სახელითა: პირველად მეგრელნი, რამეთუ ევროს აღაშენა ქალაქი და უწოდა ევრი. ამას სწერენ ევრო-ველნი კოლხიდად, სადიდამ იაზონ წარილო ოქროს რუნი ანუ საწმისი. არამედ ჭალაქი აგი აქა არსად მოიპოვების, არცა მატთანე ჩუენი მოიხსენიებს მას“<sup>8</sup>.

საკმაოდ ვრცელადაა გადმოცემული თქმულება არგონავტების შესახებ იონანე ბატონიშვილის „კალმასობასა“<sup>9</sup> და თეიმურაზ ბატონიშვილის წიგნსა „ივერიის ისტორია“<sup>10</sup>. ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში კი პირველად აკაკი წერეთელმა გადმოსცა. მას ეკუთვნის ათმარცვლოვანი ლექსით გამართული დრამატული პოემა „მეღია“, რომელიც ავტორს სამ ნაწილად ჩაუფიქრებია („მეღია კოლხიდაში“, „მეღია ელადაში“, „მეღია სამშობლოში დაბრუნებული“), მაგრამ მხოლოდ პირველის დაწერა მოუსწრია<sup>11</sup>. აკაკის „მეღია“ რამდენადმე განსხვავდება თავისი შინაარსითა და კონცეფციით არგონავტიკის ჩვენთვის ცნობილი ვერსიებისაგან. ამასთან კარგად ჩანს, რომ ავტორს ღრმად შეუსწავლია არგონავტიკასთან დაკავშირებული ანტიკური ხანის წყაროები (აპოლონიოს როდოსელის, სტრაბონის, აპიანესა და სხვათა თხზულებები)<sup>12</sup>.


კიდევ უფრო საინტერესოა ის „შენიშვნები“, რომელიც აკაკის თავის „კრებულში“ (1897 წ. № 2) გამოუქვეყნებია<sup>13</sup>: „ისტორიის წინასწართქმულობისა და მითების სამშობლოდ საზოგადოდ საბერძნეთია ცნობილი... უმეტესობა დღემდისაც დაჯერებულია, რომ ისინი შექმნა ელინების ალტყინებულმა ფანტაზიამ. მაგრამ ჩვენ კი დარწმუნებული ვართ, რომ, პირაქით, ბერძნებმა გაიტანეს სხვა ქვეყნიებიდან სულ სხვა ქვეყნების ამბები, შეისისხლხორცეს, თავისებურად გადააკეთეს და ფერცვლილი უკანვე დააბრუნეს. ამას ნამდვილად გვიმტკიცებენ, სხვათაშორის, ძველისძველი მითები „პრომეთეოსზე“ და „იაზონ-მეღიაზე“. ერთიცა და მეორეც ჩვენი ქვეყნის შვილია: აქ შობილან, აქ გაზრდილან და კოლხეთით ასე გადასულან ზღაპრულ ელადაში“... თუ თანამედროვე მეცნიერების პოზიციებიდანაც ზოგადად შევხედავთ ამ დებულებას, ის არც თუ ისე გულუბრყვილოდ უნდა მივიჩნიოთ. დღეს ხომ სწორედ ასევე ბევრი მეცნიერი ამტკიცებს, რომ ელინური მითოლოგიას ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა მოახდინეს სხვა ხალხების, პირველ რიგში, ძველი აღმოსავლეთის თქმულებებმა და ლეგენდებმა. აკაკი წერეთლის



ზემოხსენებულ „შენიშვნებში“ ბერი სხვა საინტერესო (თუმცა, როგორც თანამედროვე მეცნიერებისათვის ძნელად გასაზიარებელი) მონაცემებს მოჰყვება. მაგ., ამირანისა და პრომეთეს მითის შესახებ ბაზე, მედეას, აიეტის და კირკეს სახელების წარმომავლობაზე, მდინარე ფასისისა და ამარანტის მთის შესახებ<sup>14</sup> და სხვ. საინტერესოა აგრეთვე, რომ იმავე „შენიშვნებში“ ავტორი წერს: „ჩვენ გადაწვეტილი ვაქვს „მედიას“ ტრილოგიად დაწერა... როცა სამავეს ერთად გამოვცემთ, მაშინ უფრო ვრცელს გამოკვლევას ჩაუერთავთ ზემოთქმულის შესახებ“. ასე რომ, სრულიად გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, ჩვენი დიდი მკვლევარი არგონავტიკასთან დაკავშირებული პრობლემების პირველ ქართულ მკვლევარადაც გვევლინება.

არგონავტების შესახებ ბერძნული თქმულება (მისი როგორც ადრინდელი, ასევე გვიანდელი ვერსიები) მეტად მნიშვნელოვანი წყაროა საქართველოს, კერძოდ, მისი ერთ-ერთი უძველესი სახელმწიფოს კოლხეთისა და ბერძნულ სამყაროსთან მისი ურთიერთობის ისტორიისათვის. ამიტომაცაა იგი თანამედროვე ქართული საისტორიო და ფილოლოგიურ მეცნიერებათა განსაკუთრებული ყურადღების საგანი. არგონავტიკისა და მასთან დაკავშირებული პრობლემების შესწავლაში უდიდესი როლი შეასრულა კლასიკური ფილოლოგიის ქართულმა სკოლამ, რომელსაც საფუძველი ჩაუყარეს გამოჩენილმა ელინისტებმა — აწ განსვენებულებმა პროფესორმა გრიგოლ წერეთელმა და აკადემიკოსმა სიმონ ყაუხჩიშვილმა. ქართულ ენაზე ითარგმნა და გამოიცა ბერძნულ-რომაელ ავტორთა არაერთი თხზულება თუ ცალკეული ცნობები საქართველოს რომ შეეხება<sup>15</sup>. ჩვენთვის კი ამჯერად განსაკუთრებული მნიშვნელობისაა პროფესორ აკაკი ურუშაძის ნაშრომი „ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში“ (თბილისი, 1964), სადაც თავმოყრილია ვ. წ. ელინური, ელინისტური და ბიზანტიური ხანის ავტორთა (და მათი ძველი კომენტატორების) ყველა ცნობა (ბერძნული ტექსტი და პარალელური ქართული თარგმანი) არგონავტებსა და კოლხეთზე. პროფ. აკ. ურუშაძის დასახელებული წიგნი და მის მიერ ქართულ ენაზე თარგმნილი აპოლონიოს როდოსელის პოემა „არგონავტიკა“ სათანადო კომენტარებით თვალსაჩინო წვლილია არგონავტიკისა და ძველი კოლხეთის ისტორიის პრობლემების კვლევაში.

არგონავტიკისა და მასთან დაკავშირებით ძველი კოლხეთის ისტორიის, ისტორიული გეოგრაფიის, ეთნოკულტურული გარემოს, სოციალურ-ეკონომიკური წყობის, კულტურისა და რელიგიის და სხვ. მრავალ



საკითხზე უკვე გამოქვეყნებულია ქართველ მეცნიერთა (ს. ყაუხჩიშვილის, აკ. ურუშაძის, გ. მელიქიშვილის, თ. ყაუხჩიშვილის, თ. მჭედის, მ. მჭედის, რ. გორდენიანის და სხვ.) უაღრესად საინტერესო და მნიშვნელოვანი გამოკვლევები თუ ცალკეული მოსაზრებები, რომელნიც (ისევე როგორც სხვა საბჭოთა და საზღვარგარეთელ მეცნიერთა ნაშრომები) განხილული და დამოწმებული იქნება ამ წიგნის მომდევნო თავებში.

სულ ახლახან კი არგონავტიკისა და მასთან დაკავშირებით ძველი კოლხეთის ისტორიის პრობლემების კვლევას ახალი ბიძგა მიეცა. მის თაოსნად ამჯერად გამოჩენილი ინგლისელი მკვლევარი-მოგზაური და მწერალი ტიმ სევერიანი მოგვევლინა...

1984 წლის გაზაფხულზე ლონდონიდან 14 მარტით დათარიღებული უჩვეულო წერილი მივიღე. ფურცელზე, რომელზედაც ტექსტია დაბეჭდილი, თავზე დიდი წითელი ფერის ასოებით ინგლისურად აწერია „მოგზაურობა გმირებისა“. მის ქვემოთ კი მარჯვენა კუთხეში გამოსახულია პატარა ოცნიზიანი აფრიანის ნავი. წერილს ხელს აწერს ტიმ სევერინი. ამ წერილში მისი ავტორი მაუწყებდა, რომ ოცნიზიანი ნავით აპირებს არგონავტების მარშრუტის განმეორებას და მიზნულად აღმოძვრინა დახმარება მისი ექსპერიმენტის მეცნიერული შედეგების შეჯამებაში, როდესაც საქართველოს მოაღწევდა და მოგზაურობას დაასრულებდა...<sup>16</sup>

ტიმ სევერინის მოგზაურობისა და ამ ექსპერიმენტის მიზნებისა და მისი მეცნიერული მნიშვნელობის შესახებ დაწერილებით ამ წიგნის ერთ-ერთ შემდგომ თავში იქნება საუბარი. ახლა კი აქ არ შეიძლება არ გავიხსენო, რომ არგონავტთა ლაშქრობის მარშრუტის (თუნდაც მისი ცალკეული მონაკვეთების) გამოკვლევის იდეა საქართველოშიც კარგა ხანია არსებობდა. ჯერ კიდევ 1970 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალგაზრდა მასწავლებლებმა და სტუდენტებმა ქალაქ ფოთის საზოგადოებრიობისა და საქართველოს საზღვაო-სანაოსნო სამსახურის დახმარებით ააგეს ძველი კოლხური ნიმუშის ხომალდი „ოქროს საწმისი“ და განახორციელეს მოგზაურობა ჯერ მდინარე ყვირილა-რიონის დეფილებით (შორაპან-ქუთაისი-ვანი-ფოთი), ხოლო 1971 წელს – შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს გასწვრივ (ფოთი-ბათუმი-პალიასტიმი-ანაკლია-ონიამირე-სოხუმი-ფოთი)... რა თქმა უნდა, ამ მოგზაურობათა და ტიმ სევერინის ექსპერიმენტის ურთიერთშედარება და გატოლება არ შეიძლება, მაგრამ აქ თვით იდეა ხაზგასასმელი და აღსანიშნავი. საინტერესოა, რომ უნივერსიტეტის პირველი „არგო-





ნაკტების“ ამ წამოწყებას მაშინ სხვა მიმდევრებიც გამოეყენებინა და შემდგომ წლებშიც მოეწყო რამდენიმე მსგავსი ახალგაზრდული კონსპირაციული...<sup>17</sup> ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, შემთხვევით არაა და მოწმობს ქართველი ახალგაზრდობის დიდ ინტერესსა და სიყვარულს მშობლიური ქვეყნის უძველესი წარსულისა და მისი კულტურის მიმართ.


ძველი არგონავტების ნაკვალევზე ტიმ სევერინის მომავალი მოგზაურობა საკავშირო ტელევიზიისა და პრესის მეშვეობით<sup>18</sup> საქართველოშიც გახდა ცნობილი და იმთავითვე დიდი აღტკინება და ინტერესი გამოიწვია. ახალი არგონავტების შესახვედრად ემზადებოდნენ არა მხოლოდ მეცნიერები, არამედ ახალგაზრდა სპორტსმენებიც. მათ შორის იყო სამი შესანიშნავი ჭაბუკი: გიორგი (გოგლიკა) ჩოგოვაძე, ძმები — კახაბერ (კახა) და გიორგი (გოგიტა) ჩხაიძეები... უაღრესად კეთილშობილური და ვაჟკაცური ჩანაფიქრი ჰქონდათ ამ ახალგაზრდებს: იახტით უნდა გაეცურათ შდ. რიონი (დინების გაყოლებით) და ფოთში შეხვედროდნენ ახალ არგონავტებს, მაგრამ თბილისის ზღვაზე ვარჯიშისას უბედურმა შემთხვევამ იმსხვერპლა მათი სიცოცხლე და მით უმძიმესი ტკივილი მიაყენა მთელ ჩვენს საზოგადოებას<sup>19</sup>. ერთ-ერთი მათგანი — კახა ჩხაიძე ჩემი სტუდენტი იყო და ზოგიერთი რამ, რის შესახებაც ამ წიგნშია საუბარი უკვე მოსმენილი ჰქონდა ლექციებზე. ამიტომაც უფლებას ვაძლევ ჩემს თავს ეს წიგნი ამ ახალგაზრდების ნათელ ხსოვნას მიუძღვნა.

## ქველი ბერძნული თქმულება არგონავტიკის შესახებ

ოქროს საწმისისათვის აიეტის ქვეყანაში არგონავტების ლაშქრობის შესახებ თქმულება ფართოდ იყო ცნობილი ძველ ბერძნულ მწერლობაში და მას არაერთი მხატვრული ქმნილება მიეძღვნა. სამწუხაროდ, არგონავტიკის თემაზე შექმნილ მხატვრულ ნაწარმოებთაგან უმრავლესობა დღემდე მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტების სახითაა მოღწეული<sup>1</sup>, შედარებით სრულად კი შემონახულია ძვ. წ. VI—V საუკუნეების ლირიკოსი პოეტის პინდარეს IV პითიურ ოდასა<sup>2</sup> და ძვ. წ. III ს-ის ბერძენი მეცნიერისა და პოეტის აპოლონიოს როდოსელის ფართოდ ცნობილ პოემაში „არგონავტიკა“.<sup>3</sup> არგონავტების კოლხეთში ლაშქრობის ამბავი ვრცლადაა შემონახული აგრეთვე ერთ პროზაულ ნაწარმოებში, რომელსაც ჰქვია „ბიბლიოთეკა“ და შეცდომით მისი ავტორობა მიეწერებოდა ძვ. წ. II საუკუნის ათენელ მითოგრაფოსს, ისტორიკოსსა და ლექსიკოგრაფ-კომენტატორს აპოლოდორეს.<sup>4</sup> არგონავტიკის შესახებ მეტ-ნაკლებად სრულად შემონახულ ნაწარმოებთაგან უნდა ვახსენოთ აგრეთვე ახ. წ. IV საუკუნეში გალექსილი პოემა „არგონავტიკა“, რომლის ავტორობა კარგა ხანს შეცდომით ლეგენდარულ ორფეესს მიეწერებოდა, მაგრამ ამჟამად ფსევდო-ორფეესის სახელითაა ცნობილი<sup>5</sup>.

ზემოდასახელებულ ლიტერატურული წყაროების საფუძველზეა შესაძლებელი არგონავტთა შესახებ ბერძნული თქმულების ძირითადი შინაარსის აღდგენა...

ოდესღაც, ძველი ელადის (საბერძნეთის) ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე ერთ-ერთი ოლქის — ბეოტიის დიდსა და სახელგანთქმულ ქალაქ ორქომენს განაგებდა ქართა მეფის ეოლოსის ძე ათამანტი. ორი შვილი ჰყავდა მას: ასული ჰელე და ვაჟი ფრიქსე — ღრუბელთა ქალღმერთის ნეფელეს ნაშიერნი. მაგრამ ათამანტმა შეიყვარა თებეს მეფე კადმოსის ვერაგი ასული ინო და ცოლად შეირთო იგი. სულ მალე ბოროტმა დედინაცვალმა მისთვის აგრე საძულველი ქალის — ათა-



მანტის პირველი მეუღლის შვილების თავიდან მოცილება და საამისოდ საშინელი მზაკვრობა ჩაიდინა: მისი შეგონებით შობა-ლული ხორბალი დათესეს, რასაც მოუსავლიანობა და საშინელი შილი მოჰყვა. მეფე ათამანტმა რჩევისათვის დელფოს მისანთან გააგზავნა თავისი ქვეშევრდომნი. მაგრამ ინოს მიერ მოსყიდულმა ათამანტის შიკრიკებმა მეფეს აუწყეს, რომ თითქოს დელფოს მისანი ყოვლისშემძლე ღმერთებისათვის ჰელესა და ფრიქსეს მსხვერპლად შეწირვას მოითხოვდა. სასიკვდილოდ განწირულ შვილებს დედამ ღვთაება ჰერმესის ნაბოძები ოქროსსაწმისიანი გრძნეული და მფრინავი ვერძი მოუვლინა. ვერძმა ნეფელეს შვილები ზურგზე შეისვა და შორეული ქვეყნის აია-კოლხეთისაკენ გაამგზავრა. გზად ჰელე ვერძის ზურგიდან გადმოვარდა და ზღვაში ჩავარდა იქ, სადაც დღეს დარდნელის სრუტეა. შემდეგ ზღვის ამ მონაკვეთს ბერძნებმა „ჰელეს ზღვა“ ან „ჰელესპონტი“ უწოდეს. ფრიქსე კი ოქროსსაწმისიანმა ვერძმა უვნებლად მიიყვანა საწაადელ ქვეყანაში, სადაც ამ დროს მეფობდა გოროზი და ძლიერი მეფე აიეტი — მზის შვილი. აიეტმა შეივრდომა უცხო ქვეყნიდან ლტოლვილი ჭაბუკი, შესაფერისად აღზარდა იგი და მერმე თავის ერთ-ერთ ქალიშვილზე ქაღკოპზე დააქორწინა. ოქროსსაწმისიანი ვერძი თავის ღმერთებს შესწირა აიეტმა (სხვა ვერსიით, ვერძი ფრიქსემ შესწირა ზევსს — ბერძენთა უმთავრეს ღვთაებას), ხოლო ტყავი კი დასაცავად მიანდო გველეშაპს, რომელსაც არასოდეს ეძინა თურმე...

მეფე აიეტის საბრძანებელში შენახული ოქროს საწმისის ამბავმა მალე მიადწია საბერძნეთს...

ამ დროს თესალიის ქალაქ იოლკოსში მეფობდა პელიასი, რომელმაც ვერაგულად წაართვა ტახტი თავის ძმას ესონს, ხოლო ტახტის კანონიერი მემკვიდრე ესონის ძე იასონი მშობლიური ქალაქიდან გააძევა. მცირეწლოვანი იასონი თესალიის ერთ-ერთ მთაზე პელიონზე გადაშალეს, სადაც მას ბრძენი კენტავრი ქირონი ზრდიდა — სწორედ ის ქირონი, რომელსაც ელინური მითოლოგია მიაწერს აქილევისა და სხვა გამოჩენილი გმირების აღზრდას.

ოცი წლის რომ გახდა, იასონი მშობლიურ ქალაქ იოლკოსში დაბრუნდა და მეფე პელიასს ძალით მიტაცებული მამისეული სამეფო ტახტის დაბრუნება მოსთხოვა. ვერაგმა პელიასმა სამეფო ტახტის დათმობა არ მოისურვა და ამიტომაც იასონს საზღაურად აიეტის შორეულ ქვეყანაში დაცული ოქროს საწმისის დაბრუნება მოსთხოვა:




„დავმორჩილდები შენ სურვილს; მაგრამ მე უკვე სიბერის შიშში ასაკი მბორკავს, შენი ახალგზარდობის ყვაველი კი ახლა ღვედნიან მინი შეგიძლია დააცხრო ქვესკნლის ღვთაებათა რისხვამ. ფსიქოლოგები უწოდებს, მივიდეთ აიეტის საბრძანებელში, რათა გამოვიხსნათ მისი სული და წამოვიღოთ იმ ვერძის სქელსაწმისიანი ტყავი, რომლის წყალობითაც ფრიქსე ოდესღაც გადაურჩა პონტოს და დედინაცვლის უღვთო ისრებს. ეს ჩემთან მოსულმა საოცარმა სიზმარმა გამომიცხადა. მე შევევკითხე კასტალიის სამისნოს, რათა გამეგო, რა მელონა. მისანმა ამიხსნა, რაც შეიძლება ჩქარა მომეწყო ხომალდით ლაშქრობა. შეასრულე ეს საქმე თანხმობით და ვფიცავ, რომ მოგეკუთვნება ერთმმართველობა და მეფობა. ფიცის სიმტკიცის მოწმედ იყოს ზევსი ორთა ჩვენთა წინაპარი!“ ასე გაღექსა პელიასის სიტყვა ძვ. წ. VI—V საუკუნეების ბერძნული საგუნდო ლირიკის უდიდესმა წარმომადგენელმა — პოეტმა პინდარემ თავის IV პითიურ ოდაში (თარგმანი აკაკი ურუშაძისა).

აიეტის საბრძანებლიდან ოქროს საწმისის დაბრუნებას რომ ავალეზდა იასონს, ვერავი პელიასი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ტახტის მოცილე ჭაბუკი უფლისწული ამ პირობას ვერ შეასრულებდა — შორეული და ერთობ საშიში ნაოსნობისას უთუოდ დაიღუპებოდა, რამეთუ ძალზე შორს იყო და ხომალდით ნაოსნობისათვის მიუწვდომელი აიეტის ქვეყანა. ამასთან ბერძნებში აიეტი უძლეველ მეფედ იყო მიჩნეული: „არავინაა კოლხთა მეფე აიეტზე უმძლავრესი, თუმც შორსაა ჩვენგან, მაგრამ თუ მოისურვა, თვით ელადაზეც კი წამოვა სალაშქროდ“ — ასე ათქმევინებს თავისი სახელგანთქმული პოემის ერთ-ერთ პერსონაჟს ძვ. წ. III საუკუნის პოეტი აპოლონიოს როდოსელი.

ჭაბუკი იასონი მეფე პელიასის უმძიმეს დავალებას არ შეუშინდა და ოქროს საწმისის შორეული ქვეყნიდან ჩამოტანა ივალა. საამისოდ სამზადისს შეუდგა და პირველ რიგში აიეტის ქვეყანაში გასამგზავრებლად ხომალდის აგება დაიწყო. ეს ხომალდი პელიონის მთის ძირში შენდებოდა, სწორედ იქ, სადაც თვით იასონი იზრდებოდა. ამ ხომალდს „არგო“ უწოდეს, თითქოს იმიტომ, რომ მისი მშენებელი იყო ოქროს საწმისისათვის ლაშქრობის ერთ-ერთი მონაწილე — ქალღმერთ ათენას მსახური არგოსი, რომელსაც თვით ათენა აძლევდა რჩევა-დარიგებას.

იასონმა ოქროს საწმისისათვის აიეტის ქვეყანაში ლაშქრობის ამ-



ბავი მთელ ელადას აუწყა და მასში მონაწილეობა შესთავაზა. მის მოწოდებას თითქოს ორმოცდაათამდე სახელოვანი ვაჟაკები შეუერთდნენ.

სიმამალი

ძველ ბერძენ ავტორთა (პირველ რიგში პინდარეს და აპოლონიოს როდოსელის) გადმოცემით, თითქოს მათ შორის იყვნენ: „ტკბილ ჰანგთა მამა, სახელოვანი ორფეუსი“, მამით თრაკიელი, რომელიც „სიმღერთა ჰანგით მთებში ურყევ კლდეთ და მდინარეთა ტალღებს აჯადოებდა“; ღვთაება ჰერმესის „მამაცი და ცბიერებაში გამოცდილი“ ვაჟები ექიონი და ერიტე; ოილევსი — „სიმამაცით გამორჩეული და კარგად გაწაფული მტრებზე თავდასხმაში, როს მოწინავე ფალანგა უკუქცეოდა“; ლინკეესი — „დიდი ღონითა და ბასრი თვალით აღჭურვილი, რომელსაც შეეძლო განეპყრიტა მიწისქვეშეთშიც“; იფიკლე — „შუბის ტყორცნასა და ხელჩართულ ბრძოლაში გამოცდილი“; ძმები დიოსკურები — „მძლე პოლიდევე და ცხენოსნობაში გამოცდილი ფეხმარდი კასტორი“; სიმდიდრითა და ვაჟაკობით თავმოწონებული ავგიე, რომელსაც „ძალზე სურდა ეხილა კოლხეთის მიწა და თვითონ აიეტიც — კოლხთა ბელადი“; მოფსოსი — „მისნობასა და ფრინველთმკითხაობაში გამოცდილი“ და სხვანი. საინტერესოა, რომ არგონავტთა შორის ასახელებენ მეფე პელევსის ერთ-ერთი ძმის ნელევსის ვაჟს პერიკლემენეს — „პოსეიდონმა რომ უსაზღვრო ძალა მიანიჭა და ცხარე ომში ჩაბმულს ისეთი ღონე ჰქონდა, როგორსაც პირჩევდა“. კიდევ მეტი — თვით მეფე პელევსის ვაჟი აკასტეც კი შეუერთდა იასონის ლაშქარს. „არგო“ ხომალდის მესაქეობა ათენა ქალღმერთის შეგონებით ითავა ტიფისმა, რომელსაც „ძალუძდა წინასწარ განეპყრიტა თუ როდის აღელდებოდა უსაზღვრო ზღვა, როდის ამოვარდებოდა ქარიშხალი და შეეძლო მზისა და ვარსკვლავების მეშვეობით სანაოსნო დროის დადგენა“. თავდაპირველად არგონავტთა შორის იყო ბერძენთა უძლვეელი გმირი პერაკლეც, რომელსაც ლაშქრობის ხელმძღვანელობაც კი შესთავაზეს, მაგრამ მისივე წინადადებით მეთაურობა იასონს მიანდეს. ასე რომ, ოქროს საწმისისათვის სალაშქროდ იმ დროს ყველა სახელგანთქმული ბერძენი ვაჟაკი შეიკრიბა (აპოლონიოს როდოსელის თქმით, მხოლოდ გმირი თესევსი აკლდათ მათ, ისიც იმიტომ, რომ „პირითუსს გაჰყვა მეგზურად და შავი ბორკილი კრავდა მაშინ ტენასეს მიწის ქვეშ“). თითქოს მთელი ელადა დაიძრაო ოქროს საწმისისათვის სალაშქროდ. თუმც არგონავტების უმრავლესობა თესალიის სახელგანთქმული ქალაქებიდან (ლა-



რისა, ფელაქე, ფერე, ალოპე, გირტონი და სხვ.) იყვნენ, მაგრამ მათ შორის ერთივენი აგრეთვე გმირები ათენიდან, სპარტიდან, კორინთიდან, არგოლიდიდან, ეტოლიიდან, ფოკიდიდან, მესენიიდან, მილეტიდან და საბერძნეთის სხვა ოლქებიდან და ქალაქებიდან. იმდენად სახელგანთქმულნი იყვნენ თავიანთი გმირობით ოქროს საწმისისათვის სალაშქროდ გამზადებულნი, რომ, აპოლონიოს როდოსელის თქმით, მათ შემხედვარეთ ასე ეგონათ: „იმავე დღეს მგზნებარე ცეცხლით მოსპობენ ალბათ გმირები აიეტის სასახლეს, თუ ის ნებით არ დაანებებს მათ საწმისს“.

საზეიმოდ გააცილეს ბერძნებმა არგონავტები ქალაქ იოლკოსიდან აიეტის ქვეყნისაკენ ოქროს სალაშქროდ მიმავალნი. კიდევ ერთხელ უნდა დავიმოწმო აპოლონიოს როდოსელი (აქაც, და, ისე როგორც ყველა სხვა შემთხვევაში, აკაკი ურუშაძის თარგმანით): „იმ დღეს ყველა ღმერთები დაცქეროდნენ ზეციდან ზომალდს და ღვთისდარ მამაც ვაჟაკებს, რომლებიც ზღვაზე მიტურავდნენ“.

იოლკოსიდან სწრაფმავალი არგონთი გამგზავრიბულ არგონავტებს გზად მრავალი ხიფათიც გადახდებათ (დაიღუპებიან მესაქე ტიფისი და იდმონი, ჩამოცილდებათ ჰერაკლე, დაკარგული მეგობრის ჰილასის საძებნელად რომ გაეშურება) და მრავალ გმირობასაც ჩაიდენენ: გაათავისუფლებენ უსინათლო მეფე ფინევს მტაცებელი ფრინველებისაგან — ჰარპიებისაგან (საკვებს რომ უმოწყალოდ ართმევდნენ უმწეო მოზუსს): შეებრძოლებიან სპილენძისფრთებიან არსებებს — სტიმფალიდებს და სხვ. არგონავტებმა დიდი ვაი-ვაგლახით გასცურეს პირქუში „მოხეტიალე“ კლდეები, შავი ზღვისკენ მიმავალ სრუტესთან რომ იყვნენ აღმართული და რომელთა გადალახვა მანამდე ვერცერთმა მოკვდავმა ვერ შეძლო.

სრუტეების გასცურვის შემდეგ არგონავტები ჩაუვლიან შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროს და იქ მოსახლე ამორქალებს, აგრეთვე სხვადასხვა ტომებს, რომელთა შორის არიან ხალიბებიც — რკინის დამუშავებით სახელგანთქმულნი... და ბოლოს არგონავტები მიადწევენ მდ. ფასისის შესართავს, შეაცურებენ თავის ზომალდს მდინარის ფართო კალაპოტში, მიადგებიან აიეტის მთავარ ქალაქს — კუტიას. ვერ შეპბედავენ ბერძენი გმირები დიდ ქალაში მუხის ხეზე ჩამოკიდებული ოქროს საწმისის მოდარაჟე გველუშაბთან შებრძოლებას. ამიტომაც ეახლებიან მეფე აიეტს და სთხოვენ ოქროს საწმისს, სანაცვლოდ კი უცხო მტრებთან ბრძოლაში დახმარებას ჰპირდებიან.



მაგრამ მეფე აიეტის, რომელსაც ოქროს საწმისის დათმობა არ სურს, იასონს სთავაზობს სულ სხვა პირობის შესრულებას, ანუ რომელიმე რომდოსელი რომ ასე გადმოგვეცემს: „აიეტს ორი ზრახვა და გულში: თავს დასხმობდა უცხოელებს და აქვე მოეკლა ისინი, თუ მათი ძალა გამოეცადა. ფიქრის შემდეგ მეორე უმჯობესი ეჩვენა და იასონს შენაცვლებით მიუგო: „უცხოელო, რა საქიროა, ყველაფერს დაწვრილებით რომ მიამბობ? თუ მართლაც დმერთების შთამომავალი ხარ... მოგცემ წასაღებად შენ ოქროს საწმისს, ოღონდ, თუ ინებებ, უნდა გამოიციადო. მამაც ვუთქვამს არ ვეკიდები შურით, როგორც ის მეფე ელადისა, თქვენ რომ ახსენეთ (ე. ი. მეფე პელიასი, იასონი შორეულ ქვეყანაში ოქროს საწმისისათვის რომ გამოგზავნა — ო. ლ.). ეს იქნება გამოცდა მამაცობისა და ღონისა იმ საშიშარ საქმეში, რომელსაც თვითონ საკუთარი ხელებით ვასრულებ. არესის ველზე საბალახოდ გაშვებული მყავს ორი სპილენძისფეხებიანი ხარი, რომლებიც ხაზიდან ცეცხლს აფრქვევენ. მე მათ უღელში ვაბამ და არესის ოთხი დღიური ხოდაბუნისაკენ მივრეკავ. ამ ხოდაბუნს სწრაფად ვხნავ ბოლომდე გუთნით და ხნულებში დეოს პურის თესლს კი არ ვყრი, არამედ საზარელი გველეშაპის კბილებს, რომლებიც იარაღ-ასხმულ ვაყვაცებად გარდაიქმნებიან; ჩემს წინააღმდეგ ყოველი მხრიდან დაძრულთ იქვე ვფანტავ და ჩემი შუბით ვსაობ. ხარებს უღელში დილით ადრე ვაბამ, ხოლო საღამოს ვამს მკას ვწყვეტ. თუ შენც ასე შეასრულებ ამ საქმეს, იმავე დღეს წაიღებ საწმისს მეფესთან. სხვაფრივ კი არ მოგცემ და ნურც იმედს იქონიებ. უღირსი საქმე იქნება, მამაცად შობილმა ვაყვაცმა უმდაბლეს კაცს დაუთმოს რამე...“

ვერ ძალუძდა ბერძენ გმირთა წინამძღოლს კოლხთა მეფე აიეტის პირობის შესრულება... მაგრამ იასონი შეუყვარდება კოლხთა მეფის ასულს, სახემშვენიერ გრძნულ მედეას და დაეხმარება ოქროს საწმისისათვის მოსულ ბერძენს. მედეა იასონს ჯადოსნური წამლებით აღჭურავს, ურჩხულის კბილებიდან აღმოცენებული გოლიათების დახოცვის საშუალებასაც ასწავლის და იასონიც ასე, მხოლოდ მედეას შემწეობით შეძლებს მეფე აიეტის პირობის შესრულებას. მედეამ საშინელი ურჩხულიც მიამძინა, ბერძენებმა მოიტაცეს უკვე დაუცველი ოქროს საწმისი და თავის სამშობლოს მიაშურეს. მათ თან გაჰყვა მედეაც, რომელსაც იასონმა ცოლად შერთვა აღუთქვა... ზღვაში ბერძენ მეკობრეებს, ოქროს საწმისის მზაკვრობით გამტაცებლებს, დაეწოა კოლხთა მეფის აიეტის მიერ წარგზავნილი კოლხთა ლაშქარი უფლის-

წულ აფსირტეს მეთაურობით, მაგრამ ბერძნებმა ვერაგულად მოკლეს ისიც. მრავალი ხეტიალისა და თავგადასავლის შემდეგ ბერძნები სამშობლოში ბრუნდებიან. ისევ და ისევ მედეას უმჯობესობა შეძლებს იასონი იოლკოსში სამეფო ტახტის დაბრუნებას... მაგრამ გვიღის ხანი, იასონი უღალატებს მედეას და სხვა ქალს შეირთავს. აქედან იწყება მედეას ახალი ტრაგიკული თავგადასავლები.<sup>6</sup> მედეას ცხოვრება ელადში უკვე სხვა თემაა და იგი სცილდება არგონავტიკის უმთავრეს სიუჟეტს — ბერძენთა ლაშქრობას ოქროს საწმისისათვის აიეტის ქვეყანაში.

არგონავტიკის თემაზე შექმნილ ნაწარმოებთა გაცნობისას სავსებით აშკარაა, რომ აქ ბევრი ელემენტია ზღაპრული, პოეტური ფანტაზიის შენათხზი, არეულია ხშირად სხვადასხვა ეპოქის გეოგრაფიული და ეთნიკური ცნებები, ისტორიული მოვლენები. ამიტომაც თანამედროვე მეცნიერების უმთავრესი მიზანი ისაა, რომ დაადგინოს, რაა ამ თქმულებაში რეალურ საფუძველზე აღმოცენებული, ზუსტად გამოიჩინოს ურთიერთისაგან არა მხოლოდ რეალური და ზღაპრული, არამედ გამოავლინოს თქმულების უძველესი ბირთვი, მისი წარმოქმნის დრო და პირობები, ამასთან დაადგინოს და დაათარილოს სხვადასხვა ეპოქაში დამატებული ელემენტები და რეალიები. ეს მით უფრო აუცილებელია იმიტომაც, რომ მკვლევართა ერთი ნაწილი, რომელთა შორის არიან საკმაოდ ავტორიტეტული მეცნიერებიც, ერთობ სკეპტიკურად უყურებენ მითის ისტორიულ წყაროდ გამოყენების შესაძლებლობას, საერთოდ, და განსაკუთრებით კი ბერძნული მითებისას, სახელდობრ — არგონავტიკის კოლხეთში ლაშქრობის შესახებ მითის ისტორიული საფუძველის რეალობას.

#### როდის შეიქმნა თქმულება არგონავტიკის შესახებ?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა რომ შევძლოთ, პირველ რიგში, აუცილებელია იმის დადგენა, თუ როდის მოხდა ამ თქმულების ლიტერატურული გაფორმება, უფრო ზუსტად, მისი ჩაწერა.

თქმულებას არგონავტიკის ლაშქრობის შესახებ იცნობს უკვე ჰომეროსი. ამის უტყუარ მოწმობადაა მიჩნეული ის, რომ პოემაში „ილიადა“ იხსენიება არგონავტიკის წინამძღოლი იასონი. კუნძულ ლემნოსის დედოფალი ჰიფსიპილე და მათი ვაჟი ევენოსი (VII, 468),






აქედან ჩანს, რომ არგონავტიკის ერთ-ერთი უმთავრესი სიუჟეტი კუნძულ ლემნოსზე ყოფნა უკვე ასახულია „ილიადაში“. ჰომეროსის მეორე დიდ პოემაში „ოდისეა“ მოხსენიებული არიან მთავარი პერსონაჟები: მეფე აიეტი (X, 137; XII, 70), მისი და — გრძნეული დედოფალი კირკე (IX, 31; X, 36) — კუნძულ „აიაიას“ (X, 135; XI, 70; XII, 2) გამგებელი, იასონი (XII, 72), პელიასი (XI, 256) — თესალიის მეფე იასონს რომ ოქროს საწმისის აიეტის ქვეყნიდან ჩამოტანა დაავალა, აგრეთვე კრეთევის (არგონავტთა წინამძღოლის იასონის პაპა), ესონი (იასონის მამა), ფერეტი და ამითაონი (იასონის ძმები), მერმეროსი (რომელსაც მედეას ვაჟიშვილად მიიჩნევენ), და ბოლოს წარმოდგენილია აიეტისა და მისი დის — კირკეს გენეალოგიაც (X, 138—139): „ორივე იშვა მოკვდავთმანათობელი პელიოსისა და დედა პერსესაგან, რომელიც ოკეანემ წარმოქმნა“, აგრეთვე, რაც განსაკუთრებითაა ამჯერად ჩვენთვის მნიშვნელოვანი, ჰომეროსის „ოდისეას“ XII სიმღერის 70—72 ტაქტებში ნათქვამია: „მხოლოდ ერთმა საზღვაო ზომალდმა, ყველასთვის სანუკვარმა არგომ, აიეტისაგან მომავალმა გასცურა პლანქტებში, ალბათ იმასაც მაშინვე მიახეთქებდა იქ უზარმაზარ კლდეებს, მაგრამ ჰერამ გაატარა, რადგან იასონი უყვარდა“. ამრიგად, სავსებით აშკარაა, რომ ჰომეროსის დროს უკვე არსებობდა არგონავტთა შესახებ თქმულების ძირითადი ბირთვი: არგონავტების ოქროს საწმისისათვის ლაშქრობა აიეტის ქვეყანაში. სწორედ აიეტია არგონავტთა შესახებ თქმულების მთავარი მოქმედი პირი და ყველა გვიანდელი ვერსიით გამგებელი იმ ქვეყნისა, სადაც ოქროს საწმისი ინახება. კიდევ მეტი! სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია აგრეთვე მოსაზრება, რომ ფოლკლორული არგონავტიკა (ე. ი. ზეპირსიტყვიერად არსებული თქმულება) დაედო საფუძვლად ჰომეროსის „ოდისეაში“ მისი მთავარი გმირის — ოდისეესის ზღვაში მოგზაურობათა აღწერის ისეთ სიუჟეტებს, როგორიცაა სკილა და ქარბიდისი,<sup>2</sup> სირინოზები,<sup>3</sup> დედოფალი კირკე,<sup>4</sup> პლანქტები,<sup>5</sup> ლესტრიგონები<sup>6</sup> და სხვ.<sup>7</sup>

ჰომეროსის ცხოვრებისა და მის მიერ შექმნილი პოემების („ილიადა“ და „ოდისეა“) დროის შესახებ სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში თუმცა აზრთა სხვადასხვაობაა, უმრავლესობა მაინც იმ აზრისაა, რომ ჰომეროსის პოემების საბოლოო გაფორმება მოხდა ძვ. წ. IX—VIII ან უფრო VIII—VII საუკუნეებში.<sup>8</sup> მაგრამ პომე-



როსის „ოდისეა“ სრულებითაც არაა ერთადერთი ნაწარმოები იმ პერიოდისა, როდესაც წერილობითი ბერძნული ლიტერატურა იქმნებოდა და რომელშიც არგონავტების შესახებ თქმულებაა ფიქტიური ბული. არგონავტთა შესახებ თქმულებას იცნობს, ე. წ. კიკლიური პოეზიაც. „კიკლოს“ ძველბერძნულად ნიშნავს „რკალს“, „ციკლს“. ამიტომ პოემებს, სადაც რომელიმე დიდი მოვლენის შესახებ თქმულებათა მთელი რკალი, ანუ ციკლი იყო გადმოცემული, „კიკლიურ პოემებს“ უწოდებდნენ. ასე მაგ., პოემები ტროის ომის შესახებ მოგვითხრობდნენ ყველაფერს: ომის გამომწვევე მიზეზს, ბრძოლის მსვლელობასა და მის დეტალებს, ტროის დანგრევას, ელინი გმირების სამშობლოში დაბრუნებასა და მათ შემდგომ თავდადასაყალს. ფიქრობენ, რომ კიკლიური პოემების უმრავლესობა ძვ. წ. VIII—VII საუკუნეებში იქმნებოდა.<sup>9</sup> საწუხაროდ, კიკლიურ პოემებს ჩვენამდე არ მოუწვიათ, მაგრამ გვიანდელ ავტორებთან დაცული ცნობების საფუძველზე ფიქრობენ, რომ თუმცა კიკლიური პოემები უმთავრესად ტროის ომისა და თებეს შესახებ თქმულებებს ეძღვნებოდა, მაინც, არგონავტიკის ცალკეული სიუჟეტები წარმოდგენილი იყო, მაგალითად, პოემაში „დაბრუნებანი“, რომლის ავტორობა ჰავია ტროიძენელს მიეწერება და აგრეთვე პოემაში „ექალიის აღება“, რომლის შემთხვევლად მიჩნეულია კრეოფილე სამოსელი — ანტიკური ტრადიციით თვით ჰომეროსის მეგობარი თუ სიძეც კი.<sup>10</sup>

არგონავტთა შესახებ თქმულების გენეზისის დროის განსასაზღვრავად უაღრესად დიდმნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ, როგორც სამართლიანად შენიშნავს აკაკი ურუშაძე, ჩვენთვის საინტერესო თქმულებას დეტალურად იცნობს ბერძნული დიდაქტიკური ეპოსის უდიდესი წარმომადგენელი, ელინური რელიგიისა და მითოლოგიის სისტემატოლოგი ჰესიოდე, რომელიც აგრეთვე ძვ. წ. VIII—VII საუკუნეთა მიჯნაზე მოღვაწეობდა. ჰესიოდეს სახელგანთქმულ პოემაში „თეოგონია“, რომელიც ბერძენ ღმერთთა წარმოშობის შესახებ მოგვითხრობს, მოხსენიებულნი არიან „მოკვდავთმანათობელი ჰელიოსის ძე აიეტო“ და მისი ასული „კოკმშეენიერი მედეა“, რომელიც იასონმა „მალი ზომალდით“ იოლკოსში მიიყვანა, მას შემდეგ, როდესაც „ქედმაღალი, შეუბრალებელი და ბოროტმოქმედი ჰელიოსის“ უძმიესი დავალება შეასრულა. ჰესიოდე პირველი ავტორია, რომელიც იხსენიებს მედეასა და იასონის ვაჟს, სახელად მედიოსს. ასევე ჩვენამდე მოღწეულ ლიტერატურულ ძეგლთა შორის ჰესიოდესთანაა პირ-



ველად მოხსენიებული კოლხეთის მდინარე ფასისი, რომელიც მსოფლიოს უდიდეს მდინარეთა (ნილოსი, ისტროსი, მეანდროსი და სხვ.) შორისაა დასახელებული.<sup>11</sup>

არგონავტთა შესახებ მითის ცალკეული სიუჟეტები უცხოეთის სიუჟეტების კატეგორიაში შედიან. ყოფილა ძვ. წ. VIII—VII საუკუნეების სხვა ავტორთა თხზულებებიც. შიც, კერძოდ, ჰესიოდეს სკოლის პოეტთა პოემებში, აგრეთვე ევმელოს კორინთელთან, ე. წ. ნავპატიკურ ეპოსში და სხვ.<sup>12</sup> ეს ნაწარმოებებიც, სამწუხაროდ, შემონახული არაა, მაგრამ ზოგიერთი ფრაგმენტი ციტატების სახითაა დამოწმებული ჰომეროსის, პინდარეს, აპოლონიოს როდოსელის სქოლიასტებთან. ამ ფრაგმენტებიდან ნათლად ჩანს, რომ ძვ. წ. VIII—VII საუკუნეების ბერძნულ მწერლობაში უკვე სრული სახით იყო დამუშავებული არგონავტიკის ყველა მთავარი სიუჟეტი, მათ შორის ოქროს საწმისის კოლხეთში მოხვედრის ამბავი, არგონავტების ნუსხა, მათი თავგადასავლის ცალკეული ეპიზოდები (მაგ., თავგადასავალი კუნძულ ლემნოსზე, უსინათლო ფინევსი და სხვ.). ანტიკური ტრადიცია ძვ. წ. VII—VI საუკუნეებში მოღვაწე ეპიკურებს მიაწერს ავტორობას პოემისა „არგონავტიკა“, რომელიც აგრეთვე, სამწუხაროდ, შემონახული არაა. არგონავტიკის სიუჟეტებს ავითარებენ ძვ. წ. VII—VI საუკუნეების ბერძენი ლირიკოსი პოეტები მიმნერმე, სტესიქორე ჰიმერელი, სიმონიდე კეოსელი. ასე მაგ., შემონახულია ერთი საინტერესო ფრაგმენტი მიმნერმეს პოემიდან „ნანო“: „თვით იასონიც ვერასოდეს ვერ წამოიღებდა დიად საწმისს აიადან, თუმც ტვირთშიმე გზა განვლო ზვიადი პელიასის უძნელესი დავალების აღსასრულებლად: ვერც ოკეანის ლამაზ ნაკადს ვერ მიაღწევდნენ არგონავტები, მედეას სიყვარულს რომ არ ეშველა“ (თარგმანი აკაკი ურუშაძისა).

არგონავტიკის თემატიკა დამუშავებული ჰქონია (მაგრამ ჩვენამდე არ მოუღწევია) ბერძნული დრამის მამამთავარს ესქილესაც (ძვ. წ. 525—456), რომელმაც პირველმა შექმნა ტრილოგია კავკასიონის კლდეზე მიჯაჭვული პრომეთეს შესახებ.

ჩვენამდე მოღწეულ ადრეული ხანის ავტორთა შორის კი, ვისთანაც ვრცლადაა გადმოცემული თქმულება არგონავტების შესახებ, არის ბერძნული საგუნდო ლირიკის უდიდესი წარმომადგენელი პინდარე, რომლის ცხოვრების ხანად ძვ. წ. VI საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი და V საუკუნის პირველი ნახევარია მიჩნეული (ძვ. წ. 522/518 — 442/433 წწ.). ძვ. წ. V საუკუნის 60-იან წლებში შეუქმნია

მას თავისი ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოები — IV პითიური ოდა, სადაც დაწერილებითაა გადმოცემული არგონავტთა შესახებ თქმულების უმთავრესი მომენტები.

ერეკლესი  
საქართველო

ამრიგად, შეიძლება უყოყმანოდ დავასკვნათ, რომ ძვ. წ. VI საუკუნეებში, როდესაც იქმნებოდა პირველი ბერძნული ლიტერატურული ნაწარმოებები,<sup>13</sup> სწორედ მაშინ მოხდა არგონავტთა შესახებ თქმულების ლიტერატურული დამუშავებაც და შესაძლოა — მისი წერილობითი ფიქსირება. ამასთან ისიც აშკარაა და თითქოს უცილობელი, რომ ჰომეროსი კი არ იყო პირველწყარო, არამედ თვით ჰომეროსთან, ჰესიოდესთან და სხვა ადრინდელ ავტორებთან დაკუთრებული არგონავტიკისა მომდინარეობენ ერთი საერთო წყაროდან. ეს პირველწყარო კი არგონავტების ოქროს საწმისისათვის მოგზაურობის შესახებ არსებული ზეპირსიტყვიერი თქმულება უნდა ყოფილიყო.<sup>14</sup> მაგრამ ახლა ჩვენს წინაშე დადგა რთული საკითხი: როდის შეიქმნა თვით ეს ზეპირსიტყვიერი თქმულება არგონავტების ოქროს საწმისისათვის აიეტის ქვეყანაში ლაშქრობის შესახებ და რადაც ისტორიული სინამდვილის ანარეკლია იგი თუ უბრალოდ ზღაპრული შენათხზი?

მითი, როგორც ისტორიული რეალობის ამსახველი წყარო, უაღრესად რთულია და სპეციფიკური. მისი ისტორიულ წყაროდ გამოყენება ყოველთვის უდიდეს სიძნელებთანაა დაკავშირებული და ამიტომაც მოითხოვს იგი სრულიად განსაკუთრებულ სიფრთხილეს. მითის ისტორიული ინტერპრეტაცია იმითაცაა გართულებული, რომ იგი თაობიდან თაობებს გადაეცემა ზეპირსიტყვიერად და ჩვენამდე უმეტესწილად გვიანდელი დანამატებით და პოეტურად გააზრებული ვერსიებითაა მოღწეული. ამიტომაცაა, რომ თანამედროვე მეცნიერებას ხშირად უმძიმს იმის განსაზღვრა, თუ რომელ ისტორიულ ფაქტსა თუ რეალობაზეა ორიენტირებული ესა თუ ის მითი თუ ეპიკური ნაწარმოები.

მიუხედავად იმისა, რომ მითის, როგორც ისტორიული წყაროს, გამოყენების შესახებ სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში სრულიად ბუნებრივი აზრთა სხვადასხვაობაა, მაინც სულ უკიდურესი სკეპტიკოსებიც კი ვერ უარყოფენ იმას, რომ, თუ როგორც წესი არა, ზოგჯერ მაინც, ზეპირსიტყვიერ ეპოსს აქვს ისტორიული, რეალური საფუძველი. უფრო ზუსტად: იგი ინახავს მოგონებას რაღაც ძალიან დიდ, რეალურად განხორციელებული მოვლენის შესახებ. ჩვეულებ-

რივ ეს ისეთი ისტორიული მოვლენებია, რომელთაც უდიდესი როლი შეასრულეს ანა თუ იმ ხალხის ისტორიაში. ხალხური პოეზიის ისტორიის სპეციალისტები თითქმის ერთხმად ამტკიცებენ, რომ ხალხის ისტორიაში არის მომენტები — დიდი ისტორიული მოვლენები, რომლებიც აღვლევებენ საერთო-სახალხო ფაქტობის და ამიტომაც აისახებიან ლირიკულ-ეპიკურ სიმღერებში. ასეთებად მიიჩნევენ, მაგ., სლავურ თქმულებათა ციკლს მეფე ვლადიმირის შესახებ, ფრანგულ ეპოსს კარლოს დიდსა და როლანდზე და სხვ.<sup>15</sup> ხალხური ეპოსის ისტორიის ერთ-ერთი უდიდესი მკვლევარის ა. ვესელოვსკის (1838—1906 წწ.) საკმაოდ მოსწრებული თქმით, „ხალხური პოეზია თავისებური ისტორიული სანსჯავროა...“<sup>16</sup> ამიტომაცაა აუცილებელი განსაზღვრა იმისა, თუ რა ისტორიული ფაქტი შეიძლება დასდებოდეს საფუძვლად ამა თუ იმ დიდ ეპიკურ ნაწარმოებს და კერძოდ — არგონავტიკას.

რამდენადაც ჩვენამდე მოღწეული წერილობითი ლიტერატურული ძეგლებიდან თქმულება არგონავტიკის შესახებ პირველად ჰომეროსის პოემებშია ფიქსირებული, ამდენად ბუნებრივია ჯერ გავსრკვეთ, რამდენად რეალურ-ისტორიულ საფუძველზეა აღმოცენებული თვით ჰომეროსის მიერ გაღვივებული თემა — ტროის ომი. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ჯერ კიდევ სამი ათეული წლის წინ, ე. ი. მანამ, ვიდრე ინგლისელი მეცნიერი მაიკლ ვენტრისი ე. წ. მიკენურ წარწერებს გაშიფრავდა,<sup>17</sup> იქნებ არც იყო აუცილებელი საკითხის ამგვარად დასმა. უკვე XIX საუკუნის 70-იან წლებში დილეტანტი-არქეოლოგის ჰაინრიხ შლიმანის საყოველთაოდ ცნობილმა ბრწყინვალე არქეოლოგიურმა აღმოჩენებმა ტროასა და მიკენში შექმნეს და განამტკიცეს ის აზრი, რომ ჰომეროსის პოემებში წარმოდგენილია რეალური სურათი ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრის საბერძნეთისა, ანუ. როგორც მას უწოდებენ, მიკენური ან აქეური ხანისა.<sup>18</sup> ამ აზრს აძლიერებდა ისიც, რომ ჰომეროსთან აღწერილი რეალიები დადასტურდა არქეოლოგიური აღმოჩენებითაც. ასე მაგ., ჯერ კიდევ შლიმანმა შეაქცია ყურადღება მიკენის ერთ-ერთ სამარხში აღმოჩენილ ტანის 60-მდე ეშვს და ჰომეროსის „ილიადაში“ (X, 261—265) აღწერილობის საფუძველზე გამოთქვა მოსაზრება, რომ ისინი ტყავის მუზარადზე დასამაგრებლად იყო განკუთვნილიო. მართლაც, ჩვენი საუკუნის 50-იან წლებში განახლებული გათხრებისას მიკენის ერთ-ერთ სამარხში აღმოჩნდა სპილოს ძვლისაგან დამზადებული ქანდაკება მეომრისა,




რომელსაც ტახის ეშვებით გაწყობილი მუხარადი ახურავს.<sup>19</sup> ასევე „ილიადაში“ მოხსენებული აიქის ფარი — „აღამიანის სიმაღლეზე გამოსახულია ბრინჯაოს ერთ-ერთ სატევარზე, რომელზეც ლომებზე ნადირობის სცენაა წარმოდგენილი. შეიძლება სხვა მაგალითების მოტანაც.<sup>20</sup> თითქოს აშკარა იყო ჰომეროსის მიერ აღწერილი საზოგადოების რეალობა და მტკიცედ დამკვიდრდა კიდევ დებულება, რომ ჰომეროსი ტროის ომის თვითმხილველი და თანამედროვე თუ არ იყო, ყოველ შემთხვევაში, ცხოვრობდა ძალიან მახლობელ ეპოქაში. ზოგიერთმა მეცნიერმა იგი აქაველ (ე. ი. მიკენური ხანის) მეფეთა კარის პოეტად და მათი გმირული საქმეების განმადიდებლადაც კი მიიჩნია. მაგრამ გავიდა ხანი და ახალი არქეოლოგიური მონაცემები და ჰომეროსისეული აღწერილობა ერთმანეთს სულ უფრო და უფრო დასცილდა. აღმოჩნდა, რომ ჰომეროსი არ იცნობს აქედური ცივილიზაციის უმთავრეს ელემენტებს, აგრე ნათლად რომაა თანამედროვე არქეოლოგიის მიერ გამოზეუტრებული. ეს ელემენტებია: აქაველ მმართველთა მძლავრი ციკლოპური წყობით ნაგები ციხეები, გუმბათიანი მონუმენტური სამარხები, ფრესკული კედლის მხატვრობა, წყალსადენები და საკანალიზაციო სისტემა და მრავალი სხვა. ჰომეროსი არ იხსენიებს არც დამწერლობას, რომელიც უკვე არსებობდა ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარში. ხოლო ჩვენი საუკუნის 50-იან წლებში ინგლისელი მეცნიერის მაიკლ ვენტრისის მიერ მიკენური წარწერების (ე. წ. ხაზოვანი B) დეშიფრაციამ და მის შედეგად ამ წარწერების ფართოდ წაკითხვამ და ანალიზმა წარმოაჩინეს საკმაოდ ცენტრალიზებული სახელმწიფო ეკონომიკა, სოციალური იერარქია, რთული ფისკალური აპარატი და სხვა ელემენტები, რომლებიც სრულებით არ ემთხვევა ჰომეროსის მიერ აღწერილი საზოგადოების სურათს. ამიტომ დღეს მეცნიერთა უმრავლესობა იმ აზრისაა, რომ სინამდვილეში მიკენური ცივილიზაცია სრულიად უცნობი იყო ჰომეროსისათვის და მის პოემებში აღწერილი სურათი განეკუთვნება მხოლოდ ძვ. წ. IX—VIII საუკუნეებს.<sup>21</sup> მაგრამ მიუხედავად ამისა და ჩვენთვის ახლა სწორედ ესაა არსებითი, თითქმის ყველა მკვლევარი ერთხმად აღიარებს, რომ ჰომეროსის პოემების საფუძველი იყო ზეპირი პოეტური ტრადიცია, რომელიც დასაბამს იღებს იმ უძველეს ეპოქაში, რომელსაც აქედურ ან მიკენურ ეპოქას უწოდებენ და რომელიც ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრით (უფრო სწორად: XV—XII სს-ით) თარიღდება. „ზეპირსიტყვიერი პოეტური შემოქმედების“ ჰო-

მეროსის პირველწყაროდ აღიარების კონცეფციის ავტორები (დ. პე-  
იჯი, ს. ბაურა, ტ. ვებსტერი, ი. ტრონსკი, რ. გორდეზი, ე. უანდერ-  
ვეი და სხვ.) ამტკიცებენ, რომ ჰომეროსი უკანასკნელში უკანასკნელში  
გრძელი ჯაჭვისა, რომელსაც ქმნიან მთქმელი-პოეტები, ე. წ. აედე-  
ბი, რომლებიც უხსოვარი დროიდან განადიდებდნენ ტროის ომს.

სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში (პირველ რიგში, შვედი  
მეცნიერის მ. ნილსონის ნაშრომებში)<sup>22</sup> საკმაოდ თვალნათლივია ახ-  
ლა წარმოჩენილი ჰომეროსის პოემებსა და ბერძნული ეპოსის სხვა  
ძეგლებში ფიქსირებული ბერძნული ჰეროიკული თქმულებების საკ-  
მაოდ მჭიდრო კავშირი სწორედ მიკენურ ეპოქასთან და მის კულტურ-  
რასთან. უაღრესად დიდმნიშვნელოვანია, რომ ის გეოგრაფიული პუნქ-  
ტები (მიკენი, ტირინთოსი, თებე, ორქომენი, იოლკოსი, ათენი, პი-  
ლოსი, თვით ტროა და სხვ.), რომელთაც უკავშირდება უძველესი ჰე-  
როიკული თქმულებანი, მიკენური ეპოქის რეალურად არსებული  
ცენტრებია და არქეოლოგიურად გამოვლენილ-დადასტურებული.<sup>23</sup>  
ყურადღებას აქცევენ სპეციალისტები ხაზგასმით იმ ნიუანსსაც, რომ  
უძველეს თქმულებებში უპირატესობა ენიჭებათ აქველ ბერძენ ტო-  
მებს, რომელნიც წამყვან როლს ასრულებდნენ მიკენურ ეპოქაში.  
იონიური ცენტრები, რომლებიც მიკენური საზოგადოების დაცემის  
შემდეგ აღწევენ უპირატესობას, თქმულებათა უძველეს ციკლში არ  
პირველობენ, ხოლო დორიელები, რომელნიც საბერძნეთში გვიან გა-  
მოჩნდებიან, ძალიან იშვიათად ან საერთოდ არ ფიგურირებენ უძვე-  
ლეს თქმულებებში.<sup>24</sup> ყოველივე ეს იმის უცილობელ მოწმობადაა  
მიჩნეული, რომ ჰომეროსის პოემებსა და სხვა ნაწარმოებებში ფიქ-  
სირებული ჰეროიკული თქმულებები მიკენური ეპოქის ნაყოფია.<sup>25</sup>  
მიკენური ეპოქა არის ბერძნული მითების ძირითადი ბირთვის ისტო-  
რიული საფუძველი; ეს თქმულებები მითოლოგიზირებული ისტორი-  
ის მრავალ ქეშმარიტ ელემენტს შეიცავს. ამ თქმულებათა შემქმნე-  
ლები იყვნენ „აქეური“ ტომები, რომელნიც, როგორც ახლა ე. წ. მი-  
კენური ხაზოვანი „B“ დამწერლობის გაშიფვრის შემდეგაა უწყოყმა-  
ნოდ აღიარებული, მეტყველებდნენ (და წერდნენ) ბერძნულ ენაზე  
(მის ე. წ. პროტოარკადულ-კვიპროსულ დიალექტზე).

ძველი ბერძნული ზეპირსიტყვიერი ჰეროიკული თქმულებებისა  
და ლიტერატურულ ძეგლებთან მათი ურთიერთკავშირის თვალსაზრი-  
სით საგანგებოდ უნდა აღინიშნოს აგრეთვე ძველი ბერძნული ეპოსის  
ლინგვისტური სისტემის თავისებურებანიც. იგი სპეციალისტებს წარ-



მოუდგებათ როგორც თავისებური „ზედიალექტი“, რომელიც სავსე  
 ბით აშკარად სცილდება ძვ. წ. VIII—VII საუკუნეების ბერძნულ  
 ლოკავთა გავრცელების ცალკეულ არეალებს. ცნობილი საბჭოთა  
 ლოლოგის ი. ტრონსკის მტკიცებით,<sup>26</sup> ჰომეროსის ენა იტევს სხვადა-  
 სხვა დროისა და დიალექტების სიტყვათწარმოებასა და სიტყვათა  
 შესატყვისობას და მაინც, ყოველივე ეს ერთიან სისტემაშია მოქცე-  
 ული, მოწესრიგებულია მის სემანტიკურ და რიტმულ-პროსადიკურ  
 დაპირისპირებაში. მთელი რიგი მონაცემების საფუძველზე ი. ტრონ-  
 სკი ასკვნის, რომ ჰომეროსის ენის წინამორბედი იყო მიკენური ეპო-  
 ქის ზეპირ-პოეტური ენა — პოეტური ზედიალექტი.


პოეტური ზედიალექტი უაღრესად თავისებური ფენომენია და  
 მისი არსებობა გასაგებს ხდის წერილობით ლიტერატურულ ძეგლებ-  
 ში უძველეს თქმულებათა ასახვის გზებს. უძველესი პოეტური ზედი-  
 ალექტი მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი კანონზომიერებით ვი-  
 თარდება. ეს განვითარება განპირობებულია მრავალსახოვანი დიალექ-  
 ტების ყოველდღიურ მეტყველებასთან რთულ ურთიერთობაში. ზე-  
 პირ-პოეტური ზედიალექტი შეიძლება არსებობდეს მხოლოდ მაშინ,  
 თუ არსებობს უწყვეტი პოეტური ტრადიცია, რომლის სპეციფიკურ  
 მატარებლად ძველ ბერძნულ ეპოსში მიჩნეული არიან აედები. ისინი  
 იყვნენ პერთიკული, ეპიკური, დიდაქტიკური, რელიგიური თუ სხვა  
 რიგის სიმღერების პროფესიონალი ზეპირშემსრულებლები. ისინი თა-  
 თობიდან თაობებს გადასცემდნენ ამ სიმღერებს. მოხეტიალე აედები  
 იძულებული იყვნენ ესარგებლათ ისეთი ენით, რომელიც ყველასათ-  
 ვის გასაგები იქნებოდა მთელს საბერძნეთში, სადაც უამრავი დიალექ-  
 ტი არსებობდა. ეს იყო უაღრესად კონსერვატული ენა, რომელიც  
 ძალზე იშვიათად თუ ახლდებოდა და იცვლებოდა. ამ ენის ზედმიწევ-  
 ნით ფლობისათვის მთქმელი-პოეტის მეხსიერება ინახავდა ზეპირ-  
 სიტყვიერი პოეტური ფორმულების უამრავ მასალას. აღიარებულია,  
 რომ სწორედ ეს ფორმულა, რომელიც გადმოსცემდა მთავარ მოვლე-  
 ნას, წარმოადგენდა რეალური ისტორიული ინფორმაციის მთავარ გა-  
 დამცემს და აისახა კიდევაც წერილობით ლიტერატურულ ძეგლებში.  
 ანბანური წერა გახდა ზეპირსიტყვიერი თქმულებების ლიტერატურუ-  
 ლი ჩანაწერის საფუძველი, იმავე დროს — მძლავრი ტრამპლინი გა-  
 დასვლისა ფოლკლორიდან წერილობით ლიტერატურაზე, „ტრადიცი-  
 ული“ მომღერლიდან ინდივიდუალურ პოეტზე. მართალია, როგორც  
 ვარაუდობენ, პოეზია ამ დროს ჯერ კიდევ არაა წიგნად განივთე-






ბული და კვლავინდებურად ზეპირსიტყვიერი შემოქმედებითა და მოფარგლული, იგი მოსასმენადაა და არა საკითხავად, მერქმუნულია-  
 ნობით ფოლკლორული ტექსტის ადგილს მკვიდრად გამოვიყენებთ.  
 ბით გაფორმებული ლიტერატურული ნაწარმოებები. ფიქრობენ,  
 რომ პომეროსის დროისათვის ეს პროცესი უკვე დასრულებულია. აქ  
 კიდევ ერთხელ უნდა გავიხსენოთ სპეციალურ სამეცნიერო ლიტერა-  
 ტურაში უკვე დადგენილად მიჩნეული ფაქტი, რომ პომეროსის ენა  
 ძალზე ახლოა მიკენური ეპოქის ბერძნულთან, რომელსაც ე. წ. პრო-  
 ტოარკადულ-კვიპროსულ დიალექტად მიიჩნევენ. უაღრესად საინ-  
 ტერესოა პომეროლოგების დაკვირვება: ბერძნული ეპოსის ენა ნაკ-  
 ლებ დინამიკურია და თითქოს ვერ ძალუას შემდგომი განვითარება.  
 ი. ტრონსკის მტკიცებით ეპიკური პოემები (ჰეროიკული და დიდაქ-  
 ტიკურიც) ელინურ, ელინისტურ და მის შემდეგ პერიოდებშიც —  
 გვიანრომაულ და ბიზანტიურ ეპოქაშიც კი იქმნება ამ ენაზე.<sup>27</sup> ეს  
 უაღრესად დიდმნიშვნელოვანი დასკვნაა, რამდენადაც ენასთან ერთად  
 ეპიკურ ნაწარმოებებში (მათ შორის ძალიან გვიანდელშიც კი) თავს  
 ინახავს რეალურ-ისტორიული მოვლენების უძველესი სიუჟეტური  
 ქარგა, მათი ძირითადი ბერთვი.

რა თქმა უნდა, ჩვენამდე მოღწეულ წერილობით ფიქსირებულ  
 ნაწარმოებებში (რომელნიც უკეთეს შემთხვევაში მხოლოდ ძვ. წ.  
 VIII საუკუნის შემდგომ ხანას განეკუთვნებიან) წარმოდგენილი უძ-  
 ველესი თქმულებები საკმაოდ ტრანსფორმირებულია და პირუან-  
 დელ საწყისთან შედარებით ერთობ სახეცვლილი. ძველი ბერძნული  
 ეპოსის მკვლევარები სამართლიანად აღნიშნავენ, რომ აქ (ე. ი. ლი-  
 ტერატურულ წერილობით ძეგლებში) ძალზე ხშირია შემთხვევები,  
 როდესაც სხვადასხვა ეპოქის მატერიალური და სულიერი კულტურის  
 ელემენტები, რელიგიური მსოფლმხედველობა და პოლიტიკური კონ-  
 ცეფციები ერთმანეთთანაა მკიდროდ გადახლართული და გაერთიანე-  
 ბული. ზოგჯერ საქმე გვაქვს საკმაოდ უცნაურ და ხშირად კი პარა-  
 დოქსალურ კომბინაციებთანაც კი. მაგრამ ეს ყველაფერი გასაგები-  
 ცაა, რამდენადაც ლიტერატურულ ძეგლებში წარმოდგენილი და ასა-  
 ხულია მოვლენები, რომელნიც რამდენიმე ასეული და ზოგჯერ ათა-  
 სეული წლის წინათაა მომხდარი. ასეთ შემთხვევაში, სრულიად ბუნებ-  
 რივია, ჩვენს მკითხველს გაუჩნდეს არც თუ ისე უსაფუძვლო სკეპსი-  
 სი იმის მიმართ, თუ რამდენადაა შესაძლებელი ჩვენამდე მოღწეულ  
 ლიტერატურულ ვერსიებში გამოკავლინით უძველესი თქმულების



რეალურ-ისტორიული საფუძველი. მაგრამ ასეთი ექვი შეიძლება, გა-  
 უხნდეს მხოლოდ იმას, ვინც არ იცნობს ხალხური ეპიკურის<sup>27</sup> მნიშვნელობას  
 ე. წ. ფორმულურ ტექნიკას. ამ თვალსაზრისით ბერძნული ეპოსის  
 შესწავლაში თვალსაჩინო და დღეს საყოველთაოდ აღიარებული წვლი-  
 ლი შეიტანეს ცნობილმა ამერიკელმა ფილოლოგმა მილმან პარრიმ და  
 მისმა მოწაფეებმა.<sup>28</sup> მ. პარრის განმარტებით, ფორმულა ესაა „ერთსა  
 და იმავე მეტრიკულ პირობებში რეგულარულად გამოყენებული გა-  
 მოთქმები რაიმე ძირითადი აზრის გადმოსაცემად“. თვლიან, რომ სწო-  
 რედ ფორმულა, ე. ი. სტანდარტული, უცვლელად განმეორებული  
 ჯგუფი სიტყვებისა,<sup>29</sup> ხოლო ზოგჯერ კი მთელი ნაწილიც ტექსტისა,  
 წარმოადგენს ეპიკური თხრობის ძირითად სტრუქტურულ ელემენტს,  
 რომელიც იმავე დროს ასრულებს „ისტორიული ინფორმაციის კონ-  
 დენსატორისა და გადამცემის ფუნქციას“.<sup>30</sup> ეპიკური თხრობის თავდა-  
 პირველი ავტორები კი იყვნენ სწორედ ჩვენს მიერ ზემოთხსენებული  
 აედები — მოხეტიალე მომღერლები და ლექსის მთქმელები — ისინი,  
 ვინც მთელი ბერძნული სამყაროსათვის გასაგები ეპოსის ენით, ანუ  
 ე. წ. ზედალექტით მოუთხრობდნენ გარდასულ დროთა ამბავს თავი-  
 ანთ მსმენელებს. სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში ხაზგას-  
 მულია აედების როლი მიკენური ეპოქის ისტორიული მოვლენების  
 გადმოცემაში. ფიქრობენ, რომ აქედური (ე. ი. მიკენური) ეპოქის რე-  
 ალიების გადმოცემისას აედები მკაცრად იცავდნენ ძირითადი (ე. ი.  
 ისტორიული) ფაქტის გადმოცემის სიზუსტეს, ვინაიდან მრავალრი-  
 ცხოვანი მსმენელი არ აპატიებდა მათ საყოველთაოდ ცნობილი და  
 თაობიდან თაობაში ხალხის მიერ განდიდებული ამბავის დამახინჯე-  
 ბას<sup>31</sup>. აედების არსებობა მიკენის ეპოქის გამგებელთა კარზე არქე-  
 ოლოგიური გათხრებისას აღმოჩენილი ფრესკითაცაა დადასტურებუ-  
 ლი.<sup>32</sup>

სწორედ აედების მეშვეობით ელინურმა ეპოსმა მიიღო უზარმაზარ-  
 რი ზეპირსიტყვიერი მემკვიდრეობა, სადაც პოეტური ფორმულების  
 სახით დაკონსერვებული იყო მიკენური ეპოქის უმთავრესი ისტორი-  
 ული მოვლენები. აქ არ შეიძლება არ დავიმოწმოთ ბერძნული ეპო-  
 სის ერთ-ერთი გამოჩენილი მკვლევარის ს. ბაურას დასკვნა: „ზეპირ-  
 სიტყვიერი, ფორმულებით წარმოდგენილი სტილი, მსგავსი „ილიადა“  
 და „ოდისეას“ სტილისა, ცალკეული გაქვავებული ფრაზების სახით  
 ასეული წლების მანძილზე ინახავდა შორეული წარსულიდან მომდი-  
 ნარე უამრავ ცნობას. ისევე როგორც ამ პოემებმა მოიტანეს სრუ-



ლიად მოულოდნელი დეტალები მიყენური ცივილიზაციისა იმ დრომდე, როდესაც ზოგიერთი მათგანი უკვე გაუგებარი იყო, ინახა ეპოსმა ცნობები ტროისა და ტროის ომის შესახებ, რომლებსაც იმ ადამიანებისგან, რომელნიც იცნობდნენ ამ ომის ამბავს მასში უშუალო მონაწილეობით<sup>33</sup> რამდენადაც გადაჭარბებული არ უნდა იყოს ეს დასკვნა, ის მაინც უცილობელია, რომ ძვ. წ. VIII—VII სს-ის ბერძნულ ლიტერატურას აქეთური ხანის ისტორიული ფოლკლორი ასაზრდოებდა. ბერძნულმა ლიტერატურამ კი მანამდე არსებული ზეპირსიტყვიერი ლეგენდარულ-მითური ხასიათის თქმულებანი გარკვეულ წესრიგში მოიყვანა. მასთან ერთად, მას მეტწილად ისტორიის (თუ საისტორიო ნაწარმოების) ფორმაც მიანიჭა და ქრონოლოგიური თანმიმდევრობა სრულიად გარკვეულ და კანონიზირებულ სისტემაში მოაქცია. მაგრამ ისიცაა აქ ხაზგასასმელი, რომ ეს ქრონოლოგიური თანმიმდევრობა, აგრე თვალსაჩინოდ რომაა ფიქსირებული ძველ ბერძნულ ლიტერატურულ ძეგლებში, ზეპირსიტყვიერ ეპოსში იყო უკვე წარმოდგენილი. ბერძნული ფოლკლორული ტრადიცია, რომელიც ინახავს მოგონებას დიდი ისტორიული მოვლენების შესახებ, როგორცაა თქმულება ტროის ომის შესახებ, თებეს ციკლი, გადმოცემა წინაბერძნული მოსახლეობის — პელასგების შესახებ<sup>34</sup> და სხვა, შემოინახა უძველესი გეოგრაფიული თუ ეთნიკური სახელწოდებანი, ისტორიულ პირთა სახელები.<sup>35</sup> უკვე მაშინ ზეპირსიტყვიერ პოეზიაში ჩამოყალიბდა რთული სისტემა თქმულებათა ციკლისა, რომელთა მონაწილენი არიან არა მხოლოდ ერთი და იმავე ეპოქის გმირები, არამედ მათი შთამომავალნი. ამ თვალსაზრისითაა სწორედ უალრესად დიდმნიშვნელოვანი, რომ ტროის ომის მონაწილენი არიან არგონავტების შთამომავალნი. ასე მაგ., ტროის ომის ერთ-ერთი მთავარი გმირი აქილეუსი — არგონავტთა ლაშქრობის მონაწილის პელევსის ძეა, ხოლო პელევსის ძმის — არგონავტის ტელამონის ვაჟია ტროის ომის მონაწილე აიანტი, „დიდად“ წოდებული — განსხვავებით მეორე აიანტისაგან, რომელიც აგრეთვე ტროის ომის მონაწილეა და შვილია ერთ-ერთი არგონავტისა — ოილეუსისა და ა. შ. საინტერესოა, რომ ჰერაკლე, არგონავტთა მოგზაურობის თავდაპირველი მონაწილე, ტროის ომის დროისათვის უკვე აღარაა და მისი მშვილდი და ისარი კი ხელთ აქვს ფილოქტატეს, რომლის ხელითაც დაიღუპება პარისი ტროის ომის მეათე წელს...

ამრიგად, ამ დეტალებშიც, სავსებით აშკარაა სრულიად გარკვე-



ულად ჩამოყალიბებული ქრონოლოგიური და გენეალოგიური სისტემები, საიდანაც თვალნათლივ ჩანს, რომ არგონავტების ლაშქრობისა და მათი საწმისისათვის განხორციელდა ტროის ომის წინარე ხანაში.<sup>36</sup> ასე ესმოდათ ეს თვით ძველ ბერძნებს კარგა ხნის შემდეგაც. ასე მაგ., ძვ. წ. V საუკუნის დიდი ბერძენი ისტორიკოსის — „ისტორიის (მეცნიერების) მამად“ წოდებული ჰეროდოტეს მტკიცებით („ისტორია“, 1, 4) იასონის მიერ მედეას მოტაცების შემდეგ — მეორე თაობაში ტროის მეფის პრიამის ძემ ალექსანდრე — პარისმა მოიტაცაო საბერძნეთიდან ელენე, რაც გახდა ტროის ომის მიზეზი.<sup>37</sup>


ტროის ომს თანამედროვე მეცნიერთა უმრავლესობა ისტორიულ ფაქტად მიიჩნევს და მას ძვ. წ. XIII ს-ის 30-იანი წლების ახლო ხანით ათარიღებს.<sup>38</sup> არგონავტთა ლაშქრობა ოქროს საწმისისათვის კი მის წინ ერთი თაობით ადრე მაინც უნდა განხორციელებულიყო.

არგონავტების შესახებ თქმულების სიძველეს სხვა არაპირდაპირი მონაცემიც მოწმობს. ძველი ბერძნული ტრადიცია არგონავტებს ხშირად მინიებს უწოდებს. ასე მაგ., პინდარე წერდა: „ოქროს საწმისისათვის ზღვაში გასულ მინიებს ღვთაებრივი პატივი დაენერგათ“. ასევე არგონავტებს მინიებად მოიხსენიებენ ჰეროდოტე, აპოლონიოს როდოსელი, სტრაბონი, ორფიკული „არგონავტიკის“ ავტორი, რომელი პოეტი იუვენალი და სხვ., აგრეთვე პინდარეს, ლიკოფრონ ქალიდელის, აპოლონიოს როდოსელის სქოლიასტები.<sup>39</sup> საინტერესოა ახ. წ. II საუკუნის ბერძენი მოგზაურისა და მწერლის პავსანიას ცნობილ წიგნში „ელადის აღწერა“ (IV, 33, 7)<sup>40</sup> დაცული ცნობა, რომ ვინმე პროდიკოს ფოკეელს მიეწერება ავტორობა პოემისა „მინიად“. ფიქრობენ, რომ ამ პოემაში სწორედ არგონავტთა შესახებ თქმულება იყო გადმოცემული.<sup>41</sup> მაგრამ მაინც გასარკვევია, თუ რატომ იწოდებოდნენ არგონავტები მინიებად. ჯერ კიდევ დიდი ბერძენი გეოგრაფოსი და ისტორიკოსი სტრაბონი განმარტავდა: „(პომეროსი) ორქომენეს მინიურს უწოდებს მინიების ტომის მიხედვით. ამბობენ, რომ აქედან გადასახლდნენ ზოგიერთი მინიები იოლკოსში. აქედანაა, რომ არგონავტებს მინიები ეწოდათ“. ე. ი. მინიებად იწოდებოდა საბერძნეთის უძველესი ტომი,<sup>42</sup> რომელიც თავის მამამთავრად ორქომენის ლეგენდარულ მეფე მინიასს მიიჩნევდა. ორქომენი კი იყო ქალაქი, რომელსაც მჭიდროდ უკავშირდება მითი ოქროს საწმისის შესახებ: მინიასის შთამომავალი იყო ორქომენის მეფე ათამანტი, მისი შვილები ჰელე და ფრიქსე. ასე რომ, „მინიელი“ იყო ფრიქსეც, რომელ-



მაც ოქროსსაწმისიანი ვერძით პირველმა ბერძენთაგან მოკლწი აიეტის ქვეყანას. ბერძნულ მითოლოგიაში შეიძლება მოვიძიოთ აიეტის ქვეყანის მითითებანიც, რომელნიც არგონავტების წინამძღვრად მათთან ორქომენის ლეგენდარულ მეფე მინიასთან აკავშირებენ. ასე მაგალითად, ერთ-ერთი ვერსიით (პინდარეს სქოლიონებში რომაა შემონახული) იასონი თვით მინიასის ერთ-ერთი ქალიშვილის კლიმენეს ასულის აღვიმედეს ძეა. ასევე მითოლოგიური ტრადიციით იასონის პაპა კრეთეესი ორქომენის მეფის ათამანტის ძმაა. ამიტომაცაა, რომ აპოლონიოს როდოსელის პოემაში „არგონავტიკა“ (III, 359) ფრიქსეს უფროსი ვაჟი — არგოსი მეფე აიეტს უცხადებს, რომ იასონი „ჩვენთვის მამისეული ნათესავია“. ყოველივე ზემოთქმული კიდევ ერთი მოწმობაა იმისა, თუ როგორაა ბერძნულ მითოლოგიურ ტრადიციებში ხშირად ერთიან სისტემაში მოქცეული გენეალოგიური სქემები. მეორე მხრივ, ზემოთქმული იმის მოწმობაცაა, რომ ფრიქსეს მიერ ოქროსსაწმისიანი ვერძით აიეტის ქვეყანაში გამგზავრება და არგონავტების ოქროს საწმისისათვის ლაშქრობა ერთი დიდი ეპიკური თქმულების ორგანული ნაწილებია! ეს თქმულებაც მიკენურ ეპოქაში წარმოიშვა და მიკენური, ე. ი. აქეთური ეპოსის ორგანული შემადგენელი ნაწილია,<sup>43</sup> რაც დასტურდება იმიტაც, რომ არგონავტიკასთან დაკავშირებულ ამ თქმულებებში არსად არ იხსენიებიან დორიელები, რომლებიც სწორედ მიკენური (აქეთური) ცივილიზაციის განადგურების შემდეგ დაუფლებიან ბეოტიასა და თესალიას, რომელიც მანამდე პელაზგების სამეკიდრებლად არის ბერძნულ მწერლობაში ერთხმად მიჩნეული.

ბეოტიის ქალაქი ორქომენე (ფრიქსეს სამშობლო) და თესალიისა იოლკოსი, საიდანაც დაიწყო არგონავტების ლაშქრობა ოქროს საწმისისათვის, როგორც ახალი არქეოლოგიური აღმოჩენები მოწმობენ, ძვ. წ. II ათასწლეულში წარმოადგენდნენ ძველი ელადური კულტურის უდიდეს ცენტრებს. ორქომენეს სიძლიერეს მოწმობს აქ აღმოჩენილი სასახლეთა ნაშთები და მონუმენტური მრგვალი ფორმის სამეფო აკლდამები (თოლოსი).<sup>44</sup> კიდევ უფრო მრავალსმეტყველი არქეოლოგიური ძეგლებია აღმოჩენილი უკანასკნელ ხანებში იოლკოსსა და მის მიდამოებში. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ის ფაქტი, რომ ძველი იოლკოსის მახლობლად ბერძენმა არქეოლოგებმა აღმოაჩინეს პატარა გამაგრებული დასახლება (ე. წ. „ქალაქი-თანამგზავრი“) გალავნის კედლებით, სასახლის კომპლექსითა და სამეფო აკლ-



დამებით. არქეოლოგიური მასალით, რომელიც ძვ. წ. XIII საუკუნით  
თარიღდება, ამ სამოსახლოზე მხოლოდ ერთ ან ორ თაობას უკავშირ-  
დება. ასე რომ, ქრონოლოგიურად ეს დასახლება ემთხვევა კრეტულ  
ტების გამგზავრების ხანას. გამოთქმულია ჰიპოთეზა, რომ მესამე  
ეს დასახლე იასონის მამას ეკუთვნოდა და იგი ტახტის მოცილე პე-  
ლიასმა გაანადგურაო. ეს კი უაღრესად დიდმნიშვნელოვანი ფაქტია:  
თუ ბერძენ არქეოლოგთა ვარაუდი დადასტურდა, მაშინ ჩნდება სა-  
ფუძველი, რომ იასონიც ისტორიულ პირად ვალიაროთ!<sup>45</sup>

ამრიგად, თქმულება არგონავტების ოქროს საწმისისათვის ლაშქ-  
რობის შესახებ მიკენური ეპოქის ბერძნული ეპოსის ერთ-ერთი შე-  
მადგენელი და უძველესი ნაწილია, ამასთან ეს თქმულება ტროის  
ომის შესახებ ცოცხლად უფრო ძველია. ამ თქმულებების რეალურ-ისტ-  
ტორიულ საფუძველს ქმნიან ზეპირსიტყვიერი ფორმულები, სახეები  
და მოტივები, რომელთა უმრავლესობა თანამედროვე მეცნიერთა ერ-  
თი საკმაოდ ავტორიტეტული ნაწილის აზრით, მიკენური წარმომოხი-  
საა.<sup>46</sup> ამის თვალსაჩინო დასტურია ის ეპითეტებიც, რომლითაც მი-  
კენური ეპოქის პოლიტიკური ცენტრები იხსენიებიან ჰომეროსის პო-  
ემებში: „ოქრომრავალი მიკენი“, „მტკიცეკედლიანი ტირინთოსი“,  
„კარგად ნაგები იოლკოსი“. ეს ეპითეტები მართლაც ზუსტად შეესა-  
ბუნდება ძვ. წ. XIV—XIII საუკუნეების რეალურ სურათს, არქე-  
ოლოგიურად რომაა დადგენილი.<sup>47</sup> როგორც ცნობილია, ზემოთ დასა-  
ხელებული ცენტრები ძვ. წ. XII ს-ში განადგურებულია<sup>48</sup> და კარგა  
ხანს იქ ცხოვრება აღარ აღმდგარა,<sup>49</sup> ყოველ შემთხვევაში, ჰომეროსის  
დროს იმ ცენტრებისათვის შემოხსენებული ეპითეტები ყოველად შე-  
უფერებელია. „კარგად ნაგები იოლკოსიც“ — არგონავტთა ლაშქრო-  
ბის საწყისი პუნქტი, XII საუკუნეში დანგრეულია.<sup>50</sup> კიდევ მეტი —  
XI—IX საუკუნისათვის მთელ თესალიაში მხოლოდ ერთადერთი ნა-  
გებობაა (ისიც იოლკოსში) ჭერჭერობით ფიქსირებული...<sup>51</sup> ასე რომ,  
მიკენური ეპოქიდან მომდინარე ინფორმაცია ზეპირსიტყვიერ ეპოსში  
ფორმულებით რომაა წარმოდგენილი, სრულიად გარკვეული რეალურ-  
ისტორიული საფუძვლის შემცველია. თუმცა მასთან ერთად ისიც  
უნდა ვალიაროთ, რომ ეპიკური ფორმულა სრულებითაც არაა უცე-  
ლელი, არამედ ზოგჯერ მიესადაგება ხოლმე მისთვის უცხო კონ-  
ტექსტსაც და ამიტომაც ზოგჯერ პირვანდელ მნიშვნელობასაც იცე-  
ლის. მაგრამ თუ ყოველივე ზემოთქმულის ასპექტში განვაანალიზებთ  
ლიტერატურულ ძეგლებში (ჰომეროსიდან მოკიდებული საშუალო

საუკუნეების კომენტატორების ჩათვლით) წარმოდგენილ არგონავტების შესახებ ყველა ვერსიას, უცილობლად შევამჩნიეთ არგონავტიკის ძირითადი სიუჟეტის უაღრესად კონსერვატიული ხასიათი, რაც იმდენად აკრძალავს, რამდენადაც აკრძალავს ოცარ ერთგვაროვნებას. ყველა ვერსიაში (ადრინდელსა თუ სულ გვიანდელში) უცვლელი რჩებიან მთავარი მოქმედი პირები (აიეტი, მედეა, იასონი) და მათი ხასიათები, ლაშქრობის მოტივი (ოქროს საწმისი) და ობიექტი (აიეტის ქვეყანა), ხოლო მისკენ მიმავალ გზაზე პლანეტების (ანუ მოხეტიალე კლდეების) გაცურვა (არგონავტების ერთ-ერთი მთავარი გმირობა).

ზემოთქმულის შეჯამებიდან ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ არგონავტების შესახებ თქმულების უძველესი ბირთვი შექმნილია მიკენურ ხანაში. მას საფუძვლად უნდა დადებოდა მიკენური ანუ აქეურის პერიოდის ზღვაოსანთა პირველი მოგზაურობა ძალზე შორეულ ქვეყანაში, სადაც მანამდე ხომალდით არავის მიულწევია (გაიხსენეთ, რომ ფრიქსემ მფრინავი ჯადოსნური ვერძის წყალობით მიაღწია მხოლოდ აიეტის საბრძანებელს). ეს მოგზაურობა ძველი ბერძნული ტრადიციის თანახმად, როგორც უკვე ითქვა, ტროის ომის, ე. ი. ძვ. წ. XIII საუკუნის 40-იანი თუ 30-იანი წლების უწინარეს უნდა განხორციელებულიყო.

#### სად მდებარეობდა აია?

არგონავტებმა ოქროს საწმისისათვის ილაშქრეს აიეტის ქვეყანაში ანუ აიაში. თუმცა სახელწოდება „აია“ ჩვენამდე მოღწეულ ლიტერატურულ ტექსტებში პირველად მხოლოდ ძვ. წ. VII—VI საუკუნეების ლირიკოსი პოეტის მიმწერმეს თხზულებაში „ნანო“ იხსენიება,<sup>1</sup> სავსებით უეჭველია, რომ ეს სახელწოდება იმთავითვე ფიგურირებდა არგონავტთა თქმულების უძველეს ვერსიებში. აკი უკვე ხომ პომეროსი იხსენიებს მეფე აიეტს, ხოლო თვით ძველ ბერძენთა განმარტებით, აიეტი ნიშნავს აიას მკვიდრს. სტეფანე ბიზანტიელი ასეთ განმარტებას გვაძლევს: „...აია: ...მისგანაა „აიეტეს“, როგორც „აზი“ — „აზიატეს“, ისე „აია“ — „აიატეს“ და „აიეტეს“.<sup>2</sup> ამ მხრივ საინტერესოა აგრეთვე პინდარეს სქოლიონებში შემონახული ცნობა, რომლის ავტორობა ძვ. წ. V საუკუნის მწერალს ფერეკიდეს მიეწერება: „...აიაში ოქროს საწმისის მოსატანად აიეტისაგან“.<sup>3</sup> ასე რომ, აიეტის საბრძანებლისა და აიას იდენტურობა სავსებით აშკარაა.



ზოგიერთ მკვლევარს „აია“ აიეტის დის — გრძნეული დედოფლის კირკეს ადგილსაცხოვრისადაც მიაჩნია, რის გამოც „აიას“ ლოკალიზაციას შეუძლებლად მიიჩნევენ და საამისოდ იმოწმებენ მარტო მარტო საშუალო საუკუნეების კომენტატორებს, რომელნიც მარტო ელობდნენ ზოგჯერ: „აიაელი კირკე — ტირენიის კუნძულ აიაიდან ან კოლხეთის აიაიდან...“ სწორედ კირკეს საცხოვრებელი კუნძულის შესახებ ამგვარმა, საკმაოდ ბუნდოვანმა წარმოდგენებმა და მითითებებმა შეუქმნეს ზოგიერთ მკვლევარს სკეპსისი აიას ლოკალიზაციის შესაძლებლობის შესახებ. აქ ხაზგასმით უნდა შევნიშნო, რომ კირკეს მართლაც რომ იდუმალი და მრავალი ზღაპრული ელემენტით მოცული კუნძულისა და აიეტის საბრძანებლის ერთმანეთთან გაიგივება, ვფიქრობ, მართებული არაა. თავი რომ დავანებოთ თუნდაც იმას, რომ მაგ., ჰომეროსის „ოდისეაშიც“ და აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკაშიც“, თვალნათლივ ჩანს, რომ კირკესა და აიეტის სამფლობელოები ერთმანეთისაგან საკმაოდაა დაცილებული, იმავე დროს ისინი სხვადასხვა სახელითაც იხსენიებიან. კირკეს „კუნძული“, როგორც წესი, მოხსენიებულია სახელწოდებით „აიაია“ (იხ. ჰომეროსის „ოდისეა“, X, 135; XI, 70; XII, 2; შდრ. აგრეთვე აპოლონორეს „ბიბლიოთეკა“, I, 9, 24/5; იოანე მალალა, „ქრონიკები“, 2; სვიდა და სხვა ბერძენ ავტორთა სქოლიონები). ასევე განასხვავებს ერთმანეთისაგან „აიას“ — აიეტის სამეფოს და „აიაიას“ — კირკეს კუნძულს აპოლონიოს როდოსელიც (შდრ. მაგ., II, 417, 422, 1094, 1141, 1185, 1267; III, 306, 1061; IV, 255 და IV, 559, 850). ამრიგად, კირკეს საცხოვრისი არის „აიაია“, აიეტისა კი — „აია“ და მათი გაიგივება საკმაოდ გაძნელებდა. თუმც აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ აკ. ურუშაძემ ყურადღება მიაქცია „ოდისეას“ (XII, 1—4) ცნობას: „ხომალდი მიადგა აიაიას კუნძულს, სადაც აისზე შობილი ეოსის სასახლეში ფერხული ეწყობა და სადაც ჰელიოსი აღმოსვლას იწყებს“ და სავსებით მართებულად დაასკვნა, რომ კირკეს სამყოფელი დასავლეთში კი არაა საგულევებელი, არამედ — აღმოსავლეთში.<sup>4</sup> მაგრამ ამჯერად ჩვენთვის პირველ რიგში „აია“-ს საკითხია გასარკვევი.

მკვლევართა ერთ ნაწილს „აია“ ქალაქის სახელწოდებად მიაჩნდა (ეს აზრი ახლაც ფართოდაა გავრცელებული, განსაკუთრებით არასპეციალისტთა შორის). ამგვარი დასკვნის საფუძველს შედარებით გვიანდელი ბერძენ-რომაელ ავტორთა და მათი საშუალო საუკუნეების კომენტატორთა მითითებანი ქმნის. ისინი პირდაპირ იხსენიებენ



აია ქალაქს და მას მდინარე ფასისზე ასახელებენ, ხოლო ზოგჯერ — დიოსკურიასთანაც კი აიგივებენ. ცნობილი რომაელი მწერალი კოლხედი სტრუბონი პლინიუსი, მაგალითად, აიას მდ. ფასისზე მდებარე ქალაქს ხეთის სხვა ქალაქებთან ერთად მოიხსენიებს.<sup>5</sup>

საშუალო საუკუნეებშიც აია ქალაქის სახელწოდებად მიაჩნდათ. ჰომეროსის პოემის „ოდისეას“ ერთ-ერთი კომენტატორი ასე განმარტავს: „აია კოლხეთის ქალაქია. აიას მოქალაქე კაცი „აიაოსია“, მოქალაქე ქალი — „აიაია“. მაგრამ იმავე კომენტატორთან ერთი სინტერესო შენიშვნაცაა — „აიაიე“ იხმარება „კოლხიკეს“ ნაცვლად ადგილის სახელის მიხედვით.“<sup>6</sup> „აია“ სახელის სხვადასხვა კონტექსტში მოხსენიების საფუძველზე ფილოლოგები სამართლიანად მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ არგონავტიკის უძველეს ვერსიებში აია ქალაქს კი არ აღნიშნავენ, არამედ ქვეყანას, სადაც ილაშქრეს არგონავტებმა. პროფესორმა თინათინ ყაუხჩიშვილმა ძვ. წ. V საუკუნის დიდი ბერძენი ისტორიკოსის, „ისტორიის მამად“ წოდებული ჰეროდოტეს ცნობების ყოველმხრივი ანალიზის შედეგად დასკვნა, რომ აიას სინონიმია კოლხეთი, ამასთან „აია“ ამ ქვეყნის ძველი სახელწოდებაა, „კოლხიდა“ — შედარებით ახალი. ამიტომაცაა ჰეროდოტესთან მოხსენიებული კომპოზიტი „აია-კოლხიდა“.<sup>7</sup> მაშასადამე, არგონავტიკის უძველეს ვერსიებში ქვეყანა, სადაც არგონავტებმა ილაშქრეს, ბერძენებისათვის „აიას“ სახელით იყო ცნობილი, ხოლო უფრო გვიან კი — „კოლხიდად“ მოიხსენიება. ასევე ძალზე ნიშანდობლივია, რომ აპოლონიოს როდოსელთანაც აია კოლხეთის სინონიმად და მის პარალელურად იხმარება. საკმარისია დავასახელო ერთი მაგალითი: „არგონავტიკის“ II წიგნის 1267 ტაეპში ნახსენებია „აიას ქალაქი კუტაია“. ხომ სავსებით აშკარაა, რომ „აია“ ქვეყანაა, რომელსაც აპოლონიოს როდოსელი სხვაგან კოლხეთს უწოდებს,<sup>8</sup> ხოლო „კუტაია“ მისი ქალაქი!

ახლა ჩვენს წინაშე დადგა ურთულესი და საკმაოდ საღისეურო საკითხი: სად მდებარეობდა აიეტის ქვეყანა „აიად“ წოდებული? ბერძენულ საკუთარ სახელთა წარმოების კანონების თანახმად, აიეტი ნიშნავს „აიას“ მკვიდრს. მიუხედავად იმისა, რომ ძველი ბერძენი ავტორები თითქმის ერთხმად „აიას“ კოლხეთთან აიგივებენ, ხოლო უკვე ძვ. წ. VIII საუკუნიდან<sup>9</sup> აიეტი ერთსულოვნად კოლხეთის მეფედაა ყველა ნაწარმოებში დასახელებული,<sup>10</sup> მაინც „აიას“ (ე. ი. იმ ქვეყნის, სადაც არგონავტებმა ოქროს საწმისისათვის ილაშქრეს) ადგილ-




მდებარეობის შესახებ აზრთა სრული სხვადასხვაობაა სპეციალური მეცნიერო ლიტერატურაში. ნიშანდობლივია, მაგ., გერმანელი ნიერის რიხარდ ჰენიგის მტკიცება: „შეუძლებელია იმის დადგენა, თუ როგორი იყო თავდაპირველი მითი, რომელსაც იცნობენ ჰომეროსი და ჰესიოდე, ვიდრე მას მიეცემოდა დამახასიათებელი და ჩვენთვის მნიშვნელოვანი თავისებურებანი. როგორც ჩანს, კოლხეთი და ოქროს საწმისი ჩართულია მითში უფრო გვიან, როდესაც განხორციელდა მდ. ფასისისაკენ ბერძენთა დაზვერვები და ლაშქრობანი ნადავლის ხელში ჩასაგდებად. ეს მოხდა ძვ. წ. VIII საუკუნეში... თუმცე პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ იასონის შესახებ თავდაპირველი მითი აღწერდა მხოლოდ ელინთა პირველ გამოჩენას შავ ზღვაში... ძვ. წ. VIII საუკუნის შემდეგაა მითში ჩართული ყველა მისი ცნობილი დამახასიათებელი თავისებურებანი — კოლხეთში ლაშქრობა, ოქროს საწმისის მოტაცება და მთელი პოეტური შენათხზი, რომლითაც მოცულია მედეას სახე...“ ამ „დებულებას“ მისი ავტორი მხოლოდ იმით „ასაბუთებს“, რომ „ჰომეროსთან არ იხსენიება მედეა, კოლხეთი, ოქროს საწმისი“. საინტერესოა, რომ რ. ჰენიგი თავის ზემოაღნიშნულ მოსაზრებას მხოლოდ „მიხვედრას“ უწოდებს და დასძენს: „იგი არაფრით არ მტკიცდება, მაგრამ კულტურის ისტორიის თვალსაზრისით სავსებით რეალურია“-ო.<sup>11</sup> საკმაოდ უცნაური მტკიცებაა, ყოველგვარ მეცნიერულ ლოგიკას მოკლებული! არსებითად იმასვე იმეორებს საბჭოთა მეცნიერი ლ. ელნიციკი: „ეგვეს გარეშეა, რომ არგონავტიკის თავდაპირველ ვარიანტში ადგილი არ ჰქონდა აიასა და კოლხეთის ლოკალიზაციას შავი ზღვის კავკასიურ სანაპიროზე... არგონავტიკა საკოლონიზაციო მოძრაობის „იდეოლოგიის“ გარკვეული გამოხატულებაა, ამდენად მისი გეოგრაფიული გარემო კოლონიზაციასთან ერთად ფართოვდება“. ამის საფუძველზე „ასკენის“ ლ. ელნიციკი: „ბერძნული კოლონიების — ფასისის და დიოსკურიის დაარსება არა უადრეს ძვ. წ. VII ს. არის terminus ad quem აიეტისა და კოლხეთის ლოკალიზაციისათვის კავკასიაში“.<sup>12</sup> სამწუხაროდ, დასახელებულ ავტორს თავი აღარ შეუწუხებია იმის სამტკიცებლად, თუ მაინც სად (თუ არა კავკასიაში?) უნდა ვეძიოთ „აიეტი“ და „კოლხეთი“ ძვ. წ. VII საუკუნის წინარე ხანაში.

სხვა ავტორებიც (რომელთა შორის უნდა დავასახელო ცნობილი გერმანელი ფილოლოგი ა. ლესკი<sup>13</sup> და საბჭოთა მკვლევარი ა. ბოლტუნოვა<sup>14</sup>) ფიქრობენ, რომ არგონავტების შესახებ თქმულების უძვე-

ლეს ვერსიებში აია. ე. ი. აიეტის საბრძანებელი ჯერ კიდევ არ იყო დაკავშირებული კოლხეთთან და გაიზარებოდა როგორც რელიგიური, ისე მხარე-მხარეობის კავშირების საფუძველი. ამ მოსაზრებას იმით ასაბუთებენ, რომ თითქოს სხვადასხვა სახის უკუნიმედ ბერძნები საერთოდ არ იცნობდნენ კოლხეთს, ხოლო არგონავტებთან დაკავშირებული სიუჟეტები ანალოგიებს პოეზებში ძველი აღმოსავლეთის მითოლოგიაში, აიასთან დაკავშირებული ტერმინები კი — შუამდინარეთის ხალხთა ენებში.

სულ უკანასკნელ ხანებში ამავე საკითხებს შეეხო დასავლეთ-გერმანელი ხეთოლოგი ფ. ჰაასი, რომელიც თავის ნაშრომებში<sup>15</sup> ცდილობს დაამტკიცოს, რომ არგონავტიკის უძველესი ვერსიით „აია“ მითითებული ქვეყანაა, სადაც „ქვეყნის დასასრულში“ მდებარე და მას საერთო არაფერი აქვს კოლხეთთან. ამ დებულების საილუსტრაციოდ ფ. ჰაასი წარმოადგენს თავისთავად ძალზე საინტერესო ხეთურ წყაროებს, რომელნიც მოწმობენ, რომ ცენტრალურ და ჩრდილოეთ ანატოლიის პროტონეთური მოსახლეობის რელიგიურ წარმოდგენებში და რიტუალებში დიდ როლს ასრულებდა ცხვრის ან თხის ტყავი, როგორც სამეფოს კეთილდღეობის სიმბოლო. ამავე დროს, ვერძის ტყავი ზოგჯერ გააზრებულია როგორც განაყოფიერების ღვთაება ან კიდევ საგანგებო ძალის მქონე ფეტიში, რომელზედაც ქვეყნის კეთილდღეობაცაა დამოკიდებული. გერმანელი მეცნიერი იმოწმებს აგრეთვე ხეთური წყაროების ცნობებს, რომ საწმისი ზოგჯერ მუხის ხეზეა ჩამოკიდებული (ისევე როგორც მითში არგონავტების შესახებ) და სხვ. მეორე მხრივ, იასონ-მედეასა და საწმისის მოდარაჯე ურჩხულის სიუჟეტთან დაკავშირებით ფ. ჰაასი ხედავს ტიპოლოგიურ პარალელებს (თუმცა არც თუ პირდაპირსა და დამაჯერებელს) ხეთურ წყაროებში ფიქსირებულ მითთან გველ ილუიანქაზე, რომელსაც ქალღმერთი ინარა ერთ-ერთი დღესასწაულისას სასმელგებით დაათრობს და ვინმე ხუფასიას მეშვეობით შებოჭავს. მაგრამ ხეთური მითიდან სრულებითაც არ ჩანს, რომ ილუიანქა ოქროს საწმისის მოდარაჯე ურჩხულია. მოტივსაც, რომლის გამო ინარამ ურჩხულის დამარცხება მოინდომა,<sup>16</sup> არაფერი აქვს საერთო მედეას ქცევასთან, რომელიც იასონის სიყვარულითაა გონებადაკარგული.

ზემოთ მოკლედ განხილული მონაცემების საფუძველზე ფ. ჰაასი ასკვნის, რომ თქმულება ოქროს საწმისის შესახებ ცენტრალურ-ანატოლიური, ხათური (პროტონეთური) წარმოშობისაა და ამიტომ კოლ-



ხეთში ვერ წარმოიშობოდაო. ამრიგად, აია და მასთან დაკავშირებული თქმულება ოქროს საწმისის შესახებ კოლხეთში მხოლოდ 750 წლისთვისაა ბერძენი კოლონისტების მიერ მიღებული ნილიო. ვფიქრობ, რომ მთელი ეს მსჯელობა, ბერძნული არგონავტიკის უძველეს ვერსიაში მოხსენიებული „აიას“ ლოკალიზაციისათვის ყოვლად გაუმართლებელია, ვინაიდან არავინ ამტკიცებს, თითქოს მითი ოქროს საწმისის შესახებ კოლხეთში იყოს წარმოშობილი (თუმცა როგორც მომდევნო თავში ვნახავთ, ბევრი მითოლოგიური რეალიები ეთნოგრაფიული მონაცემებით კოლხეთშიც დასტურდება). აქ მთავარი და არსებითი ისაა, რომ თქმულება არგონავტების ოქროს საწმისისათვის აიეტის ქვეყანაში ლაშქრობის შესახებ კოლხეთში კი არაა წარმოშობილი (და, სხვათა შორის, არც ხეთურ სამყაროში), არამედ იგი აქვეური ანუ მიკენური ხანის, ე. ი. ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრის ბერძნული ეპოსის ორგანული შემადგენელი ნაწილია (ისევე, როგორც ტროის ომი და თებეს ციკლი). რაც შეეხება ბერძნულ ეპოსში ოქროს საწმისის, როგორც სამეფო ხელისუფლებისა და სამეფოს კეთილდღეობის სიმბოლოს, ეს მოტივი ბერძნულ-აქვეურ სამყაროში შეიძლება მართლაც ხეთურ-ანატოლიური სამყაროდან იყოს შესული. ძველი აღმოსავლური მითოლოგიური სიუჟეტებისა და სახეების ბერძნულ მითოლოგიაში გავრცელების არაერთი მაგალითია დღეს ცნობილი. საკმარისია დავასახელოთ თუნდაც ის ფაქტი, რომ ჰესიოდეს მიერ დამუშავებული ციკლი თქმულებებისა სამყაროსა და ღმერთების წარმოშობაზე და სხვ., სათავეს ძველი აღმოსავლეთის ხალხთა მითოლოგიაში იღებს.<sup>17</sup>

ძველი აღმოსავლური მითოლოგიური სიუჟეტებისა თუ რელიგიური რწმენა-წარმოდგენების მიკენური ხანის საბერძნეთში გავრცელების არაერთი გზა არსებობდა: ზოგჯერ სავაჭრო-ეკონომიკური თუ კულტურული ან პოლიტიკური კონტაქტების შედეგად გარკვეული სიუჟეტის ნასესხობასთან გვაქვს საქმე, ზოგჯერ ესა თუ ის მითოლოგიური მოტივი შეიძლება სრულიად ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად გაჩნდეს სხვადასხვა ხალხებში. არც ისაა გამორიცხული და იქნებ სწორედ უფრო საფიქრებელი ისაა, რომ ოქროს საწმისი, როგორც სამეფო ხელისუფლებისა და ქვეყნის კეთილდღეობის შესახებ რწმენა-წარმოდგენა, საერთო ინდოევროპული ფენომენია, რომელიც ხათურმა (პროტოხეთურმა) ტექსტებმა შემოინახეს. თუ გავითვალისწინებთ, რომ პრაინდოევროპული ეთნოსის პირვანდელ სამშობლოდ

თამაზ გამყრელიძისა და ვიჩესლავ ივანოვის ახალი თეორიის თანახმად<sup>18</sup> მიჩნეულია სწორედ ძველი წინა აზია, საიდანაც ბერძნული დიალექტების მატარებელი ტომების გამგზავნის მათი თანდათანობითი გავრცელება ჯერ მცირე აზიის ცენტრალურ და დასავლეთ ნაწილში, ხოლო შემდეგ — კონტინენტურ საბერძნეთსა და ეგეოსის ზღვის კუნძულებზე, მაშინ სავარაუდებელია, რომ ოქროს საწმისის შესახებ რელიგიური რწმენა-წარმოდგენები ბერძნებმა თავიანთი პირვანდელი სამშობლოდან წაიღეს.<sup>19</sup> ამ თვალსაზრისით ინტერესს მოკლებული არაა ის ფაქტიც, რომელსაც თვით ფ. ჰაასემ მოაქცია ყურადღება და აღნიშნა კიდევ: პელოპიდთა სამეფოს შესახებ არსებულ ბერძნულ ლეგენდაში, რომელიც ბერძნულ მითოლოგიაში ერთ-ერთ ყველაზე უფრო არქაულადაა მიჩნეული, ოქროს საწმისი წარმოადგენდა სამეფოს განსახიერებას.<sup>20</sup> ასეთ შემთხვევაში კი შეუძლებელია არ გავიხსენოთ, რომ ბერძნული მითოლოგიის თანახმად პელოპიდების ოჯახის დამაარსებელი პელოპსი (საბერძნეთის ერთ-ერთი ოლქის პელოპონესის ეპონიმად რომაა მიჩნეული) არის შვილი ტანტალოსისა, რომელიც ერთ-ერთი ვერსიით მცირე აზიის მმართველი იყო (წარმოშობით კი ლიდიელი ან ფრიგიელი თუ პაფლაგონელი).

ამრიგად, ფ. ჰაასის ნაშრომებში წარმოდგენილი ძალზე საინტერესო მასალა ოქროს საწმისის კულტის ანატოლიის პროტოხეთურ მოსახლეობაში გავრცელების შესახებ, სრულებითაც არ წარმოადგენს საფუძველს იმის სამტკიცებლად, რომ თითქოს არგონავტების საბოლოო მგზავრობის ასპარეზად კოლხეთი მხოლოდ ძვ. წ. VIII ს-ის მეორე ნახევრიდან მივიჩნიოთ. აქვე უნდა ხაზგასმით შევნიშნო, რომ თუ ოქროს საწმისი სამეფო ხელისუფლების სიმბოლოა, მაშინ მისთვის ლაშქრობის აგრე პოპულარობა საბერძნეთში ძვ. წ. VIII საუკუნის შემდგომ რამდენადმე გაუგებარი გახდება. ცნობილია, რომ სწორედ ძვ. წ. VIII—VII საუკუნეებიდან საბერძნეთის მიწა-წყალზე ყალიბდება სახელმწიფოებრიობის სრულიად თავისებური ფენომენი — პოლისი ანუ ქალაქი-სახელმწიფო, რომლის იდეოლოგია მკვეთრად უპირისპირდება მონარქიას და საერთოდ მონარქიულ იდეოლოგიას. ეს კიდევ ერთი მოწმობაა არგონავტების ოქროს საწმისისათვის ლაშქრობის მოტივის სიძველისა და მისი წინაპოლისური ეპოქის ანუ სწორედ მიკენური ეპოქისადმი კუთვნილებისა.

ახლა კვლავ დავუბრუნდეთ აიას ქვეყნის ლოკალიზაციის საკითხს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მკვლევართა ერთი ნაწილი დრამატულ სექტიკურად უყურებს „აიას“ ქვეყნის ადგილმდებარეობის დადგენის შესაძლებლობას, არამედ იგი მიაჩნიათ საერთოდ რაღაც მართო ქვეყნად, რომელსაც თითქოს არავითარი კავშირი არაა ვის ვი ზღვის სანაპიროებთან. მაგრამ თუ გავიზიარებთ ასეთ თვალსაზრისს, მაშინ საერთოდ ყოვლად გაუგებარი და უზარო გახდება მთლიანად მითი ოქროს საწმისისათვის ლაშქრობის შესახებ და მისი არაჩვეულებრივი პოპულარობა ბერძნულ სამყაროში ანტიკური საზოგადოების განვითარების მთელ მანძილზე. ამ თემაზე არაერთმა ბერძენმა თუ რომელმა მწერალმა, პოეტმა თუ დრამატურგმა, მხატვარმა თუ მოქანდაკემ შექმნა თავისი ნაწარმოებები. კიდევ ერთხელ დავასახელოთ გენიალური პომეროსი, გამოჩენილი მწერლები ჰესიოდე და ევმელოს კორინთელი, დიდი ბერძენი ტრაგიკოსები ესქილე, სოფოკლე და ევრიპიდე, უცნობი ხელოვანი დელფოში სიციონელთა საგანძურის ფრინჯი რომ გამოაქანდაკა და შესანიშნავი ათენელი მხატვარი-კერამიკოსი დურისი, ლირიკოსი პოეტები მიმნერმე, ანაკრონტი და პინდარე, ალექსანდრიული ეპოქის პოეტი და მეცნიერი აპოლონიოს როდოსელი, სახელგანთქმული რომაელი პოეტი და მოაზროვნე სენეკა და კიდევ სხვა, რომელი ერთი. ერთხმადაა აღიარებული, რომ ძველ ბერძნულ სამყარო ეპოქაში არგონავტების კოლხეთში ლაშქრობა ტროის ომის შემდეგ ყველაზე უფრო სახელგანთქმული ამბავია. მითი არგონავტების შესახებ ძალზე პოპულარული იყო მთელი ანტიკური პერიოდის განმავლობაში და მის მერმეც (არას ვიტყვი ამ მითის პოპულარობაზე რენესანსისა და შემდგომი ხანის ევროპულ ლიტერატურასა და ხელოვნებაში). მაგრამ სწორედ ბერძენთა შორის ამ მითის აგრე არაჩვეულებრივი პოპულარობაა თითქოს რამდენადმე უცნაური: ხომ კარგადაა ცნობილი, რომ ბერძნული მითები, როგორც წესი, მოგვითხრობენ ძველ ელინთა არაჩვეულებრივ სამყარო საქმეებზე — ძლევაგამოსილი ლაშქრობები, უცხო ქვეყნების დაპყრობა-დამორჩილება, მდიდარი ნადავლის მოხვეჭა, ქალაქების დაარსება და სხვა მისთანანი, საქვეყნოდ რომ განადიდებდა ბერძენთა გმირობასა და ვაჟკაცობას! მაგრამ თუ კარგად ჩავუყვირდებით ჩვენთვის ახლა საინტერესო ბერძნული მითის შინაარსს, თვალნათლივ დავინახავთ, რომ კოლხეთში არგონავტებს მაინცადამაინც საარაკო გმირობა არაფერი ჩაუდენიათ. მითის მიხედვით ზომ კარგად ჩანს, რომ კოლხთა მეფის ასული მედეა რომ არა, არგონავტები და მათი წინამძღოლი

იასონი ვერც აიეტის პირობას შეასრულებდნენ, ვერც ოქროს საწმისს მოიტაცებდნენ და ვერც სამშობლოში დაბრუნდებოდნენ მშვიდობიანად. ამ ასპექტში დიდ ინტერესს იწვევს ისიც, რომ ვერცხლმწიფი-ლი სახვითი ხელოვნების ძეგლებზე ზოგჯერ წარმოდგენილია ისეთი სიუჟეტებიც, რომელნიც ლიტერატურული წყაროებით ცნობილი არაა. ასე მაგ., ერთ-ერთ ძველ ბერძნულ მოხატულ ჰურპელზე (ე. წ. წითელფიგურულ ლარნაკზე), რომელიც ძვ. წ. V საუკუნის დასაწყისის ცნობილი ბერძენი ოსტატის დურისის ნახელავადაა მიჩნეული, გამოსახულია ოქროს საწმისის მოდარაჟე გველეშაპი, რომლის ხახიდან ამოდის წვეროსანი მამაკაცი. წარწერა გვამცნობს, რომ ესაა იასონი — არგონავტთა წინამძღოლი, რომლის დასახმარებლად მოსულა იქვე გამოსახული ათენა — ქალღმერთი.<sup>22</sup> გველეშაპის მიერ იასონის გადაყლაპვის სიუჟეტი უცნობია ჩვენამდე მოღწეული არგონავტიკის ლიტერატურულ ვერსიებს შორის. ეს გამოსახულებაც იმის მოწმობაა, რომ საკუთრივ კოლხეთში ბერძენთა წინამძღოლს იასონს, მითის ზოგიერთი ვერსიით მაინც, მხოლოდ ქალღმერთ ათენას მეშვეობით დაუღწევია თავი ოქროს საწმისის მოდარაჟე გველეშაპისაგან და შემდეგ კი მედეას დახმარებით მიუღწევია საწაღელისათვის. აკი მიმწერმეც (ძვ. წ. VII—VI სს-ის ბერძენი პოეტი) აღიარებდა: „თვით იასონიც ვერასდროს ვერ წამოიღებდა დიად საწმისს აიადან, მედეას სიყვარულს რომ არ ეშველა“. კიდევ მეტი: ბერძნული მითის თანახმად, არგონავტებმა ვერაგულად მოკლეს კოლხი უფლისწული აფსირტე და რის ვაი-ვაგლახით დააღწიეს თავი აიეტის მიერ იასონის შესაპყრობად წარგზავნილ კოლხ მეომრებს... და მიუხედავად ყოველივესი, ძველ ბერძნულ ეპოსში, როგორც ვთქვით, არგონავტების კოლხეთში ლაშქრობა ერთ-ერთ ყველაზე უფრო საგმირო საქმედაა მიჩნეული.

ასეთ ვითარებაში ბუნებრივია ვიკითხოთ: რატომ იყო თქმულება არგონავტების ოქროს საწმისისათვის აიეტის ქვეყანაში ლაშქრობის შესახებ აგრე პოპულარული ბერძენთა შორის? რა არის ის არსებითი და ძირითადი, რამაც, ეპოსის ცნობილი მკვლევარის ა. ვესელოვსკის სიტყვები კიდევ ერთხელ რომ გავიმეოროთ, „ააღელვა საერთო სახალხო ფანტაზია და ამიტომაც აისახა ლირიკულ-ეპიკურ სიმღერებში?“ რა ისტორიული ფაქტი მანამდე გაუგონარი გმირობისა უნდა დასდებოდა საფუძვლად არგონავტთა მოგზაურობის შესახებ აგრე პოპულარულ და საქვეყნოდ განდიდებულ თქმულების შექმნას?

მე ვფიქრობ, რომ არგონავტების შესახებ მითის აგრე ვოპულ-  
რობას აქვს ორი ასპექტი და წინასწარ მინდა ვთქვა — ორვეკივენი  
ალურ საფუძველზე აღმოცენებული: არგონავტები იასონის <sup>ქველმოქმედნი</sup>  
ვანელობით არიან შავი ზღვის სანაპიროებისაკენ გზის გამკვლევნი და  
ბერძნული სამყაროსათვის ახალი ქვეყნის (აია-კოლხეთის) აღმოჩენ-  
ნი!

ჯერ კიდევ გენიალური პომეროსი თავისი „ოდისეას“ XII სიმ-  
ღერის 59—72-ე ტაეებში, სადაც აღწერილია პლანეტები ანუ „მო-  
ხეტიალე კლდეები“, შავი ზღვის მისადგომებთან (ე. ი. თანამედროვე  
ბოსფორის სრუტეში) რომ ყოფილან თითქოს აღმართული,<sup>23</sup> წერდა:

„იქ დაიდული კლდეებია,  
რომელთაც ხმაურით ეხეთქება შავთვალა  
ამფიტრიტეს დიდი ტალღა.  
ნეტარი ღმერთები მათ „მოხეტიალე  
კლდეებს“ (პლანეტებს) ეძახიან.  
მათ ვერ გაუფრენს ახლოს ფრთოსანი,  
ვერც მზღალი მტრედეები, რომელთაც შამა  
ზევისისათვის ამბროსია შიაკეთ.  
აღამიანთა არც ერთი ხომალდი, რომელიც კი  
იქ მისულა, არ გადარჩენილა:  
ზღვის მძინვარება და ცეცხლის ბოზოქარი  
ალი ერთად ფიცრებსდა და ვაეკაცო  
გვამებს მოაქანავებს.  
მხოლოდ ერთმა საზღვაო ხომალდმა,  
ყველასათვის საწუკვარმა „არგომ“.  
აიეტისაგან მომავალმა გასცურა პლანეტებში“.

(ა. ურუშადის თარგმანი)

პომეროსის შემდგომაც ბერძნულმა სამყარომ არგონავტების მი-  
ერ პლანეტების (ე. ი. დარდანელ-ბოსფორის სრუტეების) ხომალდით  
გავლა შავ ზღვაზე ბერძენთა ნაოსნობის დასაწყისად მიიჩნია. აპო-  
ლონიოს როდოსელიც შენიშნავდა: „პირქუშმა კლდეებმა, კვლავ რომ  
დაშორდნენ ერთი მეორეს, ძირი გაიდგეს და სამარადისოდ შეჩერდ-  
ნენ. ნეტარმა ღმერთებმა ოდესღაც გადაწყვიტეს, რომ თუკი ვინმე  
ამ კლდეებს იხილავდა და გადასცურავდა, ისინი უმოძრაო კლდეებად  
უნდა ქცეულიყვნენ“. კიდევ უფრო თვალსაჩინოდ არგონავტთა დამ-  
სახურება წარმოსახა ბერძნული საგუნდო ლირიკის უდიდესმა წარ-  
მომადგენელმა პინდარემ (ძვ. წ. V ს.): „ნახევრად ღმერთების (არგო-





ნავტების — ო. ლ.) ამ ლაშქრობამ შემაჯახებელ კლდეთა მოძრაობას საზღვარი დაუდო. შავი ზღვის სანაპიროებისაკენ ცურვას წინააღმდეგ-თათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა ჯერ კიდევ სტრატონიკოსის ოდში, როცა მოეწყო ლაშქრობა ტროისათვის, რომელიც შავი ზღვის მისადგომებთან იყო განლაგებული. შემდეგ კი ეს განსაკუთრებით თვალნათლივ გამოიკვეთა ძვ. წ. VIII—VII სს-ში, როდესაც იწყება ძველ ბერძენთა დიდი საკოლონიზაციო მოძრაობა, ე. ი. ბერძენთა განსახლება და ახალი აგრარული და სავაჭრო ქალაქების დაარსება შავიზღვისპირეთში. ამ რთული გზის პირველგამკვლევნი კი სწორედ არგონავტები იყვნენ, რომელთაც გააგრძელეს აგრეთვე პირველი ცნობები შავიზღვისპირეთის შესახებ ბერძნულ სამყაროში, განსაკუთრებით კი მდიდარი და მრავალი სიკეთით აღსავსე კოლხეთის შესახებ.

ამიტომაც მიიჩნია ბერძენმა ხალხმა იმავეთვე არგონავტები თავის სათაყვანებელ გმირებად, თითქმის ღმერთებს გაუტოლა ისინი (პინდარემ ხომ „ნახევრად ღმერთები“ უწოდა მათ) და საუკუნეების მანძილზე ჯეროვან პატივს მიაგებდა მათ გმირობას, ახალი საზღვაო გზების გაკვლევასა და ახალი ქვეყნების აღმოჩენაში რომ გამოიხატა.<sup>24</sup> უბრალოდ რომ ვთქვათ, ძველმა ბერძენებმა ისევე აღიქვეს და პატივი მიაგეს შავი ზღვის სანაპიროებისაკენ პირველ წარმატებულ ცურვას, როგორც შემდგომმა თაობებმა კოლუმბს ატლანტიკის გადაცურვისა და ამერიკის აღმოჩენისათვის.

ამრიგად, თუ თქმულების უძველეს ვერსიას გამოვაცლით მის ძირითად მოტივს, ე. ი. არგონავტების მიერ შავი ზღვის სრუტეების პირველ გაცურვას, თქმულება არგონავტების შესახებ მაშინვე დაკარგავს მთელს თავის დედააზრს. ძვ. წ. VIII საუკუნეში და მის შემდგომ კი შავი ზღვის სრუტეების გადაცურვა უკვე ჩვეულებრივი იყო. კლდე მეტი! ამ დროს არამცთუ პირველი მოგზაურობანი არაა მოულოდნელი, არამედ ბერძნული ქალაქები და სამოსახლოებიც (ე. წ. ბერძნული კოლონიები) კია დაარსებული მარმარილოს ზღვის სანაპიროებსა და შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზეც.<sup>25</sup> ამას კი წინ უსწრებდა უკვე რეგულარული საზღვაო მიმოსვლა. ამიტომაც შავი ზღვაც უკვე ამ დროს იწოდება ბერძნულად „პონტოს ექსესინოს“ (ე. ი. „სტუმართმოყვარე ზღვად“), განსხვავებით პონტოსის ეპოქისაგან, როდესაც სტრაბონის სიტყვებით მას „აქსენოს“. ე. ი. „არასტუმართმოყვარე“ ერქვა.<sup>26</sup> ასე რომ, ძვ. წ. VIII საუკუნეში შა-

ვი ზღვის სრუტეების გაცურვა და შავი ზღვის სანაპიროების მოწვევა  
ვერ ჩაითვლება ისეთ დიდ გმირობად, რომელიც ისეთი დიდი ძალი  
მხატვრული ეპიკური ნაწარმოების შექმნას გამოიწვევდა, რაზეც მხოლოდ  
არგონავტების ოქროს საწმისისათვის მოგზაურობაა აიეტის ბეჭეტი  
ში. ეს მითი უკვე, როგორც წინა თავში დავრწმუნდით, მიკენურ ხა-  
ნაში შეიქმნა და იგი აქაველი ზღვაოსნების შავი ზღვის სრუტეების  
პირველ გაცურვას მიეძღვნა. მართლაც ძვ. წ. XIV—XIII საუკუნე-  
ებში ბერძნულმა ზღვაოსნობამ და ვაჭრობამ განვითარების განსაკუთ-  
რებით მაღალ დონეს მიაღწია. ახალი არქეოლოგიური აღმოჩენები  
(კერძოდ მიკენური კერამიკისა) მოწმობენ აქედან ელადის ცხოველ  
სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობას არა მხოლოდ სამხრეთ და და-  
სავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთთან, არამედ მცირე აზიასთან (სადაც  
უკვე აქაველ ბერძენთა ახალშენებიცაა აღმოჩენილი, მაგ. მილეტში),  
განსაკუთრებით ტროასთან, რომელიც შავი ზღვისაკენ მიმავალ გზა-  
ზე მდებარეობდა. საინტერესოა იმის აღნიშვნაც, რომ ზოგიერთ მეც-  
ნიერს ტროის ომის შესახებ ბერძნული თქმულება შავი ზღვის სრუ-  
ტეებისათვის აქაველთა ბრძოლის ანარეკლადაც კი მიაჩნია.<sup>27</sup>

არგონავტებს რომ მართლაც შავი ზღვის სანაპიროებისაკენ ევა-  
ვით გეზი, ამას თვალნათლივ მოწმობს ე. წ. ლემნოსის სიუჟეტიც,  
რომელიც თქმულების ერთ-ერთ უძველეს და ორგანულ ნაწილადაა  
მიჩნეული: „ილიადაში“ (VII, 468; XIII, 747) ხომ უკვე იხსენიება  
იასონისა და კუნძულ ლემნოსის გამგებელი ქალის ჰიპსიპილეს ვაჟი  
ევნეოსი. სამართლიანად შენიშნა რისმაგ გორდეზიანმა,<sup>28</sup> რომ არგო-  
ნავტები, რომელთაც მოგზაურობა იოლკოსიდან დაიწყეს, კუნძულ  
ლემნოსზე მხოლოდ იმ შემთხვევაში შეჩერდებოდნენ, თუ ისინი შა-  
ვი ზღვისაკენ მიემართებოდნენ. საინტერესოა აღინიშნოს: ახალი არ-  
ქეოლოგიური აღმოჩენები მოწმობენ, რომ ძვ. წ. III—II ათასწლე-  
ულებში ლემნოსი მჭიდროდა დასახლებული<sup>29</sup> და შესაბამისად ლემ-  
ნოსის ეპიზოდის გაჩენაც არგონავტების შესახებ მითის უძველეს  
ციკლში შემთხვევითი არაა. რისმაგ გორდეზიანმა გაამახვილა აგრეთ-  
ვე ყურადღება კიდევ ერთ საინტერესო მომენტზე, კერძოდ, ჰომეროსის  
„ილიადაში“ იხსენიება გეოგრაფიული სახელწოდება „ჰელეს-  
პონტი“, რომელიც მოგვიანო ხანის წყაროებშიც თრაკიული ქერსო-  
ნესისა და მცირე აზიის გამყოფი სრუტის აღმნიშვნელია. მითის თა-  
ნახმად სწორედ ამ სრუტეში გადმოვარდა ოქროს ვერძიდან აიეტის  
ქვეყანაში ძმასთან ერთად მიმავალი ჰელე და ამიტომაც ეწოდა ამ

ადგილს ჰელესპონტი, ე. ი. „ჰელეს ზღვა“. ბუნებრივია, ორქობნიდან აიასაკენ ლტოლვილებს იმ შემთხვევაში მოუწევდათ, რომლებმაც ამ სრუტეზე გადაფრენა, თუ აია შავი ზღვის სანაპიროზე მოხდა.<sup>30</sup>

ამგვარად, სავსებით ნათელია, რომ არგონავტიკის უძველესი და პირველივე ვერსიის ისტორიულ საფუძველს წარმოადგენდა ბერძენთა მიერ შავი ზღვის სრუტეების გაცურვა და შავი ზღვის სანაპიროებზე მდებარე ქვეყნების პირველგაცნობა. „აია“ კი, რომელიც ამ პირველ მგზავრობისას მოინახულეს ბერძნებმა, უთუოდ იყო რეალურად არსებული მდიდარი და ძლიერი ქვეყანა, რომელსაც შემდგომ საუკუნეების მანძილზეც განადიდებდა დიდი ბერძენული ლიტერატურა. ჭერ კიდევ სტრაბონმა, ძველი სამყაროს ერთ-ერთმა უდიდესმა გეოგრაფოსმა და ისტორიკოსმა, სავსებით სწორად (ახალი დროის ზოგიერთი მეცნიერისაგან განსხვავებით) შენიშნა: „(პომპროსთან) კარგადაა ნათქვამი: „ყველასათვის სანუკვარი არგო“, ვინაიდან ხომალდით მოგზაურობა მოხდა ცნობილ და კარგად დასახლებულ ადგილებში. როგორც სკეპსისელი<sup>31</sup> ამბობს, იმოწმებს რა მიმნერმეს, რომელიც აიეტის საცხოვრისს ოკეანეში ათავსებს, პელიასმა იასონი გაგზავნა აღმოსავლეთისაკენ, მაგრამ თუ ამას მივიღებთ, მაშინ სარწმუნო არ იქნება არც ეს ლაშქრობა საწმისისათვის უცნობ და იღუმალ ადგილებში და არც უდაბურ, დაუსახლებელ და ჩვენგან აგრე დაშორებულ მხარეებში მოგზაურობა გახდებოდა ესოდენ სახელგანთქმული და ყველასათვის სანუკვარი“. სტრაბონის აზრი სავსებით გასაგები და ლოგიკურია: „არგოსა“ და არგონავტების მოგზაურობა იმიტომაც აგრე განდიდებული და „ყველასათვის სანუკვარად“ ქცეული, რომ იგი მოხდა კარგად ცნობილსა და დასახლებულ ადგილებში. სამწუხაროდ, როგორც ვნახეთ, ახალი დროის ზოგიერთმა მეცნიერმა, ჭერ კიდევ ორი ათასი წლის წინ სტრაბონის მიერ აგრე თვალსაჩინოდ და დამაჭრებლად ხაზგასმული ფაქტი უგულვებელყო და არამცთუ აიეტის ქვეყანა მიიჩნია რაღაც არარსებულ, არარეალურ ქვეყნად, არამედ თვით ბერძენთა პირველი მოგზაურობა შავი ზღვის სანაპიროებისაკენ გამოორიცხა არგონავტთა შესახებ თქმულების პირვანდელი ვერსიებიდან. ამით კი ყოველგვარი საფუძველი გამოაცალა თვით თქმულებას არგონავტების გმირობის შესახებ და სრულ უაზრობად გახადა იგი.

ქართულ საისტორიო და ფილოლოგიურ სამეცნიერო ლიტერატურ-



რაში იმთავითვე აია რეალურ ქვეყნად იქნა მიჩნეული და კოლხეთთან გაიგივებული.<sup>32</sup> მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ კონკრეტულად აიას ლოკალიზაციის შესახებ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაშიც აზრთა გარკვეული სხვადასხვაობაა. მკვლევართა ერთი ნაწილი აიას შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე ვარაუდობს და უნდა ითქვას, რომ არც თუ უსაფუძვლოდ: მიიჩნევენ, რომ ძველ აღმოსავლურ (ჯერ ასურულ და შემდგომ ურარტულ) წყაროებში თითქოს სწორედ ჭოროხის აუზსა და მის სამხრეთით იხსენიება კოლხთა ძლიერი გაერთიანება. ამიტომ ამ თვალსაზრისს საკმაოდ ყურადღებით უნდა გავეცნოთ.

საინტერესოა, რომ ჯერ კიდევ ცნობილი დილეტანტი-არქეოლოგი, ტროისა და მიკენის პირველადმომჩენი ჰაინრიხ შლიმანი აიას ქვეყანას საღდაც ბათუმის მიდამოებში ვარაუდობდა და მას ამ მიდამოებში რუსეთის საარქეოლოგიო საზოგადოებისაგან 1883 წელს გათხრების ჩატარების უფლებაც კი უთხოვია, მაგრამ უარი მიუღია. ჩვენთვის ამჯერად საინტერესო ისაა, რომ შლიმანს თურმე „ამ მიდამოებში იზიდავდა ძველი საბერძნეთისა და კოლხეთის ოდინდელი მკიდრო ურთიერთკავშირები“.<sup>33</sup> ძნელი სათქმელია ახლა რა საფუძველი ჰქონდა ასეთი განცხადებისათვის ჰაინრიხ შლიმანს, რომელიც ძველი ბერძნული წყაროების (პირველ რიგში კი ჰომეროსის) საკმაოდ ღრმად ცოდნასთან ერთად გასაოცარი ინტუიციითაც იყო დაჯილდოებული.

აიას შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე ლოკალიზაციის შესაძლებლობის საკითხს ფართოდ განიხილავს პროფესორი თეიმურაზ მიქელაძე.<sup>34</sup> თავისი თვალსაზრისის დასამტკიცებლად მკვლევარს არაერთი საინტერესო და ფრიალ ანგარიშგასაწევი არგუმენტები მოაქვს, რის შედეგადაც ასკენის: „თუ „არგონავტიკის“ გვიანდელ ვერსიებს დავეყრდნობით, დავინახავთ, რომ არგონავტების ლაშქრობის ადგილი აიეტის სამეფოა, რომელსაც „ოდისეასა“ და ჰეროდოტეს გარდა, ყველა წყარო კოლხეთს უწოდებს. ასეთ ერთობლივ დამოწმებას არ შეიძლება ანგარიში არ გაუწიოთ. საფიქრებელია, რომ აიეტის სამეფო კოლხების ქვეყანაა და იგი ტერიტორიულად იქ მდებარეობდა, სადაც საფუძველი ჩაეყარა კოლხეთის დიდ გაერთიანებას, რომელიც დამოწმებულია სარდური II წარწერაში და რომელსაც შეიძლება ეგმელოსის ცნობაც გულისხმობს. აქედან უნდა მომდინარეობდეს არგონავტების ლაშქრობის კოლხეთთან დაკავშირება, ხოლო ამ უკანასკნელის ცენტრის ჩრდილოეთით ვადა-



ნაცვლების შემდეგ, უფრო გვიან ფასის-რიონის მხარესთან გაიგივება. ეს გასაგებიცაა, რადგან გვიანი პერიოდის ავტორებმა მხარესთან მხარე იყო. მაგრამ აიას სამეფო, რომელიც უკვე მიღებული პირობითი ქრონოლოგიის, ისე ბერძნული ტრადიციის და არგონავტების მითში აღწერილი ყოფის მიხედვით, წინ უსწრებდა კულხას გაერთიანებას. ამიტომ დაგვებადა ახრი: მითში ოქროს საწმისის შესახებ აიეტის სამეფოს სახით ხომ არ აირეკლა დაიენის სამეფო, რომელიც ჭერ კიდევ ძვ. წ. XII ს-ის მიწურულშია დამოწმებული ტიგლათფილესარ I წარწერაში“.

თ. მიქელაძის მთავარი არგუმენტაცია შემდეგში მდგომარეობს: ძვ. წ. VIII საუკუნისათვის (50—40-იან წლებში) სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში დადასტურებულია კოლხთა ძლიერი პოლიტიკური გაერთიანება, რომელიც ურარტუს მეფის სარდურა II-ის წარწერაში „კოლხა // კულხას“ სახელით იხსენიება.<sup>35</sup> შესაბამისად ამავე ტერიტორიაზე საგულგებელი აიეტის სამეფოც, რომლის არსებობა ძვ. წ. XIII საუკუნის უწინარესაა სავარაუდებელი. ამიტომაც თ. მიქელაძე ვარაუდობს, რომ მითში ოქროს საწმისის შესახებ აიეტის სამეფოს სახით აირეკლა სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში არსებული ძლიერი პოლიტიკური გაერთიანება, რომელიც წინ უსწრებდა იმავე ტერიტორიაზე კოლხა // კულხას სამეფოს შექმნას. ასეთად მან მიიჩნია ასურული წყაროების დაიენის (ურარტული წყაროების— დიაუხის) სამეფო. თ. მიქელაძე ხედავს აგრეთვე გარკვეულ კავშირს აია და დაიანი // დაიენი სახელებს შორისაც.<sup>36</sup> მე პირადად აიასა და დაიენის გაიგივების შესაძლებლობას ვერ გავიზიარებ, რამდენადაც ასურული წყაროების დაიენის (შესაბამისად უფრო გვიანდელი ხანისათვის — ურარტული წყაროების დიაუხის და ბერძნული წყაროების ტაოხების ტომის საცხოვრისი) ადგილ-სამყოფელი საკმაოდ კარგადაა ცნობილი აკადემიკოს გიორგი მელიქიშვილის გამოკვლევებით:<sup>37</sup> ძვ. წ. XII საუკუნეში დაიენი მეთავეობდა მდ. ევფრატის ზემო წელსა და კიდევ უფრო მის ჩრდილოეთით მცხოვრებ ტომთა დიდ გაერთიანებას. დღევანდელი არზრუმისა და ყარა-სუს სათავეებთან მდებარე ოლქები წარმოადგენდნენ დაიენის სამხრეთ პერიფერიას, ძირითადად კი დაიენის ტერიტორია დასახელებული ოლქების ჩრდილოეთით ვრცელდებოდა და ისტორიული საქართველოს ერთ-ერთი პროვინციის — ტაოს მიწა-წყალს ემთხვეოდა. დაიენი არასოდეს არ წარმოადგენდა ზღვისპირა ქვეყანას. ასურეთის მეფის ტიგ-



ლათფილესარ I ერთი წარწერის თანახმად, ერთ-ერთი ბრძოლის დროს „ზემო ზღვის“, ე. ი. შავი ზღვის პირას მცხოვრებ ტყვეების მეფის“ ლაშქარი დაიანის მოკავშირედ გამოდის. აქედანაც ჩანს, რომ თვით დაიანის ტერიტორია შავ ზღვამდე არ ვრცელდებოდა.<sup>38</sup> ეს გარემოება კი, ბუნებრივია, იმთავითვე გამორიცხავს დაიანის აიასთან გაიგივებას: აია ხომ ზღვისპირა ქვეყანაა!

აიას ლოკალიზაციასთან დაკავშირებით ძალზე საყურადღებოა აკადემიკოს ვიორგი მელიქიშვილის მოსაზრებანი. ერთი მხრივ, იგი არ ეთანხმება იმ მკვლევარებს, რომელნიც არგონაეტების მითში კოლხეთის თემას გვიანი (ე. ი. ძვ. წ. VIII ს-ის და შემდეგი) დროით ათარიღებენ, „რადგან ძვ. წ. VIII ს-ის ბოლოდან, ყოველ შემთხვევაში, როდესაც განადგურდა (კიმერიელების შემოსევების შედეგად) ეს ძლიერი ძველი კოლხური სამეფო, ძველბერძნულ წარმოდგენებში ამგვარი კოლხეთის გაჩენისათვის თითქოს საფუძველი არც უნდა ყოფილიყო“. მეორე მხრივ, აკად. გ. მელიქიშვილის აზრით „არც ისაა სავალდებულო, რომ კოლხეთის თემის გაჩენა ამ თქმულებაში მეტისმეტად შორეულ ხანას, ტროის ომის წინა პერიოდს დაუკავშიროთ... თუმც იქვე ავტორი დასძენს: „შავიზღვისპირეთის კოლხეთის (კილხის) შესახებ ასურულ წარწერებში დაცული ცნობების ზემოთმოტანილი ინტერპრეტაციით თითქოს არც იმის საფუძველი არსებობს, რომ ასეთი კოლხეთი ესოდენ შორეულ ხანაშიც არ ივარაუდება“. ამჯერად ჩვენთვის სწორედ „ზემოთმოტანილი ინტერპრეტაციაა“ უადრესად საყურადღებო. გ. მელიქიშვილმა პირველად მიაქცია ყურადღება ტიგლათფილესარ I წარწერაში კოლხთა ეთნიკური სახელის მოხსენიებას და დღევანდელ სოფელ იუნჯალუსთან (მალაზგირთის მახლობლად) აღმოჩენილი ეს წარწერა ასურელთა მეფისა ასე წაიკითხა: ტიგლათფილესარ I თავის თავს უწოდებს „ნაირის ქვეყნის დამპყრობელს თუმედან დაიანიმდე (აგრეთვე), კილხის ქვეყნის დამპყრობელს ვიდრე დიდ ზღვამდე“. გ. მელიქიშვილის ინტერპრეტაციით ხსენებულ წარწერაში საუბარია ორ ქვეყანაზე—ნაირისა და „ზღვისპირა“ ქვეყნების გაერთიანებაზე: „საინტერესო ის არის, რომ ეს უკანასკნელი (ე. ი. ზღვისპირა ქვეყანა — ო. ლ.) აქ „კილხი“-ს, ე. ი. როგორც ვფიქრობთ, კოლხის // კოლხეთის სახელით იხსენიება. ამრიგად, ჩვენ საშუალება გვქმლევს ვილაპარაკოთ კოლხური გაერთიანების ბრძოლებზე ძვ. წ. XII—XI სს. ასურეთის ხელისუფლებასთან“.<sup>39</sup> ამგვარად, ასურული წყაროების გ. მელიქიშვილისეული ინ-



ტერპრეტაციით დოკუმენტურად დასტურდება სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოში შავიზღვისპირეთში კოლხთა ეთნიკური სახელის პირველი მოხსენიება და მათი პოლიტიკური გაერთიანება, რომელიც უფრო გვიან — ძვ. წ. IX—VIII საუკუნეების ურარტულ წყაროებში წარმოგვიდგება როგორც ძლიერი სამეფო — „კოლხა“ თუ „კულხას“ სახელით ცნობილი. ასეთ შემთხვევაში ბუნებრივია გაჩნდეს გარკვეული საფუძველი აიას თავდაპირველი ლოკალიზაციისათვის სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში და მაინც, მიუხედავად ამისა, მე თავს უფლებას მივცემ დღეს არ გავიზიარო ეს დებულება (თუმცა ადრე ზემოხსენებული მოსაზრებისა გახლდით!).<sup>40</sup> ამჯერად ჯერჯერობით ერთადერთ (თუმც ვაღიარებ, არც თუ ისე დამაჯერებელ) კონტრარგუმენტს წამოვაცენებ: ძვ. წ. XII—XI საუკუნეების ასურულ წყაროებში წარმოდგენილი პოლიტიკური გაერთიანება („კილხი“) ჯერ კიდევ არაა მტკიცედ კონსოლიდირებული ერთობა. აკად. გ. მელიქიშვილის სამართლიანი შენიშვნებით, „ამაზე მიგვიითიუებს თუნდაც დიდი მრავალრიცხოვნება: „ზემოზღვისპირა მხარის“ (კილხი // „კოლხეთის“) მეფეებისა (თუქულთი — ნინურტა I ლაპარაკობს ნაირისა და ზემოზღვისპირა 40 მეფეზე, ტიგლათფილესარ I კი იხსენიებს ამ მხარიდან მოსულ 60 მეფეს კიდევ სხვა მეფეებთან ერთად). ამ დროს აქ თითქოს მყარი ტომთა კავშირიც კი არ უნდა ყოფილიყო (გაერთიანებას ერთი მეთაური არ უჩანს)“.<sup>41</sup> გ. მელიქიშვილის ეს დასკვნა ძალზე საყურადღებოა: ნათლად ჩანს, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში იმ დროისათვის, როდესაც არგონავტთა ლაშქრობა ივარაუდება (ე. ი. ძვ. წ. XIII ს-ის 40 წლებამდე) და მას მერმეც კარგა ხანს, არ ჩანს ჯერ კიდევ ისეთი კონსოლიდირებული გაერთიანება, რომლის სათავეში დგას ერთპიროვნული პოლიტიკური ლიდერი — ისეთი, როგორადაც მეფე აიეტს წარმოგვიდგენს არგონავტიკის ყველა ვერსია! აქვე უნდა დავძინო ისიც, რომ აიეტი, როგორც წესი, წარმოგვიდგება სამიწათმოქმედო ქვეყნის ლიდერი, ე. ი. ისეთი ქვეყნისა, რომლის ძლიერება ბარულ მეურნეობაზეა დაფუძნებული. მისი რეზიდენციაც (ქვეყნის მთავარი პოლიტიკური ცენტრი) დიდი და სანაოსნო მდინარის გაყოლებაზეა ქვეყნის შიგნით, იქვეა ოქროს საწმისიც. ჭოროხის აუზში მდებარე ქვეყნის ასეთად მიჩნევა ძალიან გაძნელებდა. სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი ძირითადად მთაგორიანი ქვეყანაა, ხოლო ჭოროხიც ყოველად მიუწვდომელი იყო ზღვიდან ნავის შესაცურებლად.

მაშ, სადღა უნდა ვივარაუდოთ არგონავტიკის უკვე უძველეს ვერ-  
სიებში მოხსენიებული აიეტის ქვეყანა და თვით აია?

ჩემის აზრით, უთუოდ ანგარიშგასაწვევია ბერძნული ტრადიცია  
თვით მეფე აიეტის შესახებ. აიეტი, როგორც უკვე ითქვა, „აიას“  
მკვიდრს ნიშნავს. აიეტია არგონავტიკის ერთ-ერთი მთავარი მოქმედი  
პირი და ყველა ვერსიით იგია გამგებელი იმ ქვეყნისა („აია“), სადაც  
ოქროს საწმისია შენახული. აიეტს კი ყველა, დღეს ჩვენამდე შემო-  
ნახული, წყარო რიონისპირეთის კოლხეთს უკავშირებს. გავიხსენოთ  
თუნდაც მრავლისმეტყველი ცნობა სტრაბონისა: „აიას ზომ მიგვანიშ-  
ნებენ ქალაქ ფასისთან“. ქალაქი ფასისი კი სტრაბონის დროს სწო-  
რედ დღევანდელი რიონის შესართავთან მდებარეობდა და, მაშასა-  
ღამე, აქ პირდაპირაა დასახელებული, რომ აია ის ქვეყანაა, სადაც  
ქალაქი ფასისი მდებარეობს. კიდევ მეტი! სტრაბონი იქვე აღნიშნავს:  
„ხოლო ის, რომ აიეტი კოლხეთზე მეფობდა სარწმუნოდაა მიჩნე-  
ული: იქაურებში ეს სახელი ადგილობრივია“. მართლაც, რამდენიმე  
საუკუნის შემდეგ კოლხეთის ისტორიულ პირთა შორის კიდევ გა-  
მოჩნდა ერთი აიეტი — წარჩინებული დიდგაცი ლაზი, რომელიც აქ-  
ტიურ როლს ასრულებდა ახ. წ. VI ს.-ის ბიზანტიელ-სპარსელთა  
ომიანობის დროის ლაზიკის პოლიტიკურ ცხოვრებაში.<sup>42</sup>

არანაკლებ მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ თვით ბერძენ ავ-  
ტორთა ცნობით, აიეტი კოლხეთის სამეფო დინასტიის დამაარსებ-  
ლად გვევლინება. ცნობილი ბერძენი ისტორიკოსი და მხედართმთა-  
ვარი ქსენოფონტი, რომელმაც ძვ. წ. 401 წელს თავისი ლაშქრით  
მოიარა შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთი სანაპიროები, იუწყება:  
„ფასისზე ახლა აიეტის შთამომავალი მეფობს“. <sup>43</sup> რომელიც ისტორი-  
კოსი პლინიუსიც კოლხეთის მეფე საელაქს „აიეტის შთამომავალს“  
უწოდებს.<sup>44</sup> ხომ აშკარაა თითქოს, რომ ეს ცნობები ასახავენ კოლხე-  
თის სამეფო კარზე შემუშავებულ შეხედულებას, რომელიც თავის  
გენეალოგიას მძლეთამძლე აიეტს უკავშირებდა და მით თავისი ხე-  
ლისუფლებების უზენაესობის რწმენას განამტკიცებდა არა მხოლოდ  
ქვეშევრდომთა შორის, არამედ სავარეო ურთიერთობაშიც, რაც ბერ-  
ძენთათვისაც გამხდარა ფართოდ ცნობილი.

შინც ყველა ეს ცნობა, რამდენადაც საგულისხმო და მნიშვნელო-  
ვანი არ უნდა იყოს იგი, განეკუთვნება გაცილებით გვიანდელ (ე. ი.  
არგონავტიკის მითის შექმნიდან თითქმის მთელი ათეული საუკუნი-  
სა და კიდევ უფრო შემდგომ) ხანას და ასახავს უთუოდ ძვ. წ. VI—IV



სს-ის ძლიერი კოლხური სახელმწიფოს კარზე დამკვიდრებული სამეფო ხელისუფლების იდეოლოგიას.<sup>45</sup> ამიტომ, ბუნებრივია, ეს ცნობები, თუნდაც ისინი ძალიან ძველი ტრადიციის გამოვლინებებიც არიან, მივიჩნით, მაინც ვერ გამოდგება საილუსტრაციოდ და პირდაპირ მოწმობად იმისა, რომ აიას ქვეყანა და აიეტის საბრძანებელი დღევანდელი მდ. რიონის აუზშია საგულგებელი. ასეთ ვითარებაში უნდა დადგინდეს, არსებობდა თუ არა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ისეთი მაღალგანვითარებული საზოგადოება, რომელიც შეიძლებოდა არეკლილიყო მითის თავდაპირველ ვერსიაში და შემდგომ კი ბერძენთა მიერ საუკუნეების მანძილზე აგრე განდიდების საგანს რომ წარმოადგენდა, და ასევე — გვაქვს თუ არა რაიმე რეალური საფუძველი იმის სამტკიცებლად, რომ კოლხთა დიდ პოლიტიკურ გაერთიანებას საფუძველი ქოროხის აუზში კი არ ჩაეყარა (როგორც ამას დღეს მკვლევართა უმრავლესობა ვარაუდობს), არამედ რიონის აუზში (უფრო სწორად — კოლხეთის დაბლობზე)?

ვიდრე ამ საკითხს ვუპასუხებდე, აუცილებელია მცირე განმარტება ქართველურ ტომთა წარმოშობისა და მათი თავდაპირველი ბინადრობის არეალიდან თანდათანობით ვრცელ ტერიტორიაზე განსახლების შესახებ. დღეს სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში ერთხმადაა აღიარებული, რომ ქართველური ენები (ე. წ. სამხრეთკავკასიური) ქმნიან ერთ საერთო გენეტურ ჯგუფს, რომელიც შედგება საკუთრივ ქართულისაგან და მისი მონათესავე სვანურისა და მეგრულ-ქანურისაგან (ანუ ზანურის<sup>46</sup> ან, როგორც უფრო უკანასკნელ ხანებში მას უწოდებდნენ — კოლხურის<sup>47</sup>). ეს დიალექტები (ზოგჯერ მათ ენებსაც უწოდებენ) ისტორიულად ერთი საერთო ფუძე-ენიდან, ე. წ. საერთო-ქართველური (ანუ პროტოქართველური) ენის დაშლის შედეგად არიან წარმომდგარი. ფიქრობენ, რომ საერთო-ქართველური ენის მატარებელი ეთნოსი (ხალხი) უკვე არსებობდა, ყოველ შემთხვევაში, ძვ. წ. IV—III ათასწლეულებში (და შესაძლოა უფრო ადრეც!).<sup>48</sup> მეცნიერ-ლინგვისტებმა შეძლეს ამ საერთო-ქართველური ფუძე-ენის ძირითადი ლექსიკისა და ენობრივი სისტემის მახასიათებლების აღდგენა<sup>49</sup> და ამ ენაში შემონახული ფაუნისა და ფლორის აღმნიშვნელი სიტყვების საფუძველზე საერთო ქართული ფუძე-ენის მატარებელი ეთნოსის თავდაპირველ საბინადროდ მაღალმთიანი ზონა მიიჩნიეს. ასეთად ზოგიერთს დიდი კავკასიონი ჰგონია,<sup>50</sup> სხვები, კი მცირე კავკასიონს ვარაუდობენ.<sup>51</sup> ამ უკანასკნელის ქართველთა



თავდაპირველი სამშობლოდ მიჩნევის სასარგებლოდ მეტყველებულ მხოლოდ დღეს რეალურად მიჩნეული სურათი ქართველთა თანდათანობითი განსახლებისა დღევანდელ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე სწორედ სამხრეთიდან ჩრდილოეთის მიმართულებით,<sup>52</sup> არამედ ისიც, რომ როგორც ბოლო წლების ლინგვისტურმა და ისტორიულ-ფილოლოგიურმა კვლევამ გამოავლინა, უკვე ძვ. წ. IV—III ათასწლეულებში წინა აზიის გარკვეულ გეოგრაფიულ არეალში ხდებოდა პროტოქართველების, პროტონდოევროპელი და პროტოსემიტების იმდენად ინტენსიური ურთიერთობა, რომ ცალკეული სიტყვებში ერთი ენიდან გადადიოდა მეორეში და პირუკუ. ისე რომ, დღეს ლინგვისტები ზემოხსენებულ ენებში აფიქსირებენ მრავალ საერთო სიტყვასა და გამოთქმების მთელ ლექსიკურ პლასტებს, აგრეთვე მსგავსი ენობრივი ნიშნების (როგორც ენის ბგერითი შედგენილობის, ასევე მისი სტრუქტურულ-გრამატიკული მახასიათებლების) გაჩენას.<sup>53</sup> ასეთი მჭიდრო კონტაქტები ძველი წინა აზიის უძველეს „პროტონდოევროპულ“ და „პროტოსემიტურ“ მოსახლეობასთან შესაძლებელი იყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ „პროტოქართველთა“ თავდაპირველი ბინადრობის ადგილსამყოფელად მცირე კავკასიონსა თუ მის სამხრეთით და აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორიებს მივიჩნევთ. სწორედ აქედან იყო შესაძლებელი კონტაქტები ძველადმოსავლურ ცივილიზაციებთან, რაც აისახა როგორც ენაში, ასევე მატერიალურსა და სულიერ კულტურაში.

ფუძე-ენის მატარებელი ეთნოსის განვითარების გარკვეულ საფეხურზე ხდებოდა მისი თანდათანობითი განსახლება ჯერ მეზობელ ტერიტორიებზე, შემდეგ კი მოსახლეობის სწრაფად გამრავლების შედეგად, დიდი ჯგუფები იწყებდნენ თავიანთი თავდაპირველი საცხოვრისიდან აყრას და სხვაგან გადასახლებას. ამ პროცესს ხალხთა მიგრაციებს უწოდებენ. დღეს რეალურად დადასტურებული ქართველური ენების (საკუთრივ ქართული, სვანური, ზანური ანუ მეგრულ-ჭანური) მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, საერთო ქართველური ენის მატარებელ ეთნოსს თავდაპირველად გამოეყო დიდი ეთნიკური ერთობა, რომლის ენა თანდათანობით დაცილდა ფუძე-ენას და შექმნა დღევანდელი სვანური.<sup>54</sup> თანამედროვე ენათმეცნიერებაში ენათა დიფერენციაციის დათარიღების საგანგებო მეთოდი არსებობს, რომელსაც გლოტოქრონოლოგიურ მეთოდს უწოდებენ და რომელიც გულისხმობს ფუძე-ენის მონათესავე ენებად დაშლის პროცესის აბსოლუტურ



დათარილებას ლექსიკურ-სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე.<sup>55</sup> ამ მეთოდის გამოყენებით ვარაუდობენ, რომ სვანურის ეტიმოლოგია-ახლოებით 40 საუკუნის წინ უნდა მომხდარიყო, ე. ი. ზღუდაში მდებარე წლებულის დასაწყისში, ხოლო დაახლოებით ათასი წლის შემდეგ უნდა გათიშულიყო ქართულ-ზანური ერთობა, რომლის დიფერენციაციის შედეგად წარმოიშვენ საკუთრივ ქართულისა და ზანურის (ანუ მეგრულ-ქანური) მატარებელი ეთნიკური ერთობანი.<sup>56</sup>

საერთო ქართული ფუძე-ენის დაშლის პროცესის საერთო სურათი სავსებით აშკარაა, მაგრამ არ უნდა გამოვრიცხოთ, რომ საერთო ქართველური ფუძე-ენის დაშლის შედეგად წარმოიშვენ სხვა მონათესავე ენებისა თუ დიალექტების მატარებელი ეთნიკური ერთობანიც, რომელთაც შემდგომ სხვა მონათესავე თუ არამონათესავე ეთნიკურ ჯგუფებთან ურთიერთობაში დაკარგეს თავისი ენობრივი ინდივიდუალობა, ასიმილირებულ იქნენ და ამიტომაც დღემდე თავი ვერ შემოინახეს. ყოველ შემთხვევაში, საერთო ქართული ფუძე-ენის მატარებელი ეთნოსიდან ჯერ სვანების, ხოლო შემდგომ საკუთრივ ქართულის და მეგრულ-ქანურის მატარებელ ეთნიკურ ერთობათა გამოყოფის ზემოაღწერილი პროცესი სავსებით აშკარაა და სამეცნიერო ლიტერატურაში ერთხმადაა აღიარებული, მაგრამ, რა თქმა უნდა, ძნელია უყოყმანოდ გაიზიარო ამ პროცესის ცალკეული ეტაპების ზემოთ წარმოდგენილი დათარილება, რომელიც, როგორც ითქვა, ე. წ. გლოტოქრონოლოგიის მეთოდზეა დაფუძნებული. არქეოლოგიური მონაცემებით საერთო ქართული ფუძე-ენის მატარებელი ეთნოსიდან ცალკეული ეთნიკური ჯგუფების გამოყოფა ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისზე უფრო ადრე უნდა დაწყებულიყო. კერძოდ, თ. მიქელაძე ვარაუდობს, რომ სვანურის გამოყოფა უნდა მომხდარიყო უკვე ძვ. წ. III ათასწლეულში და ამ დროიდან იწყება სვანურენოვანი მოსახლეობის გავრცელება დღევანდელ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, სადაც (კერძოდ ზღვისპირა ზოლში), როგორც ფიქრობენ, ძველი ჩერქეზულ-ადიღეური მოსახლეობა იჩენს თავს.<sup>57</sup> სვანურენოვანი მოსახლეობის არსებობის კვალი დღევანდელ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ზღვისპირა ზოლში, რიონ-ენგურის აუზში დასტურდება საკმაოდ მეტყველი ტოპონიმიკური მონაცემებით და აგრეთვე არქეოლოგიური მასალით.<sup>58</sup> კერძოდ, შესაძლოა სვანურენოვანი მოსახლეობის დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ყოფნის ხანას განეკუთვნებოდეს ის თავისებური და სპეციფიკური კერამიკა



ქობულეთის მახლობლად ისპანისა და ანაკლიის დიხა-გუძუბუქს ნაპოვნად  
სახლარების უძველეს ფენებში რომაა წარმოდგენილი.<sup>59</sup> ს. ი. ბ. ი. ი. ი. ი. ი.

ქართველთა ეთნიკური განვითარების შემდგომი საფეხური, როგორც უკვე ითქვა, ქართულ-ზანური ერთობის დაშლით აღინიშნა. ამ ერთობას გამოეყო მეგრულ-ჭანური, რომელიც უნდა ვიფიქროთ საკმაოდ მრავალრიცხოვან და ძლიერ ეთნიკურ მასას წარმოადგენდა. იგი იმთავითვე საკმაოდ ვრცელ ტერიტორიაზე უნდა გავრცელებულიყო: ერთი მხრივ — ჭოროხის სამხრეთით, სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთსა და მის მიმდებარე მთაგორიან ზონაში, ხოლო მეორე მხრივ — დღევანდელ დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე — კოლხეთის დაბლობსა და ისტორიული მესხეთის ტერიტორიაზე.<sup>60</sup> ახლა ძნელი სათქმელია, როგორ მიმდინარეობდა ამ ოდესღაც ერთიანი ეთნიკური ჯგუფის განვითარება — მთელს ხსენებულ ტერიტორიაზე: ერთიანად კონსოლიდირებული საზოგადოების სახით, თუ მაინც განცალკევებულად? მე ვფიქრობ, რომ თავდაპირველად, ქართულ-ზანური ერთობის დაშლის შემდგომ წარმოქმნილი მეგრულ-ჭანური მოსახლეობა სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთსა და მის მიმდებარე მთაგორიან ზონაში, ერთი მხრივ, ხოლო დღევანდელ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, მეორე მხრივ, ერთმანეთისაგან მოწყვეტილად და ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ვითარდებოდა. ამის მოწმობა უნდა იყოს არა მხოლოდ საკუთრივ მეგრულისა და ჭანურის (ლაზურის) ურთიერთისაგან განსხვავება დიალექტურ დონეზე (რაც, ბუნებრივია, მრავალი ათეული საუკუნის მანძილზე ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი განვითარების შედეგია დღევანდლამდე რომ გრძელდება), არამედ ძველ ურარტულსა და შემდგომ ბერძნულ (ხოლო უფრო გვიან სომხურ) წყაროებში დადასტურებული სურათი: სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთისა და მისი მიმდებარე მთაგორიანი ზონის ძირითად მოსახლეობად ხალიბები // ხალდები // ჭანები არიან დასახელებული<sup>61</sup>. ხოლო დღევანდელ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე — კოლხები. სწორედ ამ უკანასკნელებმა შეაფიქროვეს სვანურენოვანი მოსახლეობა და თანდათანობით დაიკავეს დღევანდელი კოლხეთის დაბლობი ზღვის სანაპირო ზოლსა და რიონ-ენგურის აუზში. დღევანდელ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მეგრულ-ჭანური მოსახლეობის თანდათანობით დამკვიდრებასთან უნდა იყოს დაკავშირებული, როგორც ფიქრო-



ბენ,<sup>62</sup> იმ ბრწყინვალე და მაღალგანვითარებული ბრინჯაოს კულტურის შექმნა, კოლხური კულტურის სახელით რომაა ცნობილია.

კოლხური კულტურა<sup>63</sup> უაღრესად თავისთავადი და უნიკალური სისტემაა, რომლის სახეს განსაზღვრავს მრავალფეროვანი ლითონის საომარი და განსაკუთრებით, სამეურნეო იარაღი, უაღრესად სპეციფიკური კერამიკა და ჯარგვალური ტიპის ხის არქიტექტურა.

ქრონოლოგიურად კოლხური კულტურა არსებითად გვიანი ბრინჯაოს ხანის კულტურაა, რომლის განსაზღვრელი საწყისი ელემენტები უკვე ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე მეოთხედში იჩენს თავს.<sup>64</sup> ხოლო ამ კულტურის ფორმირების დასაწყისი ძვ. წ. XVI—XV საუკუნეებიდან ივარაუდება.<sup>65</sup> შეიძლება ითქვას, რომ ძვ. წ. XV—XIV საუკუნეებისათვის კოლხური კულტურა ყველა მისი განსაზღვრელი ელემენტით კლასიკური სახითაა უკვე ჩამოყალიბებული და მის განვითარებაში არსებითად ორ მთავარ საფეხურს გამოყოფენ: პირველი ძვ. წ. XIV—XII საუკუნეებით თარიღდება (გვიანბრინჯაოს ადრეული ეტაპი), მეორე კი — ძვ. წ. XI—VII საუკუნეებით<sup>66</sup> (და ამრიგად ნაწილობრივ ადრერკინის ხანასაც მოიცავს). ჩვენთვის ამჯერად პირველი ეტაპია საგანგებოდ საინტერესო, რამდენადაც სწორედ ის ემთხვევა არგონავტთა ლაშქრობას და მათი შავიზღვისპირეთში გამოჩენის სავარაუდო ეპოქას.

ტერიტორიულად კოლხური ბრინჯაოს კულტურის გავრცელების სფეროდ ჩვენთვის საინტერესო პერიოდისათვის ძირითადად მიჩნეულია დღევანდელი დასავლეთ საქართველო: დიდი და მცირე კავკასიონი და მათ შორის მოქცეული კოლხეთის დაბლობი. ამასთან ამ კულტურის ელემენტები მცირე კავკასიონის სამხრეთით მდებარე ისტორიულ მესხეთსა და ლიხის ქედის აღმოსავლეთით — ისტორიულ შიდა ქართლშიც ვრცელდება, ხოლო ზღვის სანაპირო ზოლში თავს იჩენს დღევანდელი ორდუს (თურქეთის) ტერიტორიაზეც<sup>67</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ ზემოაღნიშნულ ტერიტორიაზე ძვ. წ. XIV—XII საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები ჯერ კიდევ ძალზე მცირე რაოდენობითაა გამოვლენილი და კიდევ უფრო ნაკლებ — არქეოლოგიური თხრებით შესწავლილი, მაინცაა შესაძლებელი საერთო სურათის წარმოდგენა.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ის სახეობანი არქეოლოგიური ძეგლებისა, რომელთა საფუძველზეც უნდა წარმოვიდგინოთ ჩვენ არ-



გონავტების ლაშქრობის დროინდელი (ე. ი. ზოგადად ძვ. წ. XIV—XII სს.) დასავლეთ საქართველოს კულტურა.

ეს არქეოლოგიური ძეგლებია: ლითონის ნივთთა განძები, თუ მათი ცალკეული აღმოჩენები,<sup>68</sup> ძველი სამთამადნო წარმოების ნაშთები,<sup>69</sup> ნამოსახლარები<sup>70</sup> და სამაროვნები.<sup>71</sup>

აქ დასახელებულ არქეოლოგიურ ძეგლთაგან პირველი ორი (ლითონის ნივთების განძები და სამთამადნო წარმოების ნაშთები) ნათელ წარმოდგენას გვიქმნიან ლითონის ინდუსტრიის განვითარების დონის შესახებ არგონავტების ლაშქრობის ხანისათვის. აქ საინტერესოა აღინიშნოს: პროფ. თ. მიქელაძემ ყურადღება მიაქცია იმ უაღრესად საინტერესო ფაქტს, რომ არგონავტიკის ისეთ გვიანდელ ვერსიებშიც კი, როგორც პინდარეს IV პითიური ოდაა (ძვ. წ. V ს.) ან აპოლონიოს როდოსელის პოემაა (ძვ. წ. III ს.), კოლხეთში აღწერილია ისეთი საზოგადოება, რომლის საწარმოო საშუალებებს სპილენძის (ბრინჯაოს) იარაღი შეადგენდა. პინდარესთან „არგოს“ სპილენძის ღუზა აქვს, ხოლო იასონისა და პელიასის მეომრები სპილენძის მახვილებით და ლახვრებით არიან შეიარაღებული: ასევეა აპოლონიოს როდოსელთანაც: იხსენიება სპილენძის ცული, თუ მიწის სათბრელი იარაღები და ა. შ. („სპილენძისჩლიქიანი ხარები“, „სპილენძის უღელი“, „სპილენძის ბორკილები“), და ეს მაშინ, როდესაც პინდარესა და აპოლონიოს როდოსელის დროს რკინის ინდუსტრიას თითქმის ათასწლოვანი ისტორია ჰქონდა და სპილენძის იარაღი კარგა ხნის განდევნილი იყო ყოველდღიური ყოფიდან. ამგვარად, არგონავტიკის გვიანდელ ვერსიებშიც კი საკმაოდ თვალსაჩინოდაა შემორჩენილი ის რეალები, რომლებიც არგონავტიკის ეპიკური ციკლის შექმნის თავდაპირველ ეპოქას, ე. ი. ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარს უნდა მივაკუთვნოთ<sup>72</sup> და ეს, როგორც ქვემოთ დავინახავთ, რეალურად შეესატყვისება ძველი კოლხეთის ტერიტორიაზე არქეოლოგიურად დადგენილ ვითარებას.

არქეოლოგიური მასალების შესწავლის საფუძველზე სრულიად თვალსაჩინოა ტექნიკური პროგრესის სწრაფი ტემპი და მათალი დონე. ამ დროისათვის დასავლეთ საქართველოში ბრინჯაოს მეტალურგიის განვითარება აღინიშნება მთელი რიგი სიახლეებით. მათგან უმთავრესი მაინც მრავალჯვაროვანი და შესაბამისად სხვადასხვა თვისებებით აღჭურვილი შენადნობების მიღება და დამუშავება იყო, რაც, თავის მხრივ, მეტ-ნაკლებად სრულყოფილი სამეურნეო და საომარი

იარაღების, აგრეთვე მრავალსახოვანი სამკაულის დამზადების თა-  
თო შესაძლებლობას ქმნიდა.

გვიანბრინჯაოს ხანის კოლხური ლითონის ნაწარმის საგანგებო  
ქიმიურმა და მეტალოგრაფიულმა ანალიზებმა ცხადყვეს, რომ მათი უმ-  
რავლესობის ქიმიური შედგენილობა მრავალი კომპონენტის შემცვე-  
ლია, უმეტეს შემთხვევაში კი მაინც ადრეულ ეტაპზე დარიშხანიანი,  
თუმცა მასთან ერთად კალიანი ბრინჯაოცაა გამოყენებული. საგანგე-  
ბოდაა აღსანიშნავი გვიანბრინჯაოს ხანის ნივთების ტექნოლოგიური  
თვალსაზრისით ჩატარებული კვლევის შედეგები. დადასტურდა უაღ-  
რესად რთული ტექნიკური ხერხების ფართოდ გამოყენება: ქვისა და  
კერამიკის ყალიბებთან ერთად ლითონის ყალიბებით სარგებლობა;  
კვერვა (საგანგებო მოწყობილობებში), შედუღება, ტვიფრვა, შადვა,  
დაწურვა.<sup>73</sup> ამ რთულ და მაღალტექნიკურ საფუძველზე ვითარდებო-  
და დასავლეთ საქართველოში ბრინჯაოს კულტურა ძვ. წ. XV—XI სა-  
უკუნეებში.

ამ დროის ლითონის ნაწარმიც უაღრესად მრავალფეროვანია:  
საბრძოლო და სამეურნეო იარაღ-საჭურველი, სამკაული და ტანისა-  
მოსის მოსართავი და სხვ. მაინც კოლხური ბრინჯაოს კულტურის  
სპეციფიკურ სახეს უპირველესად სამეურნეო იარაღი განსაზღვრავს.  
ესაა, პირველ რიგში, თავისებური მოყვანილობის ცული, წალდი, თო-  
ხი და ე. წ. სეგმენტისებური იარაღი. სწორედ ეს ელემენტები გან-  
საზღვრავენ ძირითადად კოლხური ბრინჯაოს კულტურის გავრცელე-  
ბის არეალსაც.

ახლა ჩვენს წინაშე დგება რთული საკითხი: სადაა ამ კულტურის  
თავდაპირველი სამშობლო? ამ საკითხს ჩვენთვის იმდენად აქვს მნიშ-  
ვნელობა, რამდენადაც მკვლევართა აზრით სწორედ ამ კულტურის  
აყვავების ხანა აისახა მითში არგონავტების შესახებ აიეტის ძლიერი  
სახელმწიფოს საბით,<sup>74</sup> ამ უკანასკნელს კი, როგორც ვნახეთ, სამხრეთ-  
აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ვარაუდობენ და საამისოდ ერთ-ერთ  
არგუმენტად სწორედ ის მოაქვთ, რომ კოლხური კულტურის სამშობ-  
ლო თითქოს ქოროხის აუზია.<sup>75</sup>

ქოროხის აუზის საყოველთაოდ ცნობილი სიმდიდრე სპილენძის  
საბადოებით სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ეს მთავორიანი რე-  
გიონი წარმოადგენდა კოლხური ბრინჯაოს კულტურის სამშობლოს  
და მის თუნდაც ერთადერთ საწარმოო ცენტრს. სპეციალურ სამეცნი-  
ერო ლიტერატურაში ახლა სავსებით სწორადაა ხაზგასმული, რომ




აუცილებელია მკვეთრად გავმიჯნოთ ერთმანეთისაგან ლითონის (მადნის) მოპოვებელი კერები, ერთი მხრივ, და ლითონის ნივთიერების მოსასხმელ-დასამზადებელი სახელოსნოების ადგილსამკვეთ-მეორე მხრივ.<sup>76</sup> ჩვენ არავითარი პირდაპირი მოწმობა არ გავგაჩინა იმის სამტკიცებლად, რომ ლითონის ნივთების დამზადება წარმოებდა იქ, სადაც ხდებოდა მადნის მოპოვება (თუმცა პრინციპულად ზოგჯერ არც ასეთი შემთხვევებია გამორიცხული). პირიქით, უნდა ვიფიქროთ, რომ სპილენძით მდიდარ მთაგორიან რაიონებში ხდებოდა ნედლეულის მოპოვება ნახევარფაბრიკატისა და ზოდების სახით, ხოლო ლითონის ნივთების დამზადება კი — სპეციალურ სახელოსნოებში, რომელნიც ბარში იყო განლაგებული და ადგილობრივი მეურნეობის განვითარების ინტერესებს ემსახურებოდა. ამის პირდაპირი მოწმობაა წარმოების ნაშთების აღმოჩენა კოლხეთის დაბლობის უძველეს ნამოსახლარებზე (მაგ., თონის ჩამოსასხმელი ყალიბებისა ანაკლიაში,<sup>77</sup> ლითონის ჩამოსასხმელი ყალიბის ნატეხებისა და ციცხებისა ნოსირში<sup>78</sup> და სხვ.<sup>79</sup>) და განძებში.<sup>80</sup> სწორედ მეურნეობის (და, როგორც ქვემოთ დავინახავთ, პირველ რიგში, სწორედ მიწათმოქმედების) ხასიათი განაპირობებდა ლითონის (სპილენძი, ბრინჯაო) სამეურნეო ინვენტარის მრავალფეროვნებას, როგორც ფუნქციონალური, ასევე ტიპოლოგიური თვალსაზრისით. ასე რომ, კოლხური ბრინჯაოს კულტურის სამშობლოდ მთაგორიანი ოლქები, კერძოდ ჭოროხის აუზი და მისი მადნეულით მდიდარი ოლქები კი არ უნდა მივიჩნიოთ, არამედ კოლხეთის ბარი! ამასთან გვაქვს საფუძველი ვამტკიცოთ, რომ კოლხური ბრინჯაოს ნივთების ძირითადი სახეობანი, მეურნეობის ადგილობრივი ხასიათით განპირობებული, თითქმის ერთდროულად ჩნდება მთელს კოლხეთის დაბლობზე. ამის თვალსაჩინო მოწმობაა კოლხური ბრინჯაოს კულტურის ერთ-ერთი ყველაზე უფრო განმსაზღვრელი კომპონენტის — კოლხური ცულის გენეზისი, მისი ქრონოლოგიური და ტერიტორიული გავრცელების თავდაპირველი არეალი.<sup>81</sup> კოლხური ბრინჯაოს კულტურის განმსაზღვრელი ელემენტები — ცული და მეტად თავისებური ფორმის თოხები გვხვდება ჯერ კიდევ ურეკის განძში, რომელსაც დღეს მკვლევართა უმრავლესობა ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე მეოთხედით (დფრო ძვ. წ. XVIII—XVI სს) ათარიღებს.<sup>82</sup> აი ამ განძში პირველად გამოჩნდება სამეურნეო იარაღის ახალი სახეობანი, რომელნიც ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანებიდან მთელს დასავლეთ საქართველოში გავრცელებული





ახალი ბრწყინვალე კულტურის — კოლხური ბრინჯაოს კულტურის განმსაზღვრელ ელემენტებად იქცევიან. ესენია ბარისეტიკური მხატვრობის თოხები და განსაკუთრებით კი მანამდე დასავლეთ საქართველოსათვის უცნობი სახეობა ცულისა, ურეკის განძში მხოლოდ ორი ნიმუშით რომაა წარმოდგენილი. ამ ახალი ტიპის ცულებს ახასიათებთ ორფერდა ყუა და ოვალური სატარე ხერელი, ექვსწახნაგოვანი ტანი და მომრგვალებული პირი. სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში<sup>83</sup> ამჟამად აღიარებულია, რომ სწორედ ამ ცულებისაგან განვითარდა ის სახეობა, რომლის განმსაზღვრელი ნიმუშია: ექვსწახნაგოვანი ტანი, ორფერდა ყუა და ოვალური სატარე ხერელი, გორდა (რამდენადმე ასიმეტრიული) პირი და ნიღრი. ესაა სწორედ გვიანბრინჯაოს ხანის დასავლეთ საქართველოში ფართოდ გავრცელებული ე. წ. „კოლხური ცული“, რომელიც რამდენიმე ტიპოლოგიურ ვარიანტს ქმნის და წარმოადგენს კოლხური ბრინჯაოს კულტურის ერთ-ერთ ყველაზე უფრო არსებითსა და განმსაზღვრელ ელემენტს.<sup>84</sup> ამჯერად ჩვენთვის უაღრესად დიდნიშვნელოვანი (კოლხური კულტურის გენეზისის თვალსაზრისით) კი ისაა, რომ ურეკის ტიპის ცულებიდან განვითარებული უძველესი სახეობები კოლხური ცულისა აღმოჩენილია მთელს აღმოსავლეთ შავიზღვისპირა ზოლში, როგორც მის სამხრეთ ნაწილში (ქობულეთი, ერგე, მახუნციეთი), ასევე ჩრდილო ნაწილში (გაგრა, ბიჭვინთა. პილენკოკო, ლიხნე). ზუსტად ასევე, თითქმის ერთდროულად გვიანბრინჯაოს ადრეული ეტაპის ლითონის ნივთები, პირველ რიგში ცულები (ე. წ. I და II ტიპისა), აგრეთვე თოხები და სეგმენტები გვხვდება მთელს დასავლეთ საქართველოში, როგორც განძების, ასევე ცალკეული აღმოჩენების სახით.<sup>85</sup> ეს კი იმის უტყუარი მოწმობაა, რომ კოლხური ბრინჯაოს კულტურის ძირითადი სამშობლო მაინცდამაინც ჭოროხის აუზი კი არაა, არამედ მთლიანად დღევანდელი დასავლეთ საქართველოს ბარი, რომელსაც საჭირო ნედლეულით ჭოროხის აუზი და აგრეთვე დიდი კავკასიონის სამხრეთ კალთებზე განლაგებული მადნეულით მდიდარი ოლქები ამარაგებდა.

კოლხური ბრინჯაოს კულტურის ჩამოყალიბება დღევანდელ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე იყო ხანგრძლივი და რთული პროცესი, რომელიც საფუძვრებელია, აქ უკვე ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე მეოთხედში მაინც დაიწყო და, როგორც ზემოთ აღინიშნა, დაკავშირებულია საერთო ქართული ფუძე-ენის მატარებელი ეთნოსი-



დან გამოყოფილი ქართულ-ზანური ერთობისა თუ მისი დაშლის შედეგად განცალკევებული მოსახლეობის ერთი დიდი მასის დაბლობზე თანდათანობით დამკვიდრებასთან. ახალი ეთნიკური მასის შემოსვლას თან მოჰყვა უთუოდ ახალი ტექნიკური და მხატვრული წესების გავრცელებაც. ახლა ძალზე ძნელია ზუსტად განსაზღვრა იმისა, თუ საიდან, როდის და როგორ გაჩნდა ესა თუ ის ცალკე აღებული ელემენტი, რომელიც განსაზღვრავს გვიანბრინჯაოს ხანის კოლხური კულტურის, როგორც უაღრესად თვითმყოფადი და ადგილობრივ ნიადაგზე აღმოცენებული ეთნოკულტურული ფენომენის სახეს. უნდა ვივარაუდოთ, რომ ახალმოსახლეებმა, ერთი მხრივ, შეითვისეს ამავე ტერიტორიაზე უფრო ადრე მოსახლე ტომების (მათ შორის სვანურენოვანი მოსახლეობის) ტექნიკური მიღწევები,<sup>86</sup> მეორე მხრივ, მათ მოიტანეს ახალი, უფრო პროგრესული ტექნიკური ჩვევები, საომარი და სამეურნეო იარაღის ახალი ფორმები, რომელნიც ძველ ქართველ ტომებს ძველი აღმოსავლეთის მაღალდაწინაურებული ცივილიზაციებთან მჭიდრო კონტაქტის შედეგად ჰქონდათ შეძენილი.<sup>87</sup>

ლითონის ინვენტარი კოლხური კულტურის ერთადერთი განსაზღვრელი ელემენტი როდია. ამ კულტურის გენეზისის და მისი შემქმნელი ეთნიკური ერთობის განსასაზღვრავად არანაკლებ (და იქნებ უფრო მეტადაც) მნიშვნელოვანია კერამიკა, რომელიც განსაკუთრებით თვალნათლივ უკანასკნელ წლებში იქნა გამოვლენილი და შესწავლილი.

სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში დღეს უკვე აღიარებულია, რომ გვიანბრინჯაოს ადრეულ ეტაპზევე ლითონის ნივთებთან ერთად დღევანდელ დასავლეთ საქართველოს გარკვეულ რეგიონში (არსებითად კოლხეთის დაბლობზე, პირველ რიგში კი რიონის ველსა და მის შენაკადებს შორის მოქცეულ ტერიტორიაზე) ვრცელდება კერამიკის სპეციფიკური სახეობა, რომელიც მკვეთრად განსხვავდება წინამორბედი ხანის თიხის ნაწარმისაგან ანაკლიის მახლობლად „ღიზავუძუბას“ სახელით ცნობილ ნამოსახლარის ქვედა ფენაში („ღიზავუძუბა“ I) და ქობულეთის მახლობლად ისპანის ნამოსახლარზე რომაა დადასტურებული.<sup>88</sup>

ამ ახალი ტიპის კერამიკამ პირველად თავი იჩინა ნაოხგამუს (ცხაკიას მახლობლად) ქვედა ფენებში.<sup>89</sup> ხოლო უკანასკნელ ხანებში კი იგი აღმოჩნდა სხვა პუნქტებშიც. მათგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჭალადიდის „ზურგა“ (სადაც ჩვენ უკვე რადიოკარბონული



მეთოდით მიღებული თარიღები გვაქვს)<sup>90</sup> და ნოსირის ნამოსახლარი, სადაც კულტურული ფენების განლაგება და მათი სტრატოგრაფიკული და საშუალებას იძლევა საინტერესო ქრონოლოგიური მკვლელობების სა. <sup>91</sup> ჩვენ არ შეგუდგებით ახლა ამ კერამიკის დეტალურ დახასიათებას, რომლის ნიმუშები სურათზეა წარმოდგენილი. აღვნიშნავ მხოლოდ, რომ ესაა უპირატესად შავად გამომწვარი კერამიკა, რომელიც ხასიათდება ფუნქციონალურად და ტიპოლოგიურად საკმაოდ მრავალფეროვანი ფორმებით (თასები, ჯამები, ქოთნები, კოჭები, ტოლჩები, ქილები, დიდი ზომის დერგისებური ქურქელი და სხვ.), მრავალრიცხოვანი ორნამენტითა (ირიზი და მრგვალი ჭდეები, წიწვისებური შტრიხი, ღაროვანი ფესტონები, შევრონები, აგრეთვე რელიეფური კოჭები თუ ძუძუსებური შევრილები და ა. შ.) და მეტად თავისებური ყურებით („ფრინველის მკერდისებური“, „ზომორფული“ და სხვ.).

სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში თ. მიქელაძის მიერ შემოთავაზებული კლასიფიკაციის თანახმად ამ ტიპის კერამიკაში განვითარების რამდენიმე საფეხურს გამოყოფენ, რომელთაგან ჩვენთვის ამჯერად განსაკუთრებით საინტერესოა ე. წ. პროტოკოლხური და ძველი კოლხური I პერიოდით დათარიღებული მასალები,<sup>92</sup> ხოლო თუ ნოსირის მასალების მიხედვით ვიმსჯელებთ და გავიზიარებთ არქეოლოგ ელ. გოგაძის მიერ შემოთავაზებულ აბსოლუტურ თარიღებს, საკმაოდ საინტერესო და მეტყველ სურათს მივიღებთ. ნოსირის ნამოსახლარის სულ ქვედა ფენას (ე. წ. ნოსირი I) ელ. გოგაძე ძვ. წ. XVIII—XVI ან XIX—XVII სს. ათარიღებს<sup>93</sup>, რაც კარგად შეესატყვისება კოლხური ბრინჯაოს კულტურის დამახასიათებელი ელემენტების პირველ გამოჩენას, ურეკის განძში რომაა დადასტურებული. კოლხური ბრინჯაოს კულტურის განვითარების ადრეულ ეტაპში კი (XV—XII სს.) ექცვიან ისეთი ნამოსახლარები, როგორცაა ნოსირი II და III, კეკულურის ზუგა (II ფენა) და ნაჭვის ზუგა (მდ. ტეხურის ხეობაში), ანაკლიის დიხა-გუძუბა III და IV, ნოხვამუ I და II, ქალადიდის ზურგა I—III<sup>94</sup>.

ამგვარად, შუაბრინჯაოს ხანის დასასრულსა და გვიანბრინჯაოს ადრეულ ეტაპზე ახალი ტიპის კერამიკის გავრცელება (და როგორც უკვე ვნახეთ, მასთან ერთად ახალი ტიპის ლითონის ინვენტარისაც) დღევანდელ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე დაკავშირებული უნდა იყოს აქ მეგრულ-ქანური მოსახლეობის დამკვიდრებასთან.<sup>95</sup>



მაგრამ ახლა გასარკვევია, რა მოჰყვა შედეგად დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მეგრულ-ქანური მოსახლეობის დამკვიდრების საამისოდ ჯერ უნდა თვალი გავადევნოთ ამ მოსახლეობის თანდათანობითი მოძრაობის არეალს. საამისოდ ერთ-ერთ განმსაზღვრელ სპეციფიკურ ნიშნად კერამიკა შეიძლება მივიჩნიოთ. მიუხედავად იმისა, რომ გვიანბრინჯაოს ადრეული ეტაპის ნამოსახლარები ჯერ კიდევ სრულად არაა გამოვლენილი (და ამ თვალსაზრისით გეგმაზომიერი არქეოლოგიური ძიებაც არაა ჯერ წარმართული), მაინც საკმაოდ საინტერესო და მეტყველი სურათი ისახება დღეისათვის. თითქმის მთლიანად ერთდროულად, კოლხური გვიანბრინჯაოს ადრეულ ეტაპზე, ვრცელდება კოლხეთის დაბლობზე სპეციფიკური კერამიკა (თ. მიქელაძის კლასიფიკაციით ე. წ. პროტოკოლხური და ძველი კოლხური 1, ხოლო ელ. გოგაძის მიხედვით ნოსირი II—III-ის ტიპისა). შავი ზღვის სანაპირო ზოლში ჩვენთვის საინტერესო ტიპის კოლხური კერამიკა ფიქსირებულია ჯერჯერობით ისეთ კარგად ცნობილ ნამოსახლარებზე, როგორცაა ქობულეთის „ნამჭედური“, ყულევი, ანაკლიის დიხა-გუძუბა<sup>96</sup> და სხვ.<sup>97</sup> ხოლო ქვეყნის შიგნით — თითქმის მთლიანად რიონ-ყვირილას აუზში (ქალადიდის „ზურგა“,<sup>98</sup> ქვალონის „ნაოხვამუ“,<sup>99</sup> დაბლაგომის „ნასაყდრევი“,<sup>100</sup> პატრიკეთის ნამოსახლარი,<sup>101</sup> ჭიათურის მახლობლად „კარბელასა“ და „ნაციხვარის“ ბორცვები<sup>102</sup>), აგრეთვე მდ. რიონის შენაკადების — მდ. ენგურის (პალური),<sup>103</sup> ტეხურისა (ნოსირი II—III, კეკულური ზუგა და ნაჭვის ზუგა)<sup>104</sup> და აბაშის (აბედათის დიხა-გუძუბა)<sup>105</sup>, აგრეთვე მდ. სუფსას აუზშიც (ლესა — ჯუმათი).<sup>106</sup>


უადრესად დიდმნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ სწორედ ამ ტერიტორიაზე, მაგრამ კიდევ უფრო მრავალ პუნქტში დადასტურებულია იმაგდროული კოლხური ბრინჯაოს კულტურისათვის აგრე სპეციფიკური ლითონის ინვენტარიც (I ტიპის ცულები, თოხები, წალღები, სეგმენტები). ამრიგად, ჩვენს წინაშეა უცილობელი და იმავე დროს დიდმნიშვნელოვანი ფაქტი კოლხეთის დაბლობის მჭიდროდ დასახლებისა და მასთან ერთად მისი სამეურნეო ათვისებისაც. ამ თვალსაზრისით უთუოდ დიდმნიშვნელოვანია გვიანბრინჯაოს ადრეული ეტაპის ზემოდასახელებული ნამოსახლარების შესწავლისას დადგენილი სურათი, ადგილობრივი მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობას რომ ასახავს. განსაკუთრებით თვალსაჩინოა მიწათმოქმედების სწრაფი დაწინაურება. ნამოსახლარების გათხრებისას თითქმის ყველ-



განაა აღმოჩენილი ქვის ხელსაფქვაეები (ნავისებური მოყვანის ქვედა ქვით), პურის საცობად განკუთვნილი ბრტყელ მარცვლებს ნამგლისპირები (ჩასართები). მიწათმოქმედებაში მარცვლებს ტურების გაშენების დასტურია ენდემური ჯიშის ხორბლის მარცვლების (დიკა და მახა), აგრეთვე ფეტვის ხშირი აღმოჩენები. აღსანიშნავია აგრეთვე ვაზისა და ყურძნის წიპწების პოვნაც.<sup>107</sup> ასევე ნამოსახლარებზე მრავლად აღმოჩენილი დიდი ზომის ქვევრისა და დერგის-მაგვარი ქურქელი, როგორც ფიქრობენ,<sup>108</sup> შესაძლებელია გამოიყენებოდა არა მარტო სითხის, არამედ მარცვლეულისა და მესაქონლეობის პროდუქტების შესანახადაც. მესაქონლეობის განვითარებაზე ბარის რაიონებში კი მოწმობს ნამოსახლარებზე აღმოჩენილი ცხოველთა ძვლები, რომელთა შორის ჭარბობს ტანმორჩილი მსხვილფეხა რქოსანი საქონლის, აგრეთვე შინაური ღორის, თხისა და ცხვრის.<sup>109</sup>

ბუნებრივია, რომ მიწათმოქმედება ბარში, ე. ი. სწოოდ კოლხეთის დაბლობზე უნდა განვითარებულიყო და აქ, ვფიქრობ, უდიდესი როლი შეასრულა მდ. რიონმა, რომლის მნიშვნელობა ძველი კოლხური ცივილიზაციის ისტორიაში ჯერ კიდევ არაა სათანადოდ გამოკვლეულ-შესწავლილი.

მდ. რიონი (ძველად ფასისს რომ უწოდებდნენ ბერძნები) საკმაოდ დიდი და წყალუხვი მდინარეა და არა მხოლოდ კოლხეთის მასშტაბით. მისი საერთო სიგრძე 327 კმ-ია, რომელთაგან 150-ზე მეტი მოდის კოლხეთის დაბლობზე, სადაც რიონს მრავალი დიდი მდინარე მიერთვის, რის შედეგადაც მისი წყალკრების ფართობი ერთისამად იზრდება.<sup>110</sup> ჩვენთვის ამჯერად ისაა საინტერესო, რომ მდ. რიონის წყალი განსაკუთრებით მდიდარია აზოტით და ფოსფორით. ამ თვალსაზრისით მისი მდ. ნილოსთან შედარებისას დადგინდა, რომ მცენარეთა შესათვისებელი ნივთიერებანი რიონის წყალში გაცილებით მეტი რაოდენობითაა, ვიდრე ეგვიპტის უდიდეს მდინარეში, რომლის სასიცოცხლო მნიშვნელობა მიწათმოქმედების განვითარებისათვის უძველესი დროიდანაა საყოველთაოდ ცნობილი. სპეციალური გამოკვლევებით დადგენილია მდ. რიონის დანატოვარი შლამის განსაკუთრებული გამანაყოფიერებელი მნიშვნელობა მარცვლეული კულტურებისათვის და მისი ხანგრძლივი დროის მანძილზე შემოქმედების უნარი.<sup>111</sup> მეორე მხრივ, ცნობილია, რომ ჩვეულებრივ მაღალი ტემპერატურა და ხშირი ნალექები ხელს უწყობენ კოლხეთის დაბლობში მცენარეული საფარის, განსაკუთრებით ტყეების სწრაფ ზრდას, რაც



უღრესად ხელისშემშლელი იყო ძველად მიწათმოქმედების განვითარებისათვის. ამას თან ერთვის კოლხეთის დაბლობის კიდევ ერთ-ერთი ვისებურება: დაჭობებული ზედაპირი, ზედმეტი წყალი. ასეთ პირობებში ხალხურმა გენიამ შეძლო მდ. რიონის გამანაყოფიერებელი შლამის რაციონალურად გამოყენება და დაჭობებული ტყიანი მასივების სამეურნეო სავარგულებად ქცევა: დაჭობებული მიწის ზედაპირის რიონის წყლით „მორწყვა“, რის შედეგადაც მდინარის ნალექი — შლამი ნესტიან ზედაპირსაც ფარავდა და მით ნათესებისათვის მეტად ნოყიერ ნიადაგს ქმნიდა. ამ წესის გამოყენება მოითხოვდა სავანებო არხების გათხრას — როგორც მდინარეული წყლის ქაობიან ნიადაგზე გადასატარებლად, ასევე შლამისაგან დაწმენდილი წყლის ნაკვეთიდან გასაყვანად სავანებო სადინარების გაკეთებას. ეს უკანასკნელი მდ. რიონის ზმირად აღიდებისა და ნაპირზე გადმოსვლის შემდეგაც იყო აუცილებელი. მაგრამ ეს არ იყო ერთადერთი გზა ქაობიან ნიადაგთან ბრძოლისა მის სათეს ფართობად ქცევისათვის, რადგან საჭირო იყო მდინარეების (რიონისა და მისი შენაკადების) კალაპოტების დაცილებული ფართობების ათვისებაც. ამ მიზნით მიმართავდნენ უკანასკნელ დრომდე ეთნოგრაფიულ ყოფაში შემორჩენილ წესს: სათესი ფართობების ირგვლივ სადრენაეო თხრილების გაკეთებას, აგრეთვე ღრმა ჰეების გათხრას ან კიდევ ნიადაგის ხელოვნურ მოზვინვას. ეს წესები დაწვრილებით აქვს აღწერილი აწ განსვენებულ ქართველ ეთნოგრაფს მ. გეგეშიძეს, რომელიც სამართლიანად აღნიშნავს მათ სიძველეს.<sup>112</sup> მართლაც, მდ. რიონისა და აგრეთვე მის შენაკად მდინარეთა აუზებში ჩატარებული არქეოლოგიური კვლევებიდან დადასტურებულია, რომ უძველეს სამოსახლოებს თუ სამოსახლოთა ჯგუფს გარს აკრავს თხრილშემოვლებული სამეურნეო მოედნები, რომლებიც სამოსახლოებთან არხებით არიან დაკავშირებული. რაც უფრო დიდია სამოსახლო, მით უფრო ვრცელია მისი სამეურნეო ფართობი და მით უფრო რთულია მისი არხების ქსელი და საერთოდ საარხო სისტემა.<sup>113</sup>

ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანებიდან მაინც კოლხეთის დაბლობი მეურნეობრივად ფართოდაა ათვისებული და საკმაოდ მჭიდროდ დასახლებულიც! ამას მოწმობს, როგორც უკვე არაერთგზის ითქვა, მრავალფეროვანი არქეოლოგიური მასალა, როგორც გვიანბრინჯაოს ადრეული ეტაპის დასახლარების არქეოლოგიური თხრებით გამოვლენილი, ასევე არქეოლოგიური დაზვერვისას უძველეს ნამოსახლო-



რებზე მოპოვებული ამ ხანის კერამიკული ფრაგმენტების სამუშაოების დროს აგრე მრავლად აღმოჩენილი ლითონის ნივთები და ცალკეული ნივთები.

კოლხეთის დაბლობის სამეურნეო ათვისება უთუოდ იყო ხანგრძლივი და რთული პროცესი, რომელიც მოითხოვდა უაღრესად ფართო მასშტაბისა და მოცულობის ძალზე შრომატევად მიწის სამუშაოებს, დაჭაობებული და ნესტიანი ნიადაგის სათეს ფართობებად ქცევასა და ინტენსიური მიწათმოქმედების განვითარებას რომ ემსახურებოდა.<sup>114</sup> აქ იგულისხმება ტყის მასივების გაკაფვა და ველური მცენარეული საფარისაგან სათესი ფართობის განთავისუფლება, სადრენაჟე არხების გათხრა და ხელოვნური მიწაზვინულების შექმნა, მდინარეული შლამით ჭაობიანი ფართობებისათვის ხელოვნური თხრილებით წყლის შემოყვანა და დაწმენდილი წყლის უკან საგანგებო სადინარებით გაყვანა და ბოლოს ის პროცესები მარცვლეულის დათესვის, მოვლისა და მოსავლის აღებასთან რომაა დაკავშირებული.

რა პირობებში იყო შესაძლებელი იმ შორეულ ეპოქაში ასეთი კოლოსალური მიწისა და საერთოდ სამეურნეო ხასიათის სამუშაოების ჩატარება? ბუნებრივია, პირველ რიგში, მხოლოდ შესაბამისი შრომის იარაღების არსებობისა და მასთან ერთად კოლექტიური შრომის ეფექტურად ორგანიზაციის პირობებში. მართლაც, დღეს ჩვენს ხელთ უკვე მრავლად არსებული არქეოლოგიური მასალა (სწორედ ძვ. წ. XIV—XII სს-ით დათარიღებული) თვალნათლივ გვიჩვენებს დღევანდელ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე პირველ რიგში სასოფლო-სამეურნეო იარაღების არაჩვეულებრივ მრავალფეროვნებას ფუნქციონალური თვალსაზრისით. სწორედ მიწათმოქმედების განვითარებას ემსახურებოდა ლითონის სამეურნეო იარაღი — ყველაზე დამახასიათებელი და განმსაზღვრელი კომპონენტი გვიანბრინჯაოს ხანის დასავლურქართული, ე. ი. კოლხური კულტურისა: ცული და წალდი ტყის გასაქაფვად იყო განკუთვნილი, თოხი და ე. წ. სეგმენტური იარაღები კი ახოს ალების, ნიადაგის მომზადებისა და შემდგომი დამუშავებისთვის იყო აუცილებელი.<sup>115</sup> მაინც საგანგებოდაა აღსანიშნავი თოხების არაჩვეულებრივი სიმრავლე და მრავალფეროვნება, რაც ადგილობრივი მოსახლეობის სამეურნეო ყოფაში მის განსაკუთრებულ როლზე და თოხური მეურნეობის შემდგომ ფართოდ დაწინაურება-განვითარებაზე მიუთითებს. ზოგიერთი მკვლევარი ამ დროისათვის არც პრიმიტიული სახნისის არსებობას გამორიცხავს.<sup>116</sup>



სოციალურ-პოლიტიკური განვითარების რა სტადიაზე იყო და როგორ იყო შესაძლებელი სამიწათმოქმედო მეურნეობით გაუმჯობესებული ისეთი ფართო მასშტაბის მიწის საუმუშაოების ეფექტურობის მართვა, რომლის შესახებ ზემოთ გვქონდა საუბარი? პირველ რიგში, რა თქმა უნდა, აუცილებელი იყო მიწის სათხრელად და ტყეების გასაყავავად შესაფერისი სამეურნეო იარაღით უზრუნველყოფა. უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვენს მიერ ზემოაღნიშნული მაღალი დონე ლითონის (ბრინჯაოს) მეტალურგიისა და მეღიბონეობის მრავალფეროვანი პროდუქცია (ცული, წალდი, სეგმენტი, თოხი და სხვა იარაღები) სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა. შესაბამისად უნდა დავასკვნათ, რომ ინტენსიური მიწათმოქმედების განვითარების აუცილებლობა განპირობებდა ხელოსნური წარმოების ფართო მასშტაბებს! მაგრამ სად მზადდებოდა ეს იარაღები და სად იყო განლაგებული ეს სახელოსნოები. ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში, როგორც უკვე აღვნიშნეთ ყოველთვის მკვეთრად არაა გამოჩენილი ცნებები მეტალურგიისა და ლითონდამუშავების საწარმოო ცენტრების შესახებ, რაც ამჯერად ჩვენი განსჯის საგანთან დაკავშირებითაც მთელ რიგ გაუგებრობებს იწვევს. იძულებული ვარ კიდევ ერთხელ გავიმეორო, რომ კარგა ხანია სამეცნიერო ლიტერატურაში თითქმის გაბატონებულია მოსაზრება კოლხური ბრინჯაოს კულტურის თავდაპირველ და უძველეს კერად სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის, კერძოდ, კოროზის აუზის მიჩნევის შესახებ. ეს დებულება დაფუძნებულია არსებითად დასახელებული რეგიონის მთიან ზოლში სპილენძის საბადოთა კონცენტრაციასა და აგრეთვე სპილენძ-ბრინჯაოს ნაწარმის განძების განსაკუთრებულ სიმრავლეზე. მაგრამ ნიშნავს ეს, რომ გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპის (ძვ. წ. XV—XII სს.) ყველა ლითონის ნაწარმი, რომელიც აგრე მრავალადაა უკვე ნაპოვნი მთელს დასავლეთ საქართველოში <sup>117</sup> ზემოდასახელებული საწარმოო ცენტრის პროდუქციაა? ვფიქრობ რომ არა! ლითონის მოპოვება უთუოდ მდნეულით მდარად მთიან რაიონებში ხდებოდა, მაგრამ საკუთრივ ლითონის იარაღების დამზადება კი — უმეტესწილად ბარში, სადაც მსხვილ სამოსახლოებთან ახლოს იყვნენ უთუოდ განლაგებული ლითონდამამუშავებელი სახელოსნოები, რომელნიც მარაგდებოდნენ შედარებით ახლოს განლაგებული მდნეულით მდარაი ოლქებიდან. <sup>118</sup> ამიტომაც საფიქრებელია, რომ განძის სახით კოლხეთის დაბლობზე აღმოჩენილი ლითონის სამეურნეო იარაღები <sup>119</sup> ძირითადად ადგილობ-




რივ ლითონჩამოსასხმელ სახელოსნოებშია და მზადდება და ამ დროს ეს სახელოსნოები ნედლეულს იღებდნენ არა მხოლოდ სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის სამთამადნო კერებში, არამედ რეგულარულად რაჭა-ლეჩხუმის, აფხაზეთისა და სვანეთის საილენების მდებარეულით მდიდარი ოლქებიდან.<sup>120</sup> თუ ეს დასკვნა სწორია, მაშინ უაღრესად საყურადღებო ფაქტთან გვაქვს საქმე: ლითონის მოპოვებისა და ლითონის სამეურნეო (და აგრეთვე საბრძოლო) იარაღების თუ სხვა ნაკეთობათა ისეთი ფართო მასშტაბები, როგორც აქ ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანებიდანაა ფიქსირებული და მიმდინარეობს საკმაოდ სწრაფი ტემპითა და აღმავალი გზით, ყოველად წარმოუდგენელია მდინის მფლობელი და მოპოვებელი მთის მოსახლეობის ბარის სასოფლო-სამეურნეო ოლქებთან რეგულარული სააღებშიცემო ურთიერთობათა გარეშე. სწორედ ეს იყო ერთ-ერთი საფუძველი და საკმაოდ მკვიდრი საფუძველიც, რომელიც დიდი და მცირე კავკასიონის სამთამადნო რაიონების და კოლხეთის დაბლობის ბარული მეურნეობის ეთნიკურად არაერთგვაროვან<sup>121</sup> მოსახლეობას ერთიან ეკონომიკურ და, თუ გნებავთ, ერთიან პოლიტიკურ სისტემაში აერთიანებდა, რაც აისახა კიდევ ვრცელ ტერიტორიაზე ერთგვაროვანი მატერიალური კულტურის გავრცელებაში. ჩემის ღრმა რწმენით, ეს არ იყო მხოლოდ სტიქიური პროცესი: იგი მოითხოვდა გარკვეულ, მიწათმოქმედების ინტენსიურ განვითარებას და ზედმეტი პროდუქტის შექმნაზე აქცენტირებული პოლიტიკური ორგანიზაციის შექმნას. ასეთი პოლიტიკური ორგანიზმის შექმნა კი გამოიწვია პირველ რიგში კოლხეთის დაბლობის სამეურნეო ათვისების აუცილებლობამ. ტყის მასივების გაკაფვა და მასთან ერთად ჭაობიანი ადგილების სათეს სავარგულებად ქცევა, მდ. რიონისა და მისი შენაკადების წყლების თავისებურ „სარწყავ“ სისტემად გამოყენება მოითხოვდა მოსახლეობის ფართო მასების გაერთიანებას, როგორც ადგილობრივი მეთეშეების, ასევე, ალბათ, ძალდატანებით მოზიდულებისაც. თუ ამას დავუმატებთ ზემოთქმულსაც — სამეურნეო იარაღებისა თუ მისი დასამზადებელი ლითონით მომარაგებას (ე. ი. მთისა და ბარის რეგულარულ ურთიერთობას), შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ინტენსიური მიწათმოქმედების განვითარება კოლხეთის დაბლობზე იყო ის უმთავრესი საფუძველი, თავისებური მასტიმულირებელი ძალა, რომელიც განაპირობებდა პოლიტიკური კონსოლიდაციის რთულ პროცესს. იქნებ ამიტომაცაა ბერძნული მითით აიეტში მიწათმოქმედის ფუნქცია განსახა-



კოლხური ბრინჯაოს ნივთები (ცული, ქანდაკება, სამკაული). ძვ. წ. I  
ათასწლეულის პირველი ნახევარი



კოლხური ბრინჯაოს ცელები



კოლხური ოქროს დიადემა ვანიდან. ძვ. წ. V ს.



ქართული  
მუზეუმი




ოქროს სასაფეთქლები ვანიდან. ძვ. წ. IV ს.




ქოლხური ოქროს საყურეები ვანიდან. ძვ. წ. V ს.



ქართული  
ბიბლიოთეკა



ოქროს ყელსაბამი ვანიდან. ძვ. წ. V ს.




კოლხური ოქროს საყიდი სოფ. სიმაგრედან. ძვ. წ. VI ს.






შპროს გულსაიდის ღებალი



ოქროს ველსაყლი ვანიდან. ძვ. წ. IV ს.




ოქროს სამკაულები ვანიდან, ძვ. წ. IV ს.




ოქროს ბალთა ჰერაკლეს გამოსახულებით ვანიდან. ძვ. წ. III ს.





საქართველოს  
მეცნიერებათა  
აკადემიის  
მეცნიერებათა  
სამეცნიერო ცენტრის  
ბიბლიოთეკა




ბრინჯაოს კოლხური სასოფლო-სამეურნეო იარაღები  
(წალი, სეგმენტი, თხი). ძვ. წ. XV -- VII სს.



კოლხური კერამიკა ნოსტრის ნამოსახლარიდან. ძვ. წ. II ათასწლეულის  
მეორე ნახევარი





სრინჯაოს კოლხური ცულო ძვ. წ. VIII — VII სს.

ერებული. გავიხსენოთ, რომ არგონავტების შესახებ ბერძნული მითის თანახმად მიწათმოქმედება კოლხთა მეფის ძლიერების სიმბოლო და ამიტომაც იგი ოქროს საწმისის მოსაპოვებლად მოსულ ბერძნულ წყევლებს ნამძღოლს იარაღით კი არ ებაეჭრება, არამედ ხენა-თესვანს სჯობს ვევეს. ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანებიდან კოლხეთის დაბლობზე მიწათმოქმედების სწრაფად დაწინაურების პროცესში უთუოდ დიდი როლი შეასრულა მდ. რიონმა, როგორც არა მხოლოდ დიდმა სამდინარო არტერიამ, თავისი შენაკადებით რომ უკავშირდებოდა მთელს კოლხეთს და მით ხელს უწყობდა ერთ მთლიან ორგანიზმად ჩამოყალიბებას, არამედ აგრეთვე როგორც მიწათმოქმედების მაცოცხლებელმა ძალამ. ამ საკითხებზე მსჯელობისას არ შეიძლება არ გავიხსენოთ ბერძენ ბუკოლიკურ პოეტ თეოკრიტეს სქოლიონებში დაცული ცნობა, რომელიც ძვ. წ. III ს-ის ბერძენ მეცნიერს მნასეასს მიეწერება: „კოლხებმა თავიანთი სახელწოდება მიიღეს კოლხოსისაგან, ფასისის ვაჟისაგან“. ამგვარად, ბერძნულ წყაროებში წარმოდგენილი გენეალოგიური სქემა აღიარებს ფასისის პირველობას. ხომ არაა აქ ასახული ფასისის, როგორც კოლხეთის მაცოცხლებელი ძალის დიდი სიმბოლური მნიშვნელობა? ერთი მხრივ, რიონის წყლის მარცვლელული კულტურების გაშენების გამანაყოფიერებლად გამოყენება, მეორე მხრივ, წყალდიდობისას მის გამანადგურებელ ზემოქმედებასთან ბრძოლა მოითხოვდა ხალხის ფართო მასების კოლექტიურ ორგანიზაციას.<sup>122</sup> ამას არ შეიძლება არ მოჰყოლოდა შედეგად ძირეული სოციალური ძვრები და ცვლილებანი საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რაც უძველეს სამოსახლოთა სტრუქტურაშიც აისახა.

შემჩნეულია, რომ ძველი სამოსახლოები, როგორც წესი, ერთიმეორის გვერდით მდებარე ორი, სამი და მეტი ბორცვისაგან შემდგარი ჯგუფით არიან წარმოდგენილნი და გარკვეული შუალედებით ერთი რომელიმე მდინარის გასწვრივ განლაგებულნი. ბორცვების ერთიან კომპლექსში, როგორც წესი, გამოიყოფა უფრო დიდი ზომისა და სიმაღლის, ამასთან ერთი ან ზოგჯერ ორი მზღუდავი ფართო თხრილით გარშემოვლებული ბორცვი, რომელსაც ცენტრალური ადგილი უკავია.<sup>123</sup> ამგვარად, სამოსახლოთა ტოპოგრაფიაში თვალნათლივ იკვეთება თითქოს ერთგვარი განსხვავება ერთიანი კომპლექსის შიგნით, რომელიც გარკვეულ სოციალურსა და, ალბათ, პოლიტიკურ-უფლებრივ დიფერენციაციაზე, დაწინაურებული (ჰეგემონი) გვარის

5. ო. ლორთქიფანიძე

დანარჩენთაგან იზოლაციის ტენდენციასზე მიუთითებს.<sup>124</sup> უნდა გავიყ-  
როთ, რომ ცენტრალური სამოსახლოს მეთაური — მთელი დასახლო-  
ების მეთაურია, რომელიც უკვე გარკვეული უფლებებზეა მფლობელი.  
ვის ხელთაა მთავარი უფლება — მოსახლეობის შეკრება სახო-  
ვადობრივ სამუშაოებზე (პირველ რიგში ისეთისა, კოლექტიურ შრო-  
მას რომ მოითხოვს — ქაობიანი და ტყით დაფარული მასივების სა-  
ვარგულებად ქცევა, სადრენაჟო არხებისა და თავდაცვითი თხრილე-  
ბის გაკეთება და სხვ.). შესაბამისად მის ხელთაა ზედმეტი პროდუქ-  
ტის მითვისება და გარკვეული სიმდიდრის დაგროვება. ძვ. წ. II  
ათასწლეულის მეორე ნახევრის არქეოლოგიურ ძეგლებში ქონებრივი  
დიფერენციაციის მაუწყებელი მასალა ჯერ არ გაგვიჩნია. ამის მიზეზი  
ისიცაა, რომ ამ პერიოდის სამაროვნები ჯერ არაა მიკვლეული და  
გათხრილ-შესწავლილი.<sup>125</sup> ქონებრივი დიფერენციაციის ნათელი სუ-  
რათი კი სწორედ ცალკეულ სამარხთა ინვენტარის ურთიერთშედარე-  
ბით ხდება ნათელი, როგორც ეს, მაგალითად, უფრო გვიანდელი ხანი-  
სათვის გვაქვს დადასტურებული ვანში, ითხვისში, საირხეში და  
სხვ.<sup>126</sup> მაგრამ უკვე ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარში არ-  
სებელი ქონებრივი (და შესაბამისად უფლებრივი) დიფერენციაციის  
არაპირდაპირ მოწმობად შეიძლება მივიჩნიოთ არქეოლოგიური ნივ-  
თების თავისებური და საინტერესო სახეობა — განძები, რომელნიც  
ლითონის სხვადასხვა ნივთებთან ერთად ხშირად შეიცავენ სპილენ-  
ძის ზოდებსაც. მკვლევართა ერთი ნაწილი მათ „მელითონეთა გან-  
ძებს“ უწოდებს, მაგრამ უფრო მართებული ჩანს მოსაზრება, რომ სპი-  
ლენძის ზოდები სიმდიდრის, ქონების დაგროვების მოწმობა და გარ-  
კვეული სოციალურ-ეკონომიკური ტენდენციის მანიშნებელიც უნდა  
ყოფილიყო<sup>127</sup>. მაგრამ მარტო სპილენძის ზოდები კი არა, განძის სხვა ნივ-  
თებიც (ცული, თოხი, ე. წ. სეგმენტისებური იარაღი და სხვ.) მიუთითე-  
ბენ სიმდიდრის დაგროვებაზე, რამდენადაც ამ ნივთებს ხშირად წმინ-  
და სამეურნეო ფუნქციასთან ერთად გაცვლითი ექვივალენტის (ე. ი.  
მერმინდელი შინაარსით — ფულის) დანიშნულებაც ჰქონდათ.<sup>128</sup>

ამრიგად, ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრიდან მთელს დღე-  
ვანდელ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აგრე ფართოდ გავ-  
რცელებული ლითონის ნივთებისა და ზოდების შემცველი „განძები“  
რეალურად არსებული ქონებრივი დიფერენციაციის მოწმობად შეიძ-  
ლება მივიჩნიოთ.

ახლა თუ შევაჯამებთ ზემოთქმულს, შეიძლება გამოვთქვათ ვარა-

უდი, რომ მდ. რიონისა (და საერთოდ) კოლხეთის დაბლობს სამეურნეო ათვისებამ და ინტენსიური მიწათმოქმედების განვითარების აუცილებლობამ შექმნა ძლიერი ფუნდამენტი ახალი ტიპის, განვითარების განიზმად გაერთიანებული საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის. ბრწყინვალე კოლხური ბრინჯაოს კულტურა, აგრე თვალსაჩინოდ რომაა წარმოდგენილი დღევანდელ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, მაღალგანვითარებული სამიწათმოქმედო საზოგადოების ნაყოფია, ამიტომაც ბრინჯაოს მეტალურგიის (ამ სიტყვის ფართოდ გავრცელებით — მადნის გამოდნობა, ლითონის ნივთების დამზადება და ა. შ.) განვითარების მასტიმულირებელ ძალად უნდა ვაღიაროთ ბარული ინტენსიური მიწათმოქმედება, რომელიც ზედმეტი პროდუქტის დაგროვების ფართო შესაძლებლობას ქმნიდა და იყო დასაწყისი ადრეკლასობრივი ურთიერთობებისა, ე. ი. სახელმწიფოებრიობის ადრეული ეტაპის გენეზისისა.


ამრიგად, არსებობს გარკვეული საფუძველი ვარაუდისათვის, რომ მითში არგონავტების შესახებ აიას ქვეყნის სახით აიხასა სწორედ კოლხეთის დაბლობზე (რომლის მთავარ სამეურნეო-სასიცოცხლო არტერიას მდ. რიონის აუზი წარმოადგენდა) განვითარებული საზოგადოება თავისი ბრწყინვალე ბრინჯაოს კულტურით და ინტენსიური მიწათმოქმედებით. ამ საზოგადოების პოლიტიკურ ლიდერად გვევლინება მეფე აიეტი. მისი ხელისუფლების რეალური პოლიტიკური შინაარსი ჩვენთვის უცნობია. ქვეყნის ასეთი საერთო ერთპიროვნული ლიდერის არსებობა გულისხმობს ისეთ საზოგადოებას, სადაც უკვე არსებობენ ცალკეულ თემებში დაწინაურებული მეთაურები (ლოკალური პოლიტიკური ლიდერები), რომელთა ზემოთ დგას ერთპიროვნული მპრძანებელი. ასეთი პოლიტიკური სტრუქტურის ჩამოყალიბება, თანამედროვე პალეოსოციოლოგიური კონცეფციის თანახმად, იყო რთული და მრავალმხრივი ფაქტორით განპირობებული პროცესი. ამ ფაქტორებიდან პირველ რიგისად მიიჩნევენ ოპტიმალურ ეკოლოგიურ გარემოს, საწარმოო ეფექტსა და დემოგრაფიულ ოპტიმუმს.<sup>129</sup> შეიძლება თამამად ითქვას, რომ ჩვენს მიერ ზემოთ განხილულ არქეოლოგიურ მასალებში ყველა ეს ნიშანი თითქოს თვალნათლივაა წარმოდგენილი: ა) ოპტიმალური ეკოლოგიური გარემო პირველხარისხოვანი მნიშვნელობის ფაქტორადაა აღიარებული. ამ თვალსაზრისით სწორედ უადრესად ხელსაყრელი პირობები იყო კოლხეთის მიწა-წყალზე. მდ. რიონი თავისი გამანაყოფიერებელი წყლის

ხელოვნური რეგულაციის გზით ინტენსიური მიწათმოქმედების განვითარებას უწყობდა ხელს, ხოლო დიდი და მცირე კავკასიონის მთიანი ოლქების მადნეულით სიმდიდრე განაპირობებდა მეტალურგიის განვითარებას და საზოგადოების უზრუნველყოფას საჭიროებისათვის საომარი იარაღის დასამზადებელი ლითონით. მდიდარი ხე-ტყე საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობათა მშენებლობის ფართო შესაძლებლობას იძლეოდა (ამანაც განაპირობა კოლხეთისათვის აგრე ტიპური ჯარგვალური წესი ხით სახლების შენებისა ძვ. წ. III ათასწლეულიდან რომ დასტურდება და თავი უკანასკნელ დრომდე შემოინახა)<sup>130</sup>. მდინარეების ფართო ქსელი კი ცალკეულ ოლქებს შორის კომუნიკაციის საუკეთესო საშუალებასაც წარმოადგენდა.

ბ) საწარმოო ეფექტიც — ეკოლოგიური გარემოთი განპირობებული — საკმაოდ თვალსაჩინოდაა წარმოდგენილი ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრის კოლხური კულტურის არქეოლოგიურ ძეგლებში. როგორც დავინახეთ, მიწათმოქმედების, მესაქონლეობისა და ბრინჯაოს მეტალურგიის მაგალითზე სავსებით აშკარაა ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება, ცალკეულ ოლქებს შორის რეგულარული გაცვლა-გამოცვლა, შრომის კოოპერაცია (როგორც სამიწათმოქმედო სამუშაოებზე, ასევე მეტალურგიაში), სულ მზარდი ტენდენცია ზედმეტი პროდუქტის დაგროვებისა და შესაბამისად საზოგადოების პრივილეგირებული წრეების მიერ მისი მითვისებისა (ქონებრივი და შესაბამისად უფლებრივი დიფერენციაციის იმპულსებზე რომ მიუთითებს და არქეოლოგიურად აისახა სამოსახლოთა ტოპოგრაფიასა და განძების დაგროვებაში).

გ) დემოგრაფიული ოპტიმუმი დასტურდება გვიანბრინჯაოს ადრეული ეტაპის სხვადასხვა ტიპის ძეგლთა (ნამოსახლარები, განძები, ლითონის ცალკეული ნივთები და სხვ.) აღმოჩენებით დასაველეთ საქართველოს მრავალ პუნქტში — ბარში, მთის წინა ზოლსა და მთიანეთში. ამასთან მომდევნო პერიოდში ძვ. წ. I ათასწლეულში მოსახლეობის სიმჭიდროვე კიდევ უფრო თვალსაჩინოა და მოწმობს ინტენსიური მიწათმოქმედების განვითარების შედეგად ზედმეტი პროდუქტის დაგროვების ხარჯზე მოსახლეობის სწრაფი ტემპით გამრავლების ტენდენციას.<sup>131</sup>

ასეთი მაღალგანვითარებული საზოგადოება ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრისათვის შავიზღვისპირეთის არც ერთ სხვა რეგიონში დადასტურებული არაა. სწორედ ეს მაძლევს უფლებას ვივა-



რადლო, რომ არგონავტების აიას ქვეყანაში მგზავრობის შესახებ ბერძნული მითის უძველეს ციკლში (მიკენური ხანით რომ იწყება) აისახა დღევანდელ დასავლეთ საქართველოს მიწა-წყალსებული დიდი პოლიტიკური გაერთიანება, რომლის მთავარ, მოწინავე ოლქს რიონის აუზი და კოლხეთის დაბლობი წარმოადგენდა. აიასწორედ ამ ქვეყანას უნდა გულისხმობდეს. თუმცა აქ ჩნდება ერთი, მაგრამ არსებითი ხასიათის წინააღმდეგობა. როგორც უკვე ვნახეთ, კოლხთა უძველესი პოლიტიკური გაერთიანება სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ივარაუდება: ჯერ ასურულ წყაროებში ძვ. წ. XII—XI სს. თითქოს „კოლხის“, ხოლო შემდეგ ურარტულ წყაროებში „კოლხას“ სახელწოდებით, რაც სრულიად მართებულად კოლხეთანაა გაიგივებული.

ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულს და I ათასწლეულის დასაწყისში (ძვ. წ. VIII ს-ის 20-იან წლებამდე) თუ კოლხეთი დოკუმენტურად სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთშია (კერძოდ, ჰოროხის აუზშია) დადასტურებული, მაშინ რაღა უფლება თუ საფუძველი გვაქვს აიად (რომელიც კოლხეთის უძველესი სახელწოდებაა) რიონის აუზი და დღევანდელი კოლხეთის დაბლობი გამოვაცხადოთ? ამ კითხვაზე უყოყმანო პასუხის გაცემა საკმაოდ ძნელია. ერთი რამაა მხოლოდ უცილობელი: ძვ. წ. VIII—VII საუკუნეების შემდეგ ბერძნულ სამყაროში კოლხეთად მთლიანად დღევანდელი დასავლეთ საქართველო იგულისხმება.<sup>132</sup>

მაშ კვლავ დგას რთული საკითხი: მითში არგონავტების შესახებ აიას სახელით აისახა ასურულ-ურარტული წყაროების კოლხა ჰოროხის აუზი თუ რიონისპირა ქვეყანა? აკად. გ. მელიქიშვილის ვარაუდით კოლხას სამეფოს ცენტრი „სადაც უფრო სამხრეთით უნდა ყოფილიყო და არა ფაზისზე (რიონზე), სადაც მას მოგვიანო ტრადიცია ათავსებს. იგი უფრო მეორე დიდი მდინარის — ჰოროხის ქვემოწელზეა სავარაუდებელი. ურარტუსთან ახლო კონტაქტი ასე უფრო ადვილად გასაგებია. არ უნდა დაევიწყოთ, რომ აქ, ჰოროხის აუზში, არის საძებნი გვიანბრინჯაოს განთქმული კოლხური კულტურის სამშობლო, მისი უმთავრესი სამრეწველო რაიონი. ძველი კოლხური სამეფო, უეჭველია, ამ კულტურის შემოქმედი მოსახლეობის გაერთიანება იყო“.<sup>133</sup> ჩემის აზრით, დებულება, რომ ძველი კოლხური სამეფო იყო გვიანბრინჯაოს ხანის კოლხური ბრინჯაოს შემქმნელი მოსახლეობის გაერთიანება — სავსებით სწორია (ეს საკითხი ზემოთ იყო

განხილული). მაგრამ საკამათოა ამ გაერთიანების პოლიტიკური ცენტრის ძიება ჭოროხის აუზში. საამისოდ ჩვენ არავითარი პილდობრივ მითითება ასურულსა და ურარტულ წყაროებში არ მოგვეპოვებოდა. მთ მოტანილი მოსახრების სასარგებლოდ ფაქტობრივად დასტურდება მენტია მხოლოდ მოტანილი: 1. „ურარტუსთან ახლო კონტაქტი ასე უფრო ადვილად გასაგებია“. მაგრამ, როგორც ცნობილია, კოლხასა და ურარტუს დამეზობლება განაპირობა კოლხას მიერ დიაუხის ყოფილი ტერიტორიების შემოერთებამ.<sup>134</sup> შესაბამისად ამ ტერიტორიებზე კოლხას პოლიტიკური ძალაუფლების გავრცელება მეორადი მოვლენაა და იგი კოლხას სამეფოს პოლიტიკური ცენტრის განმსაზღვრელ ორიენტირად ვერ გამოგვადგება. 2. „ჭოროხის აუზში არის საძებნი გვიანბრინჯაოს განთქმული კოლხური კულტურის სამშობლო, მისი უმთავრესი სამრეწველო რაიონი“. მაგრამ, როგორც უკვე ვნახეთ, ჩვენ არ გვაქვს მყარი საფუძველი იმისათვის, რომ ჭოროხის აუზი მივიჩნიოთ გვიანბრინჯაოს ხანის კოლხური კულტურის სამშობლოდ, მიუხედავად იმისა, რომ ჭოროხის აუზი მართლაც იყო „მისი უმთავრესი სამრეწველო რაიონი“. კოლხური ბრინჯაოს კულტურის ფორმირება ხდებოდა კოლხეთის დაბლობზე, სადაც ძვ. წ. II ათასწლეულიდან დამკვიდრდა დასავლურქართული მოსახლეობის დიდი მასა, რომელმაც ერთი დიდი გაერთიანების ქვეშ მოაქცია ჯერ დიდსა და მცირე კავკასიონს შორის მოქცეული ტერიტორია, ხოლო შემდეგ ალბათ თავისი ძალაუფლება განავრცო მცირე კავკასიონის სამხრეთით, მათ შორის სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთშიც.

რატომაა გამორიცხული, რომ ასურულ-ურარტული წყაროების კოლხი // კოლხა რიონისპირა ქვეყანასაც მოიცავდა? აკად. გ. მელიქიშვილის აზრით, ტიგლათფილესარ I-ის შემდგომ ხანაში, ძვ. წ. XI—IX საუკუნეებში „კოლხა გადაიქცა მყარ და ძლიერ გაერთიანებად, რომელმაც თავისი გავლენა განავრცო სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ვრცელ მიწა-წყალზე. ამან, უეჭველია, ხელი შეუწყო ამ მხარეში მცხოვრები ტომების კულტურული მონაპოვრების ერთიერთგაზიარებას და აქ მცხოვრები მოსახლეობის იმ კულტურული ერთობის ჩამოყალიბებას და განმტკიცებას, რომელიც „კოლხური კულტურის“ სახელითაა ცნობილი“.<sup>135</sup> მაგრამ „კოლხური ბრინჯაოს“ კულტურა ხომ უკვე ძვ. წ. XVI—XV სს-ში იწყებს ფორმირებას და უკვე ძვ. წ. XIV—XII სს-ში თავისი კლასიკური სახით იგი, როგორც ვნახეთ, კოლხეთის დაბლობშია ჩამოყა-




ლიბებული? მაშ იქნებ უფრო ბუნებრივია ვივარაუდოთ, რომ პარტიის რიგით, სწორედ აქ ჩამოყალიბებულმა პოლიტიკურმა ერთეულმა ავრცელა თავისი პოლიტიკური გავლენა სამხრეთ-აღმოსავლეთ შავი-ზღვისპირეთზე. ასეთი ვარაუდი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ასურულ-ურარტული წყაროების მონაცემს, რადგან დასახლებულ წყაროებში კილხი // კოლხას საზღვრები სრულად არაა მოხაზული. კიდევ მეტი! ურარტუს მეფის სარდურ II-ის წარწერიდან ხომ ნათლად ჩანს, რომ მას შეტაკება უხდება კოლხას სამეფოს სამხრეთ პროვინციებთან, რომელთაგან ერთი ნაწილი ახლახანა ანექსირებული დიაიენი-დიაუხის ხარჯზე. სწორედ კოლხას მიერ დიაუხის ყოფილი ტერიტორიების შემოერთებამ აქცია კოლხასა და ურარტუს სამეფოები ურთიერთის მეზობლებად. ამასთან აკად. გ. მელიქიშვილიც ხაზგასნით აღნიშნავს, რომ ურარტელებს კოლხას წინააღმდეგ ლაშქრობისას „ზღვისპირა რაიონებისათვის არ მიუღწევიათ“. სარდური II-ის წარწერაში მოხსენებული „სამეფო ქალაქი“ ილდამუსა გ. მელიქიშვილის აზრით „სამეფო რეზიდენცია არ უნდა იყოს“ (იქ მსხდარან კოლხას მეფის ნაცვლები). ილდამუსას ადგილმდებარეობაც ზუსტად არაა ცნობილი. საყურადღებოა, რომ თვით კოლხას მეფე ურარტელების წინააღმდეგ საომარ ოპერაციებში არ მონაწილეობს. აქედან თითქოს შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მისი პოლიტიკური რეზიდენცია საკმაოდ მოშორებითაა და მან „ვერ მოასწრო ილდამუსის საშველად მისვლა“.<sup>136</sup>

აპოლონიოს როდოსელი აიას მთავარ ქალაქს და მეფე აიეტის რეზიდენციას „კუტაიას“ უწოდებს. აპოლონიოს როდოსელთან გვხვდება ასეთი გამოთქმები: „აიას ქალაქი კუტაიისი“, „კუტაია ქალაქი“, „კუტაიის მსარე“, „კუტაიელი აიეტი“ და ა. შ.<sup>137</sup> აიას (ე. ი. კოლხეთის) კუტაიას, როგორც აიეტისა და მედეას სამშობლოს, ახსენებენ სხვა ბერძენი მწერლებიც (ლიკოფრონ ქალკიდელი, კალიმაქე კვირენელი და სხვ.).<sup>138</sup> ძალზე საინტერესოა ძვ. წ. V ს-ის ბერძენი ისტორიკოსის ჰეროდოტეს ერთი ცნობა: „როდესაც ათამანტს, ეოლოსის ძეს, მსხვერპლად შეწირვას უპირებდნენ, აია-კოლხეთიდან მოვიდა კტოსორე და განათავისუფლა იგი“. იმავე ჰეროდოტეს განმარტებით, „კიტისორე ფრიქსეს ვაჟია“ და, მაშასადამე, მეფე აიეტის შვილიშვილი (არგონაეტთა შესახებ მითის თანახმად ფრიქსეს, რომელიც კოლხეთში ოქროს საწმისიანი ვერძით ჩამოფრინდა, ცოლად ყავდა აიეტის ასული ქალკიოპე). პროფ. თინათინ ყაუხჩიშვილმა და-



მაჯერებლად უჩვენა, რომ „კიტისოროს“ ნიშნავს იგივეს, რასაც ქართულად „ქუთათელი“.<sup>139</sup>

სახელთა სრული იდენტურობა ექვს არ იწვევდა, რუმისელებმა ბულ წყაროებში სწორედ აწინდელი ქუთაისის მიდამოებში არსებული ქალაქი იგულისხმებდა.<sup>140</sup> მაგრამ მიკენური წარწერების გაშიფრვის შემდეგ, იმის გამო, რომ „კუტ“ ძირიანი სახელები ფართოდ აღმოჩნდა გავრცელებული სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, მცირე აზიასა და კუნძულ კრეტაზეც კი, სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოითქვა ექვი იმის შესახებ, რომ ბერძნულ წყაროებში მოხსენებული „კუტაია“ შესაძლოა არ გულისხმობდა თანამედროვე ქუთაისს თუ მასთან ახლო მდებარე კოლხურ ქალაქს.<sup>141</sup> ქართველ ლინგვისტთა გამოკვლევით ტოპონიმი „ქუთაისი“ ჯერ კიდევ საერთო ქართველური ენის დონეზეაო წარმოქმნილი<sup>142</sup>. რისმაც გორდენიანმა ასეთი მოსაზრება გამოთქვა: „ქართულ კუტაიასა და კრეტულ კუტაიონ-ს შორის კავშირი დიდი ხანია შენიშნულია. კუტაიონ წინაბერძნული ჩამჩის, ბუტკოს მნიშვნელობის კუტ — ფუძის შემცველი აპელატივების გათვალისწინებით შეიძლება აღნიშნავდეს გამოცარიელებულ ადგილს მთებს შორის. თუკი გავითვალისწინებთ ქართველურ ენებში ფუძე ქუთ-ის მნიშვნელობას (დიალ. გამო-ქუთ-ვ-ნა „გოგრის გულის გამოლება“, ქუთუთო და ა. შ.), შეიძლება ქართველური ტოპონიმის შემცველი ფუძისათვის იგივე სემანტიკა ვივარაუდოთ“.<sup>143</sup> აქ წამოკრილ საკითხებზე საუბარი ლინგვისტების კომპეტენციაა<sup>144</sup>. რაც შეეხება „კუტაია“-ს ლოკალიზაციას, ჩემის აზრით, მნიშვნელოვანია აპოლონიოს როდოსელის პირდაპირი მითითება — „იქ კუტაიის ხმელეთზე და კირკეს ველზე ამარანტის შორეული მთებიდან გამომდინარე მორევიანი ფასისი მიაგორებს თავის ფართო ნაკადს ზღვისაკენ“. ფასისი კი აქ სწორედ მდ. რიონია, ხოლო ამარანტის მთად კი მიჩნეულია რაჭის ფასის მთა, რომელსაც ზეპირსიტყვაობა „ამირან-მთას“ უწოდებს (შეიქცეით ყურადღება, რა საინტერესო ვითარებაა: აპოლონიოს როდოსელთან კავკასიონის სახელად „ამარანტო“ ზუსტად შეესატყვისება ადგილობრივ სახელწოდებას ძველი ქართული მითოლოგიის საფუძველზე აღმოცენებული: ამირანი ხომ კავკასიონის ქედზე იყო მიჯაჭვული!). ძველი კუტაიას ლოკალიზაციისათვის არანაკლებ მნიშვნელოვანია VI საუკუნის ბიზანტიელ ისტორიკოს პროკოპი კესარიელთან შემოხახული უთუოდ ძველი ტრადიცია: „მდინარე რეონის სანაპიროებთან კოლხებს ძველადვე აუგიათ ციხე, რო-




მელიც შემდეგ ხანებში მათ მეტწილად მიწასთან გაუსწორებიათ, რადგან ის მეტად დაბალ ვაკეზე მდებარეობდა და მათი აზრით, ეს იყო ღრუ. მაშინ ამ ციხეს კოტაიონს უწოდებდნენ. ელინური ენით, ამჟამად კი მას ლაზები ქუთათისს ეძახიან... სხვები კი ამბობენ: ძველ დროში ამ ადგილას ქალაქი იყო და კვიტაიონი ეწოდებოდაო; აქაური იყო აიეტი, რის გამოც პოეტები მას კვიტაიელს უწოდებენ, ხოლო კოლხეთის ქვეყანას კი — კვიტაიდსო“.

ამრიგად, ბერძენ და ბიზანტიელ მწერლებს კუტაია სწორედ დღევანდელ ქუთაისსა თუ მის მახლობლად ეგულებათ.

ქუთაისსა და მის მიდამოებში ჩატარებულმა არქეოლოგიურმა სადაზვერვო სამუშაოებმა უცილობლად უჩვენეს, რომ უკვე ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანებიდან მაინც „ქუთაისის ქვეყანა“ ეკონომიკური და დემოგრაფიული თვალსაზრისით კოლხეთის ერთ-ერთი დაწინაურებული ოლქია. მაგრამ სადღეისოდ ჩვენს ხელთ არსებული არქეოლოგიური მასალა ჭერ კიდევ არაა საკმარისი „კუტაიას“ საბოლოო ლოკალიზაციისა და ქუთაისის უძველეს დასახლებათა ტიპისა და ფუნქციის განსასაზღვრავად.<sup>145</sup>

ასე ამრიგად, არქეოლოგიური მონაცემებით და წერილობითი წყაროების ჩვენებებით (თუმც არაპირდაპირის) ჩნდება გარკვეული საფუძველი ვივარაუდოთ, რომ არგონავტების ოქროს საწმისისათვის ლაშქრობის შესახებ მითში აიეტის ქვეყნის სახით აისახა დღევანდელ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში კოლხეთის დაბლობზე შექმნილი ძლიერი პოლიტიკური გაერთიანება, რომელიც იყო შემოქმედი მაღალგანვითარებული ბრინჯაოს კულტურისა, აგრე თვალნათლივ რომაა არქეოლოგიურ მასალებში წარმოდგენილი.


არგონავტიკის ჩვენამდე მოღწეული ვერსიები ვერ გვიქმნიან ნათელ სურათს „აია“ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური სტრუქტურის დასახასიათებლად.<sup>146</sup> მაგრამ მაინც გამოიკვეთება რამდენიმე ნიშანი, რომელიც შეიძლება არგონავტთა თქმულების წარმოქმნისა და თავდაპირველი ისტორიული ბირთვის ხანას მივაკუთვნოთ. ესაა პირველ რიგში თვით მეფე აიეტი (უკვე ჰომეროსთან მოხსენიებული და, მაშასადამე, უძველესი არგონავტიკის განუყოფელი ნაწილი) — მოწმობა იმისა, რომ „აია“ პოლიტიკურად კონსოლიდირებული საზოგადოებაა, რომლის სათავეშია ერთპიროვნული ლიდერი. ამ უკანასკნელის ხელისუფლება დაცანონებულია მისი ღვთაებრივი წარმოშობითაც. უკვე ჰომეროსისათვის ცნობილია, რომ აია



ქვეყნის გამგებელი მზის შვილია, რომ იგი, ისევე როგორც სხვები/და კირკე „იშვა მოკვდავთ-მანათობელი პელიოსისაგან უკრუნულები“, X, 137—138). ბერძენთა შორის გავრცელებული ასევე „ქვეყნის მზის შვილი“ აიეტის წარმომავლობაზე, რომელსაც ერთხმად გვიანდელი ავტორებიც (პესიოდე, ევმელოს კორინთელი და სხვ.) იმეორებენ, სრულე-ბითაც არაა შემთხვევითი და, როგორც ჩანს, იგი ადგილობრივ, კოლ-ხური რწმენა-წარმოდგენების რეალური ასახვაა. მზე ხომ ძველ ქარ-თველ ტომთა წარმართული პანთეონის ერთ-ერთი უმაღლესი ღვთა-ებაა, დღის სინათლის განსახიერება.<sup>147</sup> კოლხთა მიერ მზის, როგორც უმაღლესი ღვთაების თაყვანისცემა წარმართული კალენდრის ანალი-ზითაცაა დადგენილი.<sup>148</sup> ამასვე მოწმობს არქეოლოგიური მასალაც: კოლხური ოქროსა და ვერცხლის საყურეებისათვის აგრე ტიპური ვარდული, ხოლო ოქროსა და ბრინჯაოს ნივთებზე, აგრეთვე თიხის ჭურჭელზე ხშირად გამოსახული სეასტიკა (უფრო გვიან ქართული დედაბოძის შემკულობაშიც რომ შემოინახავს თავს) მზის სიმბოლო-ებადაა აღიარებული<sup>149</sup>...

აიეტი, ბერძენული გადმოცემებით, სათავეს უდებს სამეფო დი-ნასტიკას. ჩვენ ზემოთ უკვე განვიხილეთ ბერძენ ავტორთა — ქსენო-ფონტის, სტრაბონის, პლინიუსის ცნობები, რომელთა თანახმად კოლ-ხთა მეფეები თავის თავს „აეტიდებს“, ე. ი. აიეტის შთამომავლთ უწოდებდნენ. ოქროს საწმისიც — ხელისუფლების სიმბოლო და ბერძენთა და აიეტის ცილობის საგანი, აიას ქვეყნის პოლიტიკური სისტემის განმსაზღვრელია. ამ საზოგადოებაში, რომელიც აიეტშია განსახიერებული, უკვე იცის ზემოსხენებული სიმბოლოს პოლიტი-კური ცნება და შესაბამისად მისი ფასიც: ოქროს საწმისის დაკარგვა ქვეყნის კეთილდღეობის, აიეტისათვის კი — პოლიტიკური ანუ ერთ-ბიროვნული ხელისუფლების აღსასრულს ნიშნავს.

ძნელია ახლა ზუსტად განსაზღვრა, თუ პოლიტიკური და სოცია-ლურ-ეკონომიკური განვითარების რა სტადიაზე იდგა ის საზოგადო-ება, რომელიც ძვ. წ. XIV—XIII სს-შია ფიქსირებული დღევანდელ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე და აისახა „აიას“ სახით არ-გონავებების ოქროს საწმისისათვის ლაშქრობის შესახებ თქმულების თავდაპირველ ვერსიაში. ჩემის აზრით, ეს ჭერ კიდევ არაა ყველა განმსაზღვრელი ნიშნით ჩამოყალიბებული სახელმწიფოებრივი ორ-განიზმი. აიეტის ქვეყნის სახით ჩვენ ამ დროისათვის საქმე უნდა გვქონდეს ისეთ საზოგადოებასთან, სადაც უკვე არსებობენ ცალკეულ



თემებში დაწინაურებული მეთაურები (ლოკალური პოლიტიკური ლიდერები), რომელთა ზემოთ დგას ერთპიროვნული მბრძანებელი რომლის ხელისუფლება უკვე დეთაებრივად არის მიჩნეული ტომაც უდებს იგი სათავეს მმართველი გვარის დინასტიას. ასეთი პოლიტიკური სტრუქტურა თავისი შინაარსით ძალზე უახლოვდება პოლიტიკური ინტეგრაციის წინასახელმწიფოებრივი წყობიდან სახელმწიფოზე გარდაბავალ (უფრო სწორად — შუალედურ) ეტაპს. ასეთ პოლიტიკურ სტრუქტურას უწოდებენ „ჩიფდომს“ (ინგლისური სიტყვიდან „ჩიფ“, რაც ნიშნავს „ბელადს“) და მიიჩნევენ უნივერსალურ ფენომენად.<sup>150</sup> მაგრამ რამდენადაც სადისკუსიო არ უნდა იყოს გვიანბრინჯაოს ადრეულ ეტაპზე (ე. ი. ძვ. წ. XIV—XII სს-ის) დასავლურ-ქართული საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემის განსაზღვრა, დღევანდელ ეტაპზე ის მიანიცაა უცილობელი, რომ არქეოლოგიური მონაცემების საფუძველზე აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი (დიდსა და მცირე კავკასიონს შორის მოქცეული კოლხეთის დაბლობი) ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარში გვევლინება საკმაოდ მაღალდაწინაურებულ ქვეყნად, რომლის სახეს განსაზღვრავს: ა) ერთგვაროვანი მატერიალური კულტურა (თუმც რიგი ლოკალური თავისებურებებით), რომელიც შეიძლება გარკვეულად პოლიტიკური კონსოლიდაციის შედეგიც იყოს; ბ) ინტენსიური, მარცვლეული კულტურების მოყვანაზე აქცენტირებული მიწათმოქმედება, რომელიც რთულ კოლმატაურ და სადრენაჟო მიწის სამუშაოებთან იყო დაკავშირებული და მოითხოვდა მოსახლეობის ფართო მასების კოლექტიური შრომის ორგანიზაციას (პოლიტიკური კონსოლიდაციის ერთ-ერთ არსებით მასტიმულირებელ ძალას); გ) ფრიად დაწინაურებული ბრინჯაოს მეტალურგია და ლითონის წარმოება უაღრესად მრავალფეროვანი პროდუქციით (რომელთა შორის ძირითადია საომარი და სამეურნეო იარაღები) — ქვეყნის ეკონომიკისა და პოლიტიკური ხელისუფლების მძლავრი საფუძველი; დ) მესაქონლეობა, როგორც მთაში, ასევე ბარში; ე) მრავალპროფილიანი ხელოსნური წარმოება, განსაკუთრებით კერამიკული, რომლის პროდუქცია სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის შენახვასა და მოხმარებასთანაა დაკავშირებული; ვ) სრულყოფილად ჩამოყალიბებული ტიპი დასახლებებისა, გეომორფოლოგიური პირობების გათვალისწინებით შესანიშნავად გააზრებული და ჭაობიანი ნიადაგისაგან ხელოვნურად და საიმედოდ იზოლირებული სისტემა საცხოვრებელი

და სამეურნეო ნაგებობებისა თავისებური ჯარჯვალური ტურით. სამოსახლოთა ტოპოგრაფიაში შეიმჩნევა ჰეგემონი დაწინაურებაც.

ყველაფერი ეს იმავე დროს თვალსაჩინო ილუსტრაციას წარმოადგენს ცნობისა: „(პომეროსთან) კარგადაა ნათქვამი: „ყველასთვის სასურველი არგო“, ვინაიდან ხომალდით მოგზაურობა მოხდა ცნობილ და კარგად დასახლებულ ადგილებში“.

### არგონავტიკის გვიანდელი პერიოდი და კოლხეთი

ამ წიგნის წინა თავებში ჩვენ შევეცადეთ გვეჩვენებინა, რომ არგონავტების ოქროს საწმისისათვის აიეტის ქვეყანაში ლაშქრობის შესახებ ბერძნული თქმულების თავდაპირველი ბირთვი ჯერ კიდევ მიკენურ ხანაში შეიქმნა და მასში აისახა ბერძენ-აქაველთა პირველი მოგზაურობანი შავი ზღვის სანაპიროებისაკენ, რაც ტროის ომის წინ, ე. ი. ძვ. წ. XIII ს-ის 30-იანი თუ 40-იანი წლების უწინარეს უნდა განხორციელებულიყო. ამ დროისათვის ბერძენთა მოგზაურობას შავი ზღვის სანაპიროებისაკენ მაინც შემთხვევითი ხასიათი უნდა ჰქონოდა. არსებითად ეს იყო მხოლოდ მეკობრული ექსპედიციები მამაცი ზღვაოსნებისა, შორეული ქვეყნებისაკენ რომ მიიღებოდნენ სიმდიდრისა და სახელის მოსახვეჭად. მაგრამ სწორედ მაშინ გადაიღვა პირველი ნაბიჯები შავი ზღვის სანაპიროებისაკენ მიმავალი გზების ასათვისებლად, რაც აისახა კიდევ არგონავტების შესახებ ბერძნული მითის უძველესსა და პირვანდელ ვერსიებში. აქი დავრწმუნდით კიდევაც, რომ პომეროსის, პინდარესა და აპოლონიოს როდოსელის თხზულებებში შემონახული ტრადიციის თანახმად პლანქტების, ე. ი. შავი ზღვის სრუტეების გასურვა ძველ ელინთა შორის აღიქმებოდა როგორც შავ ზღვაზე ნაოსნობის დასაწყისი. ასე რომ, ბერძენ-აქაველმა ზღვაოსნებმა უდავოდ მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს შავი ზღვის სანაპიროებისაკენ მიმავალი გზების გაკვალვისა და ათვისებაში. ამ დროს გავრცელდა სწორედ ბერძენთა შორის პირველი ცნობები აიეტის მდიდარი და მრავალი სიკეთით აღსავსე ქვეყნის შესახებ. სწორედ მაშინ აქაველ ბერძენთა პირველი მოგზაურობებისას შეიქმნა თავდაპირველი ვერსია მითისა კოლხთა მდიდარი და იღუმალი ქვეყნის შესახებ, რომელიც შემდგომ თანდათანობით ხორცს იხსამდა, ხო-

ლო ბერძენთა და კოლხთა შორის ურთიერთობის გაცხოველებას შე-  
საბამისად კი ახალ პოეტურ სამოსელში ეხვეოდა.

ძვ. წ. XII ს-ის დასაწყისში, როდესაც აქეური ელადმონი პოეტური ცენტრები განადგურდა, შეწყდა აქაველთა მოგზაურობანიც შავი ზღვის სანაპიროებისაკენ.

ახალი ეტაპი ელინური სამყაროს კოლხეთთან ურთიერთობისა იწყება ძვ. წ. VIII—VII საუკუნეებიდან და იგი დაკავშირებულია იმ დიდ საზოგადოებრივ და სოციალურ ძვრებთან, რომელიც ძველი სამყაროს ისტორიაში „დიდი ბერძნული კოლონიზაციის“ სახელითაა ფართოდ ცნობილი.

ეს იყო ხანა ბერძენთა ფართო განსახლებისა ხმელთაშუაზღვისა და შავი ზღვის სანაპიროებზე. გამოჩენილი ბერძენი ფილოსოფოსის პლატონის ხატოვანი გამოთქმით „ბერძენები ცხოვრობდნენ დედამიწის გარკვეულ ნაწილში ფასისიდან (ქალაქი და მდინარე კოლხეთში — თ. ლ.) მოკიდებული პერაკლეს სვეტებამდე (ე. ი. გიბრალტარის სრუტემდე), ზღვის ირგვლივ, ისევე როგორც კიანჭველები ან ბაყაყები შემოველებიან ხოლმე ჭაობს“.


ბერძენთა მიერ ძვ. წ. VIII—VI საუკუნეებში დაარსებული ახალშენები ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ თავიანთი მიზანდასახულობით, სოციალური და პოლიტიკური სტრუქტურით. უმრავლესობა ე. წ. აგრარულ ახალშენებს წარმოადგენდა, რომლებიც ხშირ შემთხვევაში იქცეოდნენ ხოლმე დამოუკიდებელ პოლიტიკურ ცენტრებად, ანუ ქალაქ-სახელმწიფოებად, პოლისს რომ უწოდებდნენ ძველი ბერძენები. უცხო ქვეყნებში დაარსებული პოლისები ფლობდნენ ირგვლივ მდებარე ვრცელ მიწებს და ეწეოდნენ მათ მიერ დამორჩილებული ადგილობრივი მოსახლეობის ფართო ექსპლოატაციას. ასეთი იყო, მაგალითად, ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში დაარსებული ბერძნული ქალაქი პანტიკაპეიონი (დღევანდელი ქერჩის ადგილას), ან კიდევ ქერსონესი (სევასტოპოლის მახლობლად), ოლბია (მდ. ბუგის შესართავთან) და მრავალი სხვა. ახალშენების დაარსებას თან სდევდა ადგილობრივი მოსახლეობის დამონება, მათი სრული კულტურული ასიმილაცია, ან კიდევ იძულებითი აყრა-გადასახლება. სამიწათმოქმედო ახალშენების დაარსება ბერძენებმა უპირატესად იქ შეძლეს. სადაც ადგილობრივი მოსახლეობა ჭერ კიდევ სუსტი იყო. სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით და ვერ უწევ-

და წინააღმდეგობას მოსულ ბერძნებს. ხოლო იქ, სადაც უკვე  
ბობდა სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების ტალღა,  
საზრისით დაწინაურებული საზოგადოება, ბერძნული კოლონიური  
წინააღმდეგობებს წააწყდა და იქ აგრარულმა ახალმა  
გომ რომ დამოუკიდებელ პოლისებად უნდა ქცულიყვნენ, ფები ვერ  
მოიკიდეს. ასეთ შემთხვევებში ბერძნები აარსებდნენ სავაჭრო ფაქ-  
ტორიებს, რომელთაც ემპორიონებს უწოდებდნენ და ეწეოდნენ ადგი-  
ლობრივ მოსახლეობასთან გაცხოველებულ აღებ-მიცემობას უკვე  
როგორც თანასწორუფლებიან პარტნიორებთან. ასე იყო, მაგალითად,  
ეგვიპტეში, სადაც ბერძნებმა ნილოსის შესართავთან დააარსეს დიდი  
სავაჭრო ქალაქი ნავკრატისი. ასევე მოხდა კოლხეთში, სადაც ბერძ-  
ნებს დახვდათ სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული თვალსაზ-  
რისით მაღალგანვითარებული საზოგადოება, რომელსაც უკვე ჰქონდა  
პოლიტიკური ორგანიზაციის უმაღლესი ფორმა — სახელმწიფო, კოლ-  
ხეთის სამეფო. ამავე დროს, როგორც არქეოლოგიური მასალები  
მოწმობენ, მთელი ზღვისპირა ზოლი ჯერ კიდევ ბერძენთა საკოლო-  
ნიზაციო მოძრაობის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე მჭიდროდ იყო და-  
სახლებული და ფართოდაც ათვისებული. ასეთ პირობებში, ბუნებრი-  
ვია, ბერძნებმა ვერ შეძლეს აქ დამოუკიდებელი ქალაქ-სახელმწი-  
ფოების შექმნა და ძვ. წ. VI საუკუნიდან დააარსეს თავიანთი სავაჭ-  
რო ფაქტორიები დიდ კოლხურ საქალაქო ცენტრებთან: ფასისსა (დღე-  
ვანდელი ფოთის მახლობლად) და დიოსკურიასში (დღევანდელ სო-  
ხუმთან), ხოლო უფრო გვიან — დღევანდელი ქობულეთისა და ოჩამ-  
ჩირის მიდამოებშიც.<sup>1</sup>

მაგრამ რა იზიდავდათ ბერძნებს კოლხეთში, როდესაც ისინი აქ  
თავიანთ სავაჭრო ფაქტორიებს აარსებდნენ? პირველი პასუხი ჩვენ  
შეიძლება სწორედ არგონავტების შესახებ ბერძნულ მითში ვიპოვოთ,  
რაც ჯერ კიდევ სტრაბონმა განმარტა სავსებით სწორად და თვალსა-  
ჩინოდ: „ამ ქვეყნის სიმდიდრე ოქროთი, ვერცხლითა, რკინითა და  
სპილენძით იყო მიზეზი, რისთვისაც მოეწყო ლაშქრობა“.

სწორედ პირველ რიგში ლითონით, კერძოდ რკინითა და ოქრო-  
თი სიმდიდრე იზიდავდა უთუოდ ბერძნებს კოლხეთში და ამ თემაზე  
შეიქმნა სახელგანთქმული მითიც ოქროს საწმისის შესახებ.

უფრო დაწვრილებით ამის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი.  
ახლა კი მხოლოდ იმას აღვნიშნავ, რომ არქეოლოგიური მონაცემები  
თვალსაჩინოდ ასახავენ ბერძენთა ცხოველ სავაჭრო-ეკონომიკურ და



კულტურულ ურთიერთობას კოლხეთთან ძვ. წ. VI—IV საუკუნეებში.  
 ძვ. წ. VI საუკუნეში სრულიად აშკარაა აღმოსავლურ-ბერძნული  
 (იონიური) სავაჭრო-სახელოსნო ცენტრების აქტიური როლი, ხოლო  
 ძვ. წ. VI საუკუნის დასასრულიდან, განსაკუთრებით კი V—IV სს-ში  
 კოლხეთთან ვაჭრობაში დომინირებული მდგომარეობა ათენს (ატი-  
 კას) უკავია. ახალი არქეოლოგიური აღმოჩენები კოლხეთის სხვადა-  
 სხვა ცენტრებში: მოხატული ნატიფი ბერძნული თიხის კუერკელი  
 და ატიკური შავლაკიანი კერამიკა, მრავალფეროვანი და ძალზე მრავალრიცხოვანი ამფორები (ზეითუნის ზეთის, ღვინისა და მარცვლე-  
 ულის გადასატანად რომ იყო განკუთვნილი), მალაღმბატვრული ტო-  
 რეეტკის ნიმუშები, მონეტები და სხვ. ძვ. წ. VI—IV სს-ში ბერძ-  
 ნულ სამყაროსა და კოლხეთს შორის გაცხოველებული სავაჭრო-ეკო-  
 ნომიკური ურთიერთობის უტყუარი მოწმობაა<sup>2</sup> სწორედ ასეთი ახლო  
 და პირდაპირი ურთიერთობა ქმნიდა ინფორმაციის რეალურ წყაროს,  
 რაც უნდა ასახულიყო კიდევ არგონავტიკის სხვადასხვა დროის ვერ-  
 სიებში.

ამრიგად, ბერძნულ-კოლხური ურთიერთობის ისტორიაში ორი,  
 ერთმანეთისაგან თვისებრივად განსხვავებული ეტაპი გამოიყოფა:  
 პირველი — აქეური, ძვ. წ. II ათასწლეულით თარიღდება და აღინიშ-  
 ნება ბერძენთა პირველი, არარეგალური მოგზაურობებით შავი ზღვის  
 სანაპიროებისაკენ. ამ დროს განეკუთვნება არგონავტების შესახებ  
 თქმულებების პირველსაწყობიც ბერძნულ ეპოსში. მეორე ეტაპი,  
 იონიურ-ატიკური, ძვ. წ. VI—IV საუკუნეებისა, ბერძნულ სამყაროსა  
 და კოლხეთს შორის გაცხოველებული, მეტნაკლებად რეგულარული  
 ურთიერთობის ხანაა და აღინიშნება არგონავტების შესახებ მითის  
 არაჩვეულებრივი პოპულარობით, ცალკეული სიუჟეტების დამუშა-  
 ვებით რფგორც ეპოსში (ჰესიოდე და მისი სკოლა, ნავაპქტიკა და  
 სხვ.), დრამასა (ესქილე, სოფოკლე, ევრიპიდე) თუ პროზაში (ჰერო-  
 დოტე),<sup>3</sup> ასევე სახვით ხელოვნებაში (რელიეფი, ქანდაკება, კერამიკუ-  
 ლი ფერწერა).<sup>4</sup> ამიტომაც მკვლევართა საერთო აღიარებით, არგონავ-  
 ტიკა მრავალფეროვანი ძეგლია. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენამდე მოღ-  
 წეულ ვერსიებში სხვადასხვა ეპოქების ვითარებაა წარმოდგენილი  
 და ეს სრულიად ბუნებრივია: ამა თუ იმ ეპოქის მწერალი თავისდრო-  
 ინდელ რეალურ ვითარებას ითვალისწინებდა და ამ ნიშნების ფონზე  
 აღწერდა არგონავტების ლაშქრობას კოლხეთში. მაგრამ მაინც არის  
 მთელი წყება ნიშნებისა, რომელიც ძველი კოლხეთის უცალობელ



სიმბოლოებადაა აღიარებული და მუდამ წითელი ზოლივით არგონავტიკის ყველა დროის ვერსიას.

პირველი და არსებითი ისაა, რომ, როგორც უკვე ვთქვამდეთ, არგონავტების შესახებ ასახულია კოლხეთის ძლიერი პოლიტიკური გაერთიანების არსებობა როგორც იმ ხანებში, როდესაც მითის თავდაპირველი ვერსიები იქმნებოდა, ე. ი. ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარში, ასევე ბერძნულ სამყაროსა და კოლხეთს შორის ყველაზე უფრო მეტად ინტენსიური სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობის პერიოდში, ე. ი. ძვ. წ. VI—V საუკუნეებში, როდესაც მითი არგონავტების შესახებ ყველაზე უფრო მეტადაა პოპულარული ბერძნულ სამყაროში. ამ დროისთვისაც კოლხეთი მახლობელი აღმოსავლეთის ერთ-ერთ უძლიერესსა და ფართოდ ცნობილ სახელმწიფოს წარმოადგენდა. ეს ძალიან კარგად ჩანს „ისტორიის მამის“ ჰეროდოტეს თხზულებიდან, სადაც მთელ მახლობელ აღმოსავლეთში მეწამული ზღვიდან კავკასიონამდე მხოლოდ 4 ეთნიკური ერთეული (ანუ ოთხი დიდი სახელმწიფო) იხსენიება: სპარსელები, მიდიელები, სასპერები (აღმოსავლურ-ქართული ტომები) და კოლხები. რამდენადაც აქ ასახულია მიდიის ძლიერების ხანა, ამდენად ეს ცნობა წინა აზიაში ძვ. წ. VI საუკუნის პირველი ნახევრის პოლიტიკური ვითარების ამსახველადაა მიჩნეული.<sup>5</sup>

ამ დროიდან ბერძნები კოლხეთს უწოდებენ დღევანდელ დასავლეთ საქართველოს — შავი ზღვის სანაპიროზე დღევანდელი ბიჭვინთის მიდამოებიდან ჭოროხამდე და აღმოსავლეთით სკანდე-შორაპნის ხაზამდე.

ახალი არქეოლოგიური კვლევა-ძიება, აგრე ინტენსიურად რომ მიმდინარეობს დღეს მთელი ძველი კოლხეთის ტერიტორიაზე, არ ადასტურებს ჩვენს ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებულ დებულებას, რომელიც ძვ. წ. VI—IV სს-ის კოლხეთს წარმოადგენდა (უპირატესად სტრაბონის ერთი ცნობის საფუძველზე) როგორც ტომობრივ სტრუქტურაზე დაფუძნებულ სუსტ და ეფემერულ პოლიტიკურ გაერთიანებად. პირიქით, ახალი არქეოლოგიური აღმოჩენები მოწმობენ, რომ ძვ. წ. VI—V საუკუნეებში კოლხეთი წარმოადგენდა ეკონომიკურად და კულტურულად მაღალდაწინაურებულ სახელმწიფოს — მრავალრიცხოვანი ქალაქებით თუ ქალაქური ტიპის დასახლებებით, განვითარებული მიწისმოქმედებით, მრავალდარგობრივი ხელოსნური წარმოებით და ფულადი მეურნეობით, გაცხოველებული სავაჭრო-ეკონომი-

კური ურთიერთობით გარე სამყაროსთან. ამასთან, არქეოლოგიური მასალები (კერამიკა, ლითონის ჭურჭელი, ოქროსა და ვერცხლის სამკაულები, მონეტები — კოლხური თეთრით რომაა წარმოდგენილია (ფიგურა ა. შ.) თვალსაჩინოდ მოწმობს არა მხოლოდ მკაცრ კულტურულ ურთიერთობას, არამედ იმასაც, რომ ძვ. წ. VI—V საუკუნეებში კოლხეთის ცალკეული ოლქები მოქცეულია ერთიან ეკონომიკურ სისტემაში, რაც ქმნიდა მყარ საფუძველს კოლხეთის სახელმწიფოს ერთიანი პოლიტიკური კონსოლიდაციისათვის.<sup>6</sup>

ამრიგად, თუ არგონავტიკის თავდაპირველ ვერსიებში ასახულია ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარში რეალურად არსებული კოლხთა ძლიერი პოლიტიკური გაერთიანება (უკვე სახელმწიფოებრიობის გზაზე შემდგარი პოლიტიკური სტრუქტურა), უფრო გვიან — არგონავტების შესახებ თქმულების ყველაზე უფრო პოპულარობის ხანაში, კოლხთა ძლიერი და მდიდარი ქვეყნის შესახებ წარმოდგენებს ძვ. წ. VI—V სს. კოლხეთთან რეგულარული ურთიერთობის შედეგად მიღებული რეალური ინფორმაცია ასაზრდოებდა და ამრავალფეროვნებდა!

მაგრამ არა მხოლოდ ზოგად ხაზებში, არამედ შეიძლება ითქვას, პოეტურ სამოსელში გახვეულ ცალკეულ მითოლოგიურ სახეებსაც რეალური საფუძველი ეძებნება. ასე მაგალითად, არგონავტიკის ყველა ვერსიაში კოლხეთი განვითარებული მიწათმოქმედების ქვეყანადაა წარმოდგენილი და ეს ნიშანი მეფე აიეტშია ბრწყინვალედ განსახიერებული: მიწათმოქმედება კოლხთა მეფის ძლიერების სიმბოლო და ამიტომაც იგი ოქროს საწმისის მოსაპოვებლად მოსულ ბერძენთა წინამძღოლს იარაღით კი არ ებაეჭრება, არამედ ზენა-თესვამი გამოიწვევს, რადგან მხოლოდ მას ძალუძს „სპილენძისჩლიქებიანი, ცეცხლისმფრქვეველი ხარების უღელში შებმა“, სწორი ღრმა ხნულების გავლება, დილიდან დაღამებამდე დათესვა და მოსავლის მკა. მითითური კოლხეთის ეს სიმბოლოც, რომელიც აგრეთვე წითელ ზოლივით გასდევს არგონავტიკის ყველა ვერსიას, რეალურ საფუძველზეა აღმოცენებული და შესანიშნავადაა (როგორც წინა თავში ვნახეთ) ილუსტრირებული ძვ. წ. II და I ათასწლეულების მეტად მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური მასალებით. საქმარისია გავიხსენოთ ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარით დათარიღებული კოლხური ბრინჯაოს სასოფლო-სამეურნეო იარაღების არაჩვეულებრივი მრავალფეროვნება (ნაირსახოვანი თოხები და ცულები, წალღები, ე. წ. სეგმენტი-

6. თ. ლორთქიფანიძე

სებური იარაღები და სხვ.) და კოლხურ ნამოსახლარებზე მაკულ-  
ული კულტურების ენდემურ ჯიშთა ნაშთების ხშირი უპეჩენება.<sup>11</sup>  
მიწისმოქმედების წამყვანი როლი საკმაოდ თვალსაზრისით  
მაც, ძვ. წ. I ათასწლეულის მთელ სიგრძეზე. ამ თვალსაზრისით გან-  
საკუთრებით საყურადღებოა უკანასკნელ წლებში აღმოჩენილი კოლ-  
ხური სამაროვნები (თ. მიქელაძის გათხრები), სადაც თითოეულ სა-  
მარხში ზოგჯერ ათეულობით ბრინჯაოსა და რკინის სასოფლო-სამე-  
ურნეო იარაღი (განსაკუთრებით თოხები) და, რაც სავანგებოდაა აღ-  
სანიშნავი, რკინის სახნისი თუ სახნის-სებური იარაღია აღმოჩენილი.<sup>8</sup>  
სასოფლო-სამეურნეო იარაღების სამარხებში აღმოჩენა, საერთოდ,  
იშვიათი შემთხვევაა მსოფლიო არქეოლოგიაში: „მიუხედავად იმისა,  
რომ მიწისმოქმედებამ ადამიანთა ცხოვრებაში მთელი გადატრიალება  
მოახდინა, სასოფლო-სამეურნეო იარაღები თითქმის არასოდეს არ  
გვხვდება სამარხებში“<sup>9</sup> — წერდა გამოჩენილი ინგლისელი არქეოლო-  
გი გორდონ ჩაილდი. კოლხეთში კი სასოფლო-სამეურნეო იარაღების  
სამარხებში აღმოჩენა<sup>10</sup> საყოველთაოდაა დადასტურებული და მით ის  
თვალსაჩინო მოწმობაა ქვეყნის ეკონომიკაში მიწისმოქმედების წამყ-  
ვანი როლისა, რაც აგრე ხაზგასმითაა წარმოდგენილი ძველ ბერძნულ  
მითოლოგიურ გადმოცემებშიც კოლხეთის შესახებ.

სავანგებოდაა აღსანიშნავი კიდევ ერთი, ასევე, შეიძლება ითქვას,  
სრულიად უნიკალური და ბრწყინვალე არქეოლოგიური აღმოჩენა  
სოფ. ურეკში. აქ ძვ. წ. VII—VI სს-ით დათარიღებულ კოლხურ სა-  
მაროვანზე, ერთ-ერთ სამარხში ბრინჯაოსა და რკინის მრავალ სასოფ-  
ლო-სამეურნეო იარაღთან ერთად ნაპოვნია ბრინჯაოს მცირე ზომის  
ქანდაკება, რომელიც წარმოსახავს ტახტზე მჯდომ ქალს, ხელში რომ  
ბაეშვი უკავია. ესაა „ღმერთების დიდი დედა“ ანუ „დიდი დედის“  
ქანდაკება. მასთან ერთად აღმოჩნდა ბრინჯაოს ქანდაკებები ფრინვე-  
ლებისა, ხარისა, შველისა და ავაზის.<sup>11</sup> ძველი აღმოსავლური მითო-  
ლოგიის თანახმად ცხოველები და ფრინველები „დიდი დედის“ გა-  
ნუყრელი თანამგზავრები არიან და ანსახიერებენ „ღმერთების დიდი  
დედის“ უმთავრეს ფუნქციას. „დიდი დედა“ ხომ ნაყოფიერების სიმ-  
ბოლოა, მიწათმოქმედების მფარველი, მცენარეულობისა და ცხოველ-  
თა გამამრავლებელი, ყოვლისშემქმნელი მიწის უმადლესი ღვთაება.<sup>12</sup>  
„ღმერთების დიდი დედის“ კულტის არსებობა ამ დროის კოლხეთში  
სხვა მონაცემებითაც დასტურდება. 1984 წელს ვანის მახლობლად  
სოფელ სულორში (ერთ-ერთ ადგილას ადგილობრივი მოსახლეობა

„საკაკილეს“ რომ უწოდებს) შემთხვევით, მიწის სამუშაოების დროს აღმოჩნდა ძვ. წ. VIII—VII სს-ის კოლხური ბრინჯაოს ცული, რომლის ყუბაზე სკულპტურული კომპოზიციას: გამოსახულია ორი მხეცა მღვწე, რომელთაც ზურგზე ისრიანი კაპარჭები აქვთ, ხოლო ერთ-ერთ მათგანს ხელთ კვერთხი უპყრია. ესენი უთუოდ არიან „ღმერთების დიდი დედის“ მხედრები, რომელთა გამოსახულებანი ფართოდ იყო გავრცელებული ძველ ხალხებში<sup>13</sup>. საინტერესოა, რომ თვით ვანშიცაა ნაპოვნი ძვ. წ. IV ს-ით დათარიღებული ოქროს საყურეები მხედრების გამოსახულებით, რომელიც ჩვენ „დიდი დედის“ მხედრებად მივიჩნით.<sup>14</sup> სულორის ახალი აღმოჩენა მოწმობს ხანგრძლივი დროის განმავლობაში მითოლოგიური რწმენა-წარმოდგენების არაჩვეულებრივ სიმტკიცესა და უწყვეტ ეთნოკულტურულ ტრადიციებს. თავისთავად კი ეს შესანიშნავი არქეოლოგიური აღმოჩენები თვალსაჩინო მოწმობაა იმისა, რომ ამ დროისათვის კოლხეთში უკვე სისტემის სახითაა ჩამოყალიბებული სამიწათმოქმედო კულტო, აგრეთვე მითოლოგიური შემოქმედება მისი მხატვრული გააზრებისა და წარმოსახვის ფორმებით... ასე რომ, არგონავტიკის ყველა დროის ვერსიაში აგრე ხაზგასმული მაღალი დონე მიწათმოქმედებისა კოლხეთში რეალური სურათის ამსახველია. იგივე შეიძლება ითქვას თითქმის ყველა სხვა შემთხვევაშიც.

გვიანდელი არგონავტიკის, კერძოდ, აპოლონიოს როდოსელის ჩვენთვის უკვე კარგად ცნობილსა და არაერთგზის ნახსენებ პოემაში მხატვრულადაა აღწერილი სიდიადე კოლხთა მეფე აიეტის სატახტო ქალაქისა. ეს ქალაქი ჯერ, სამწუხაროდ, აღმოჩენილი არაა, მაგრამ აპოლონიოს როდოსელის დროინდელი კოლხეთის სხვა ქალაქების სიდიადესა და გარეგნულ ბრწყინვალეობაზე ჩვენ ახლა შეგვიძლია ვიმსჯელოთ ვანის ძველი ქალაქის მიხედვით: თლილი ქვით ნაგები მძლავრი თავდაცვითი კედლები და კოშკები, კარიბჭის რთული ხუროთმოძღვრული კომპლექსი, ტაძრები და საკულტო ნაგებობანი, საყურთხეველები, ქვისა და ბრინჯაოს ქანდაკებანი და მრავალი სხვა, კარგადაა ცნობილი ჩვენი საზოგადოებისათვის და ამიტომ მის შესახებ სიტყვას აღარ გავაგრძელებ.<sup>15</sup>

მითოლოგიურ ტრადიციაზე დაფუძნებულ ეპიკურ არგონავტიკის გვიანდელ ვერსიებში ჩვენ ბევრი სხვა რეალიებიც შეგვიძლია მოვიძიოთ და დავასახელოთ. მათგან ახლა ძველი მეტალურგი ტომები — ხალიბები უნდა ვახსენოთ. ძველი ბერძნული ტრადიცია ხალიბებს

საერთოდ მელითონეობის აღმოჩენას მიაწერს, მაგრამ განსაკუთრებით სახელგანთქმული ყოფილან ხალიბები რკინის დამუშავებითა და შალაი ხარისხის ფოლადის დამზადებით. სპეციალურ საფეხქვეშა ტერატურაში უკვე კარგა ხანია ხალიბები თითქმის ერთნაირ დასავლურ-ქართულ ტომებად (ქანებად) არიან აღიარებული. მათი საცხოვრისი უძველესი დროიდან ვრცელ ტერიტორიაზეა დამოწმებული — ჰალისისა და კოროხის აუზში.<sup>16</sup> „რკინის დედის ქვეყანას“ უწოდებენ მას ესქილე და სხვა ბერძენი მწერლებიც. თუმც, ხალიბთა მიწა-წყლის უმეტესი ნაწილი დღევანდელი საქართველოს ფარგლებს გარეთაა ნავარაუდები, მაგრამ სწორედ კოროხის აუზსა და მის მიმდებარე დასავლეთ საქართველოს მთელ ზღვისპირა ზოლში ამჟამად არქეოლოგიური კვლევა-ძიებით გამოვლენილია ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრით დათარიღებული რკინის დამუშავებელი სახელოსნოსაწარმოების ასეულობით ნაშთები — რკინის სადნობი ქურები, უამრავი რაოდენობის წილები, ცეცხლგამძლე თიხის მარაგის შესანახად განკუთვნილი მოედნები და ა. შ.<sup>17</sup> ამასთან რკინის გამონამუშევრები ისე მრავლადაა მთელს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ფიქსირებული, რომ სრულიად თამამად და გადაუქარბებლად შეგვიძლია დავესესხოთ ესქილეს და ამ მხარეს „რკინის დედა“ ეუწოდოთ. ისიც ძალზე საინტერესოა, რომ, როგორც გათხრების პროცესში დადგინდა, ეს ძველი სახელოსნოები ნედლეულად იყენებდნენ მაგნეტიტურ ქვიშას და მით ჩვენ მივიღეთ დოკუმენტური დადასტურება ბერძენ მწერალთა ცნობებისა რკინის მადნის ე. წ. ფლოტაციის გზით მიღების ხალიბური წესის შესახებ: „... ამბობენ ხალიბური რკინა მეტად განსაკუთრებული წარმოშობისაა. როგორც გადმოგვეცემენ, იგი მიიღება მდინარეთაგან ჩამოზიდული ქვიშიდან. ერთნი ამბობენ: ამ ქვიშას უბრალოდ რეცხავენ და ღუმელში აღნობენო. მეორენი კი ამტკიცებენ: რეცხვისაგან წარმოქმნილ დანალექს მრავალჯობის ასუფთავებინ წყლით და ისე აღნობენ. მასში დებენ ეგრეთ წოდებულ ცეცხლგამძლე ქვას, რაც ამ ქვეყანაში ბევრია. ეს რკინა ბევრად უკეთესია ყველა სხვაზე“.<sup>18</sup> ...და ძალზე საინტერესოა, რომ რკინის მიღების ეს „ხალიბურად“ წოდებული უძველესი წესი თითქმის უკანასკნელ დრომდე შემოინახა საქართველოში. განსვენებულ ეთნოგრაფს ნიკო რეხვიასვილს აღწერილი აქვს წიღისის რკინის („წედური რკინის“) დამუშავება, რომელიც სწორედ მადანში შავი ქვის (ე. წ. პიროლუხიტის) გარკვეული პროპორციით შერევაში გამოიხატებოდა<sup>19</sup>.

მაგრამ არგონავტიკის ყველა ვერსიის ძირითადი თემა ზომ მანც ოქროს საწმისისათვის ლაშქრობაა, რაც ჯერ კიდევ სტრაბონმა სრულად მართებულად ოქროსა და სხვა ლითონების მოსაპოვებლად მართული ექსპედიციის პოეტურ გააზრებად მიიჩნია: „ამჟამად სიმდიდრე ოქროთი, ვერცხლითა, რკინითა და სპილენძით გვიხნის ლაშქრობის სწორ საბაბს“.

ჩვენ უკვე ვნახეთ, თუ რა შესანიშნავადაა ილუსტრირებული არქეოლოგიური აღმოჩენებით ბრინჯაოსა და რკინის დამუშავების მაღალი დონე ძველ კოლხეთში, რაც ბერძნულ მითოლოგიურ ტრადიციაში ასახული რეალური ვითარების უტყუარ დასტურად უნდა მივიჩნიოთ. მაგრამ ოქრო მანც მთელ ბერძნულ და რომაულ მწერლობაში ძველი კოლხეთის ყველაზე უფრო თვალსაჩინო სიმბოლო და მისი დამახასიათებელი (ტიპიურს რომ ეტყვიან) ნიშანთაგანია.


ვნახოთ ჯერ, თუ როგორ ესმოდათ ოქროს საწმისის შესახებ ლეგენდა თვით ძველ სამყაროში. ახ. წ. II—III საუკუნეების ბერძენ ევჰემერისტ-მითოგრაფს ხარაკს პერგამონელს მიეწერება ასეთი ცნობის ავტორობა: „ოქროს საწმისი იყო ეტრატებზე აღნუსხული ხერხი ოქროდამწერლობისა, რომლის გამოცო, ამბობენ, როგორც ღირსსარწმუნოა, „არგოს“ ლაშქრობა მოეწყო“. როგორც სამართლიანად ვარაუდობს აკ. ურუშაძე, ეს თავისებური გააზრება იმ შეხედულებისა, რომელიც ძვ. წ. IV—III საუკუნეების ევჰემერისტ პალეოგრაფიან მომდინარეობს და რომელსაც ბეჯითად იმეორებდნენ საშუალო საუკუნეების ბერძენი მოღვაწენიც (მაგ., იოანე ანტიოქელი, სვიდა და სხვ.): „კოლხეთში დაცული ტყავი ნამდვილი ოქროს საწმისი კი არ იყო, ეს პოეტური მონაჭორია! არამედ ტყავებზე ნაწერი წიგნი, რომელიც შეიცავდა იმის აღწერას, თუ როგორ შეიძლება მივიღოთ ოქრო ქიმიის საშუალებით...“<sup>20</sup>

უფრო საინტერესო (და ამასთან ერთად მეტად მნიშვნელოვანიც) იმ რიგის ცნობებია, რომლებიც კოლხეთში ოქროს მოპოვების თავისებური წესის შესახებ მოგვითხრობენ და მას ოქროს საწმისის ლეგენდას უკავშირებენ. სტრაბონის ცნობით: „კოლხეთში მდინარეებს ჩამოაქვთ ოქრო, რასაც ბარბაროსები დახვრეტელი ვარცხლებითა და ტყავებით აგროვებენ. აქედან მომდინარეობს მითი ოქროს საწმისიან ტყავზე...“<sup>21</sup> ხოლო ახ. წ. II საუკუნის მწერლის აპიანეს გადმოცემით: „კავკასიონიდან გამომდინარე მრავალ ნაკადულს უჩინარი ოქროს ქვიშა ჩამოაქვს. ადგილობრივი მცხოვრებლები სქელმატყლი-

ან ცხვრის ტყავს დებენ და აგროვებენ ქვიშას, რომელიც ამ ტყავებზე რჩება. ალბათ, ამგვარივე იყო აიეტის ოქროს საწმისიც“<sup>22</sup>.

ბერძენ მწერალთა ეს ცნობები, რომელნიც ოქროსსაწმისის შესახებ მითის განმარტებას ისახავენ მიზნად, აგრეთვე მისი საფუძვლზე ალურ საფუძველზეა აგებული: კოლხეთის მდინარეული ქვიშების ოქროს შემცველობა კარგად ცნობილი ფაქტია,<sup>23</sup> ხოლო ბერძენ მწერალთა მიერ ოქროს მოპოვების წესი თითქმის უკანასკნელ დრომდე შემოინახა სვანეთში, ე. ი. ისტორიული კოლხეთის მთიან რაიონებში. აწ განსვენებული ქართველი ეთნოგრაფის ლ. ბოჭორიშვილის აღწერით, „...ოქროს მოპოვებას სვანები ცხვრის ტყავის დახმარებით ახერხებენ. ფიცარზე გაკიმულსა, თუ სხვაგვარი ხერხით გაშლილს ცხვრის ტყავს სათანადოდ დაამაგრებდნენ, რომ წყალს არ მოეტაცნა. ტყავის ბეწვიანი მხარე ზემოთ უნდა ყოფილიყო მოქცეული: „ბეწვი ოქროს დაიპერდა და წყალი კი გადაივიდა“, „სველი ტყავი ოქროს კენკებს მოიწებებდა“, რადგან ოქრო უფრო მიძიმეა, ვიდრე სილა, ამიტომ „ქვიშა ზევით რჩება და ოქრო ძირს ჩადის“. განსაზღვრული დროის შემდეგ ტყავს ამოიღებდნენ და გასაშრობად გაშლიდნენ. გამშრალ ტყავს დაბერტყავდნენ და „ოქროს კენკებს“ გადმოჰყრიდნენ“<sup>24</sup>.

ძნელია თითქოს მოიძებნოს სხვა უფრო მკერამეტყველური დადასტურება ძველ ბერძენ მწერალთა იმ ცნობებისა, რომელნიც ოქროს საწმისის შესახებ მითის წარმოშობის ახსნას ცდილობდნენ. მაგრამ სწორედ არქეოლოგიამ მოგვცა დღეს კიდევ უფრო სარწმუნო დადასტურება კოლხეთის ოქროთი სიმდიდრისა, რის ხაზგასმასაც სხვადასხვა პოეტური ხერხებით აგრე გულმოდგინედ ესწრაფოდნენ მუდამ ძველი ბერძენები ამ ქვეყნის აღწერისას. ასე მაგალითად (ზემოთ მოტანილი ცნობები რომ აღარ გავიმეორებთ), ძვ. წ. III ს-ის პოეტის ლიკოფრონ ქალკიდელის თხზულებაში („ალექსანდრა“) კოლხი მეფის ასული მედეა „ნერეუსის ნაშიერ ტრიტონს ოქროს დიდ თასს მიართმევს“. აპოლონიოს როდოსელთან კოლხთა მეფე აიეტს ოქროს მუხარადი ახურავს; პლინიუსის ცნობით, კოლხთა მეფე სავლაკი „უამრავ ოქროსა და ვერცხლს იპოვის ოქროს საწმისით განთქმულ თავის ქვეყანაში“ და ა. შ. ამავე თვალსაზრისით კიდევ ერთი ძველია საინტერესო. ესაა ძვ. წ. IV საუკუნეში ბერძენთა მიერ შეთხზული ეპიტაფია (დიდხანს შეცდომით არისტოტელეს რომ მიეწერებოდა) კოლხეთში დაკრძალულ მეფე აიეტზე: „ოქრომრავალი კოლხების მეფემ აიეტი ღმერთების ყოვლისმძლე სევმ აქ გააპატიოსნა“<sup>25</sup> აქ ყურად



ლებას იქცევს ეპითეტი „ოქრომრავალი“, რომლითაც ძველებერძულ მწერლობაში მხოლოდ სიმდიდრით სახელგანთქმული ქალაქები იხსენიება (მიკენი, სარდი და ბაბილონი). მიკენის „ოქრომრავლობა“ კომპეროსმა რომ აგრე საგანგებოდ მოიხსენია, პენრიხ „ზლიმანის“ ველთაოდ ცნობილი არქეოლოგიური აღმოჩენებითაა ილუსტრირებული. ასევე არქეოლოგიური გათხრებითაა დადასტურებული სიმდიდრე სარდისა და ბაბილონისა. ზუსტად ასევე კოლხეთის „ოქრომრავლობა“ ახლა არქეოლოგიური კვლევა-ძიებით ხდება ჩვენთვის თანდათან ცნობილი.

ოქროს სამკაულები კოლხეთში ჯერ კიდევ ძვ. წ. III ათასწლეულშია ცნობილი, როგორც ამას საჩხერეს ყორღანებში ნაპოვნი საყურე მოწმობს.<sup>26</sup> სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში აღწერილია ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისით დათარიღებული ოქროს ზოდების აღმოჩენაც (ჭუბურისხინჯში, სამეგრელოში),<sup>27</sup> მაგრამ განსაკუთრებით მრავლადაა ძვ. წ. VI—IV და შემდგომი საუკუნეების ოქროს ნივთები და სამკაულები თითქმის ძველი კოლხეთის ყველა კუთხეში: ქობულეთ-ფიჭვნარსა<sup>28</sup> თუ გონიოში,<sup>29</sup> ძველი ფასისის მიდამოებში („სიმაგრეს“ ანტიკური ხანის ნამოსახლარი),<sup>30</sup> ოჩამჩირესა<sup>31</sup> თუ სოხუმში<sup>32</sup>, ნოსირსა<sup>33</sup> თუ საჩხერეში...<sup>34</sup>

ოქროს ნივთები ყველაზე მრავლად მაინც ვანის ნაქალაქარზეა მოპოვებული. ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-იან წლებში ქართული გაზეთი „დროება“ იუწყებოდა: „ისე წვიმა არ მოვა, რომ იქ გორიდან არ ჩამოიტანოს ნიაღვარმა ხან ოქროები, ხან ოქროს ძეწკვი, ხან ბეჭდები, ხან რა და ხან რა ნივთეულება“... ოქროს სიმრავლეს აღნიშნავს აკად. ექვთიმე თაყაიშვილი, რომელსაც ეკუთვნის პატივი ვანში პირველი მეცნიერული არქეოლოგიური კვლევა-ძიებისა: „...ადგილობრივ მცხოვრებთა მონათხრობით აქ იპოვეს მდიდარი საფლავი და შიგ ჩატანებული ოქროს სამაჯურები, ბეჭდები, საყურეები, ოქროს ფულები, დიადემა, ცხენის საკაზმი ოქროს სამკაულები, ოქროს კვერთხი და სხვა ნივთები“.<sup>35</sup>

ოქროს ნივთების სიმრავლე ვანში თვალსაჩინოდ დადასტურდა ახალი არქეოლოგიური კვლევა-ძიებითაც, როდესაც ძვ. წ. V—IV საუკუნეებით დათარიღებულ სამარხებში ასეულობით ოქროს ნივთი აღმოჩნდა და ამასთან თითქმის ყველა საიუველირო ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშს წარმოადგენს: ცხოველთა ბრძოლის სცენების ამსახველი ჭედური გამოსახულებებით მორთული დიადემები, ვაგარ-



სით უხვად შემკული ნაირსახოვანი სასაფეთქლები და საყურეები, ცხოველთა (ჯიხვი, ვერძი, ხბო, ლომი, ტახი) თავების ქაფიანი და გამოსახულებებით დაგვირგვინებული სამაჯურები, ტანსაცმლის ნივთების პერალდიკური გამოსახულებები, ნაირნაირი ყელსაბამები, მძივები და მძივსაკიდები (ხბოს, ჯიხვის, კუს და სხვა გამოსახულებებით რომაა შედგენილი), ავგაროზები და მრავალი სხვა. ამასთან, ამ ნივთების მხატვრულ-სტილისტურმა ანალოზმა, აგრეთვე წარმოების ნაშთების (ნაშხალი) აღმოჩენამ ცხადყო, რომ ისინი ადგილობრივად დამზადებული და ძველი კოლხი ოქრომჭედლების ნახელავია.<sup>36</sup>

ქართული არქეოლოგიის მიერ აგრე განსაცვიფრებელი სიმრავლით გამოჩვენებული კოლხური ოქრომჭედლობის ბრწყინვალე ძეგლები თვალსაჩინო ილუსტრაციაა ძველი კოლხეთის ერთ-ერთი ყველაზე უფრო დამახასიათებელი სიმბოლოსი — „ოქრომრავლობისა“, რაც გახდა კიდევ, ალბათ, საფუძველი მითისა ოქროს საწმისის შესახებ.

ამრიგად, არც თუ ისე დიდი ხნის წინ თანამედროვე მეცნიერებამ თითქმის არაფერი იცოდა რეალური ძველი კოლხეთის შესახებ და ამიტომაც ბევრს ძველი კოლხეთი რაღაც მითიურ ქვეყნად, ძველ ელინთა არაჩვეულებრივი ფანტაზიის ნაყოფად მიაჩნდა. მხოლოდ დღევანდელ დასავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე აგრე ფართოდ და გეგმაზომიერად გაშლილმა არქეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ თანდათანობით წარმოაჩინა ძველი კოლხეთის ისტორიის მანამდე სრულიად უცნობი ფურცლები და დღეს ჩვენ შეგვიძლია უკვე ვიმსჯელოთ იმ ნიშნებისა და სტრუქტურების რეალობის შესახებ, რომლითაც ძველი კოლხეთი ფიგურირებს ბერძნულ მითოლოგიასა და ეპიკურ პოეზიაში.


### ტიმ სევერინის ექსპერიმენტი

დასაწყისში რამდენიმე სიტყვა ტიმ სევერინის შესახებ. თვით ტიმ სევერინის მონათხრობით მისი გვარი წარმოშობით იტალიიდანაა (შუა იტალიიდან, ნეაპოლის მიდამოებიდან, სადაც იტალიეები მოსახლეობდნენ). შემდეგ ამ საგვარეულოს დევნა განუცდია და მისი წინაპრები ჯერ ჩრდილოეთ იტალიაში გადასახლებულან, შემდეგ თითქმის მთელი ევროპა მოუვლიათ და ბოლოს ირლანდიაში დასახლებულან. თვით ტიმ სევერინი ინდოეთშია დაბადებული, ხოლო ამჟამად ინგლისის მოქალაქეა. მას უსწავლია ოქსფორდის უნივერსი-




ქართული  
ნაციონალური  
ბიბლიოთეკა

ბრინჯაოს ცული ბრილიდან ძვ. წ.  
II ათასწლეული




ბრინჯაოს შტანდარტი ბრილიდან. ძვ. წ.  
II ათასწლეული





ბრინჯაოს ბალთა ბრილიდან. ძე. წ. II ათასწლეული

ვერძის თავის ბრინჯაოს ქანდაკება ბრილიდან ძე. წ. II ათასწლეული



კოლხური ბრინჯაოს ცული მხედრების  
გამოსახულებით სოფ. სელორიდან  
ძვ. წ. VII ს.



ერკონული  
ზინჯირთიქა

ვერძის ქანდაკება იანიდან ძვ. წ.  
VIII — VII სს.





ფრესკა ს იზოვრახენი კორაბილი ს ო. ფერა. XVI ს. დო ნ. ვ.

ფრესკა სომალეების გამოსახულებით თერეღან (კრეტა). ძვ. წ. XIV ს.

ტომ სვევრინის წერილი

## THE VOYAGE OF THE HEROES

TIM SEVERN

Professor Colin Renfrew,  
Institute of Archaeology,  
20002 THETIS,  
10, Kato St  
Glasgow

To the Editor, News,  
London W. 1W

15th March 1984



Dear Professor Lamberton,

Your address was given to me by Professor George Hunter of Thetis in response to a request concerning your article in Georgia's early history published in *Archaeology* 11/1 in 1980, an article which has been of great importance for me as I am conducting a practical excavation into the origins of the Iron Age in the Trossachs.

The excellent coverage given details of the project, and in recent months in London the building of a 90 metre long and sailing galleys, and then sailing her along the inland route of the Trossachs was to learn something about the practical realities of the early voyage into the West Sea, and to try to identify the sites associated with the Iron Age. The article, which was written in 1979 to establish the feasibility of excavating the archaeological evidence for such voyages in late Prehistoric times. You may have already heard the local tradition and are interested in following the route of the expedition, and in facilitating our visit to Georgia. It seems the matter has a very wide appeal!

As the leading authority on ancient Scotland, and in particular her contacts with the West Sea, I am hoping very much to be able to meet you when my vessel goes to Georgia, and to see for me the possibility of the existing evidence for the early Iron Age voyage into the West Sea. As this early stage I would like to see you if you feel there are any obstacles or delays, either in terms of money or logistics, in London matters of along the Trossachs coast when you feel I should look at during the voyage of the new 'Iron' ship in our clearing Trossachs Georgia, and which would be relevant to the possibility of Prehistoric contacts with Georgia.

When 'Iron' was finally built Georgia, which I hope will be the last ten days of July 1984, I hope there will be a chance to visit the excavation site, and to see the Prehistoric evidence which you have written about in *Archaeology*. You will appreciate that, having done such a distance by air, you will have some very interesting experience of your work.


Incidentally, if there is any research we could be doing on this, that would be of help to you, please do not hesitate to let me know. It will include a classical, possibly at Oxford, and a more recent archaeological (for the Trossachs coast) and a more recent archaeological (for the Trossachs coast) and a more recent archaeological (for the Trossachs coast) and a more recent archaeological (for the Trossachs coast).

I write you the date of leaving, which is 1984, when the last plane was being fitted to 'Iron' with sails and rigging, and when we have to launch the vessel on 19th March. There will then follow a 7 week trial period for the boat, before we leave her up to date for the start of the voyage around in early May. In the meantime any correspondence sent to London will be forwarded to me promptly.


Looking forward very much to meeting you soon.


Yours sincerely,

Tim Severn



საქართველოს გეოგრაფიული მარტოები





ახალი „არგოს“ მოდელი

ახალი „არგოს“ მშენებლობა კუნძულ სპეცზე

ახალი „არგო“ გაშლილ ზღვაში



საქართველოს  
ზოგადი ინფორმაცია




ტიმ სევერინი „არგოს“ საჰესთან



ქართული  
სახელმწიფო




„არგო“ საბკოთა საქართველოს ტერიტორიულ წყლებში



„არგოს“ შეხვედრა „აქარასთან“


„არგოს“ ესალმება „იბერს“






„არგო“ ემზადება მდ. რიონში შესაცურებლად

„არგოს“ მართავენ ქართველი მენიჩბეები






ტიმ სევერინი ვანში

ახალი არგონავტები სვანეთში ეცნობიან ცხვრის ტყავებითა და ვარც  
 ოქროს მოპოვების წესს





ტიმ სევერინი სეანეთში სიმბოლურ თქროს საწმისით



ტიმ სევერინი არგოს მოდელითა და ახალი არგონავტების ავტორადებთ



მედვას გამოსახულება ძვ. წ. V ს-ის ბერძნულ კერპელზე





ძვ. წ. V ს-ის ბერძნული ლარნაე, რომელზედაც გამოსახულია  
გველეშაპის მიერ გადაყლაპული იასონი



ტეტი, აგრეთვე აშშ-ში პენსილვანიის უნივერსიტეტში. მისი ნაეცო-  
 ალობა მედიცინის დარგში, ე. ი. საშუალო საუკუნეების ისტორიის  
 კულტურა. მაგრამ მოწოდებით იგი მოგზაური და მწერალია. მწერლობის  
 წერს მხოლოდ იმის შესახებ, რაც თვითონ მას გადახდომია თავს ან  
 თვითონვე განუცდია. ჯერ კიდევ სტუდენტობისას დაუწყია მას  
 წერა და გამოუქვეყნებია წიგნების სერია, რომელნიც არც თუ ისე  
 ფართოდაა ცნობილი: „მარკო პოლოს ნაკვალევზე (მოტოციკლით ვე-  
 ნეციიდან ჩინეთში)“, „მისისიპის მკვლევარი“, „აფრიკული თავგა-  
 დასავლები“ და სხვ.

შემდეგ კი, უკვე 35 წლის ასაკიდან ტიმ სევერინი გახდა მოგზა-  
 ური-ექსპერიმენტატორი, ე. ი. მან მიზნად დაისახა წერილობით წყა-  
 რობებში შემონახული ცნობების საფუძველზე რეკონსტრუქცია ძვე-  
 ლად განხორციელებული მოგზაურობებისა იმავე წესითა და ხერხე-  
 ბით, რომელიც აღწერილ ეპოქას შეესატყვისებოდა. ეს უკვე ექსპე-  
 რიმენტული მეცნიერების, ამ შემთხვევაში ექსპერიმენტული არქე-  
 ოლოგიის სფეროს განეკუთვნება. გარკვეულად ამ სფეროში ტიმ სე-  
 ვერინს ჰყავდა გამოჩენილი წინამორბედი — ნორვეგიელი მეცნიერი  
 ტურ ჰეიერდალი. მაგრამ ამ უკანასკნელს სულ სხვა პრობლემები  
 იზიდავდა, კერძოდ — ოკეანეზე გავლით ხალხთა მიგრაციების პრობ-  
 ლემა. ამ თვალსაზრისით ტურ ჰეიერდალი უფრო ეთნოგრაფია. ტიმ  
 სევერინის ექსპერიმენტები კი ძირითადად ზღვაოსნობის ისტორიას-  
 თანაა დაკავშირებული. ჯერ კიდევ 1976 წელს ტიმ სევერინმა ძველი  
 ირლანდიური წესით ააგო ხარის ტყავებით შეკრული ნავი, გადას-  
 ცურა ჩრდილოეთ ატლანტიკა და მიაღწია ამერიკის სანაპიროებს. მით  
 მან ექსპერიმენტულად დაამტკიცა შესაძლებლობა და რეალურობა  
 ირლანდიური გადმოცემებისა, რომელთა თანახმად ირლანდიელმა  
 ბერმა ბრენდანმა ჯერ კიდევ V საუკუნეში (ე. ი. კოლუმბზე 1000  
 წლით ადრე) ნავტიკებით გადალახა ატლანტიის ოკეანე და მიაღწია  
 ამერიკის კონტინენტს. ტიმ სევერინის ამ მოგზაურობას უდიდესი  
 გამოხმაურება ჰქონდა, მას კი დიდი სახელი და აღიარება მოუტანა.  
 ტიმ სევერინი აირჩიეს „სახელგანთქმულ კაპიტანთა“ კლუბის წევ-  
 რად, ჰეიერდალისა და ჩიჩესტერის ტოლად. მის წიგნს „ბრენდანი“  
 (ასე უწოდა თავის ნავეს ტიმ სევერინმა ირლანდიელი ბერის პატივ-  
 საცემად) მოგზაურობის შესახებ მიენიჭა ტომას კუკის სახელობის  
 პრემია. როგორც საუკეთესო წიგნს მოგზაურობის შესახებ და კიდევ  
 ერთი პრემია აგრეთვე, როგორც საუკეთესოს ზღვის შესახებ.

ამის შემდგომ ტიმ სევერინმა კიდევ ერთი საინტერესო მოგზა-


ურობა განახორციელა — მან გაიმეორა ლეგენდარული არაბი მოგზაურის სინდბადის მარშრუტი. 7 თვის მანძილზე მან თვეჯინე-ქოდეფ აზიას შემოუარა გემით „სოპარი“ — ომანიდან ჩინეთის სანაპიროებამდე. ამ მოგზაურობასა და მის შესახებ შექმნილ ტიმ სევერინის წიგნს და კინოფილმს ასევე უდადესი წარმატება ხვდა წილად.

1984 წელს კი ტიმ სევერინმა ახალი ექსპერიმენტი განახორციელა: გაიმეორა ჩვენთვის უკვე კარგად ცნობილი და ამ წიგნის წინა თავებში ფართოდ განხილული თქმულების მიხედვით არგონავტების ოქროს საწმისისათვის ლაშქრობა.

რატომ აირჩია ტიმ სევერინმა ექსპერიმენტის საგნად არგონავტების მოგზაურობა და რა მეცნიერული მნიშვნელობა აქვს ამ ექსპერიმენტს? — ბუნებრივად იკითხავს ალბათ ამ წიგნის მკითხველი.

ჩვენ წიგნის წინა თავებში ვნახეთ, რომ მეცნიერთა ერთი ნაწილი სკეპტიკურად უყურებს ბერძნების შავი ზღვის სანაპიროებისაკენ მოგზაურობას ე. წ. მიკენურ ხანაში, როდესაც ბერძნული ისტორიულ-მითოლოგიური ტრადიციის თანახმად ივარაუდება არგონავტების ლაშქრობა. მოტივირება მათი არგუმენტაციისა, რომელიც ძირითადად ისტორიულ-ფილოლოგიური ხასიათისაა, ჩვენ უკვე განვიხილეთ და შეძლებისდაგვარად ვუჩვენეთ მისი უსაფუძვლობა. მაგრამ საკმაოდ ავტორიტეტულ მეცნიერთა ერთი ნაწილი, რომელთა შორის არიან ისეთი საქვეყნოდ აღიარებული მეცნიერები, როგორც არიან პ. მერლე, რ. კარპეტნერი, ჯ. გრეიემი და სხვ.<sup>2</sup> ამტკიცებს, რომ ძალიან ძლიერი და სწრაფი დინების (3-დან 8 კმ-მდე საათში)<sup>3</sup> გამო შეუძლებელი იყო შავი ზღვის სრუტეების (დარდანელისა და ბოსფორის) გაცურვა ძვ. წ. VII საუკუნემდე, ე. ი. მანამ, სანამ ბერძნები გამოიგონებდნენ და ააგებდნენ ე. წ. პენტაკონტერს ანუ 50-ნიჩბიან „სომალდს“. აქვე უნდა შევნიშნო, რომ აპოლონიოს როდოსელის და სხვა ავტორთა ცნობების თანახმად „არგო“ თითქოს 50-ნიჩბიანი იყო. მაგრამ სინამდვილეში, ე. ი. მიკენურ ეპოქაში (ე. ი. ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარში) ბერძნული ზომალდები გაცილებით პატარა ზომისა იყო.<sup>4</sup> ამიტომაც ტიმ სევერინმა მიზნად დაისახა ჩაეტარებინა ექსპერიმენტი — შესაძლებელი იყო თუ არა მიკენური ტიპის პატარა გალერით — 20-ნიჩბიანი ნავით შავი ზღვის სრუტეების გაცურვა და მდინარე რიონზე აღმასვლა.

„არგოს“ ასაშენებლად ტიმ სევერინმა წინასწარ საკმაოდ შრომატევადი და ღრმა მეცნიერული სამუშაო ჩაატარა. მან შეისწავლა ძველ



წერილობით წყაროებში შემონახული აღწერილობანი ბერძნული ხომალდებისა და აგრეთვე მათი გამოსახულებანი ბერძნული კერამიკული ფერწერის ძეგლებზე. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ დღეს ჩენილია აგრეთვე მიკენური ეპოქის კერამიკა, რომელზედაც იმდროინდელი ხომალდებიცაა გამოსახული.

ძველი ბერძნული ცნობების თანახმად „არგო“ 50-ნიჩბიანი იყო, მაგრამ ცნობილია, რომ 50-ნიჩბიანი ხომალდი (ე. წ. პენტაკონტერი) ბერძნებმა მხოლოდ ძვ. წ. VII საუკუნიდან გამოიგონეს. ამიტომ ბუნებრივია, რომ ტიმ სევერინმა თავისი ექსპერიმენტის განსახორციელებლად აავო უფრო პატარა ხომალდი, როგორც მიკენურ ეპოქაში იყო ხმარებაში. ახალი „არგო“ 20-ნიჩბიანი გალერეაა — ზუსტი ასლი ბერძნული საბრძოლო თუ საექსკორტო ხომალდისა. ცნობილი რომაელი ისტორიკოსი-ენციკლოპედისტის პლინიუსის ცნობით ხომ „არგო“ პირველი საბრძოლო ხომალდი იყო. ტიმ სევერინის რეკონსტრუირებული ხომალდის საერთო სიგრძე 15, 58 მეტრია, სიგანე 2,85 მეტრი.<sup>5</sup> აქ დატულია ძველი ბერძნული წესი ხომალდების მშენებლობისა: სიგანე სიგრძის დაახლოებით ერთ მეექვსედს უნდა შეადგენდეს! თავდაპირველად ასეთი ხომალდის შემცირებული პირი დაამზადეს და ინგლისში საუთჰემპტონის უნივერსიტეტის აუზში გამოცადეს. მოდელმა წარმატებით გაუძლო გამოცდას და ამის შემდეგ დაიწყო კიდევ ტიმ სევერინის იდეის პრაქტიკული განხორციელება.

არგონავტების შესახებ თქმულების თანახმად, როგორც უკვე ვიცით, „არგო“ პელიონის-თესალიის ერთ-ერთი მთის ტყეში მოჭრილი ხისგან ააგეს. სამწუხაროდ, ამჟამად პელიონის ფიჭვი იშვიათობაა, ამიტომაც ახალი „არგოს“ ასაგებად გამოიყენეს კუნძულ სამოსზე მოჭრილი ფიჭვი, რომლისგანაც წერილობითი წყაროების ცნობებით ხშირად შენდებოდა ძველად ბერძნული ნავეები.

ახალი „არგო“ ტიმ სევერინის უშუალო ხელმძღვანელობით შენდებოდა საბერძნეთის ერთ-ერთ კუნძულზე, რომელსაც სპეცი ჰქვია. ხომალდს კი აშენებდა საბერძნეთში სახელგანთქმული ნავთმშენებელი ბასილიის დელიმიტროსი. მას დაუმზადებია ხომალდის კორპუსი, შტევენები, კიჩო და სხვა დეტალები. თითქმის ნახევარ წელზე მეტ ხანს — მთელი შემოდგომისა და ზამთრის მანძილზე გაგრძელდა ახალი „არგოს“ აგება. მარტში ხომალდი უკვე მზად იყო და დაიწყო მისი გამოცდა არგოლიკოსის უბეში. ახალმა „არგომ“ გამოცდა ბრწყინვალედ ჩააბარა და მისი ძველი არგონავტების ნაკვალევზე გამგზავრე-


ბა კოლხეთის სანაპიროებისაკენ 1984 წლის მაისის პირველი რიცხვებისათვის დაინიშნა.

ხომალდზე აღმართული იყო ერთი სწორკუთხა აფრის სარკვევით და ფარშებით შეიარაღებული სამი მუზარადიანი მეომარია წარმოდგენილი, მეომართა ფარებზე კი ვერძის თავის სტილიზებული გამოსახულებაა. საკის მოვალეობას ასრულებს ნავის კიჩოზე გამართული ორი საგანგებო ნიჩაბი, რომელსაც ჩვეულებრივ თვით ტიმ სევერინი ამოძრავებდა. ხომალდის ცხვირი დელფინის თავს მოგვეგონებს და მასზე ორივე მხარეს დიდი თვალებია დახატული. საგანგებოდაა აღსანიშნავი ისიც, რომ ახალი „არგოს“ ასაშენებლად ლითონის არცერთი დეტალი არ გამოუყენებიათ, ყველაფერი აქ ხისაა — ლურსმნებიც კი! ასე რომ, ახალი „არგო“ შეძლებისდაგვარად იყო მიახლოებული მის პირველსახეს და აი ახლა გამოსაცდელი იყო შეძლებდა თუ არა იგი იმის განმეორებას, რაც მითის თანახმად პირველმა არგონავტებმა დაახლოებით 3300 წლის წინ განახორციელეს, ე. ი. შავი ზღვის სრუტეების გაცურვას, კოლხეთის სანაპიროებამდე მიღწევას და მდ. ფასისზე (დღევანდელ რიონზე) აღმასვლას.

ტიმ სევერინის ჩანაფიქრით ახალი „არგოს“ ეკიპაჟი ინტერნაციონალური უნდა ყოფილიყო და ესაა მისი იდეის კიდევ ერთი (მეცნიერულთან ერთად) კეთილშობილური ასპექტი. ახალი არგონავტებიდან 10 მუდმივი წევრი იყო. ესენი იყვნენ ძირითადად ინგლისელები და ირლანდიელები — კემბრიჯისა და ოქსფორდის უნივერსიტეტის ყოფილი და აწინდელი სტუდენტები. ამ უკანასკნელთა შორის იყვნენ ახალგაზრდები, რომელთაგან ერთი კლასიკურ ფილოლოგიას — ძველ ბერძნულ და ლათინურ ენებსა და ლიტერატურას სწავლობს, მეორე კი — საშუალო საუკუნეების არქიტექტურას და ამ ეპოქის ქართული ხუროთმოძღვრებითაცაა დაინტერესებული. მენიჩბეთაგან დანარჩენი ათნი იმ ქვეყნის წარმომადგენლები უნდა ყოფილიყვნენ, რომლის ტერიტორიულ წყლებში ახალი „არგო“ გაივლიდა: საბერძნეთში ბერძნები, თურქეთში — თურქები, ხოლო საბჭოთა კავშირში — საქართველოს სპორტსმენები.

მაისის პირველ რიცხვებში საბერძნეთის ქალაქ ვოლოსიდან (ე. ი. ძველი იოლკოსიდან) ახალმა „არგომ“ გეზი შავი ზღვის სანაპიროებისაკენ აიღო. ძველი ბერძნული წეს-ჩვეულების თანახმად ახალ არგონავტებს საზეიმო გაცილება მოუწყვეს.

ახალი „არგო“ ზუსტად იმეორებდა არა მხოლოდ მარშრუტს, არა-



მედ ცურვის წესსაც. ისინი მოცურადნენ ნაპირ-ნაპირ და, მასობრივად, ზუსტად ისევე, როგორც ეს ძველ მწერლებს აქვთ აღწერილი ბიკენტური ეპოქისათვის. ასე მაგ., ცნობილ ბერძენ გეოგრაფოს-მეცნიერს ერატოსთენეს (ძვ. წ. 284—200 წწ.) ეკუთვნის მეტად საყურადღებო ცნობა, რომელიც სტრაბონის „გეოგრაფიაშია“ (1, 3, 2) შემონახულია: „ძველი ხალხები ცურავდნენ ყაჩაღობისა და ვაჭრობისათვის, მაგრამ შეაგულ ზღვაში კი არა, არამედ ნაპირ-ნაპირ, როგორც იასონი...“ უნდა ითქვას, რომ ნაპირთან ახლოს, ე. ი. კაბოტაჟური ცურვა გემებისათვის საკმაოდ სახიფათოა, რამდენადაც მოულოდნელმა ქარმა შეიძლება იგი ნაპირს მიახეთქოს და დაამსხვრიოს.

ახალი „არგო“ ძველის მსგავსად საკმაოდ „სწრაფმავალი“ აღმოჩნდა. უკვე მაისის ბოლოს ახალმა არგონავტებმა მიიღწიეს შავი ზღვის სრუტეებს და ტიმ სევერინის მონათხრობით სწორედ აქ დაიწყო ყველაზე მძიმე განსაცდელი. სრუტეებში დინება ზოგჯერ იმდენად ძლიერი იყო, რომ მისი დაძლევა შეუძლებელი ხდებოდა — სწრაფი დინება ჩვენ ნავს უკან, სამხრეთისაკენ მიაქანებდაო. ამიტომაც უხდებოდათ ახალ არგონავტებს ნავის ნაპირზე გადმოტანა და ლოდინი შედარებით ხელსაყრელი დინებისა. მხოლოდ 16 ივნისს შეძლო ახალმა „არგომ“ სრუტეების საბოლოოდ დაძლევა და შავ ზღვაში შემოსვლა. ამის შემდგომაც მრავალი ფათერაკი გადასდა თავს ტიმ სევერინის ეკიპაჟს — ძლიერი ქარები და წვიმები. ერთხელ ქალაქ სინოპესთან ახლოს ძლიერმა შტორმმა უკუნეთ დამეში ხომალდი აბოქრებულ ზღვაში გაიტაცა. მიუხედავად დიდი განსაცდელისა, როდესაც ეკიპაჟის წევრთა სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა, ტიმ სევერინმა მაინც არც კომპასი გამოიყენა და არც რაციისათვის მიუმართავს (თუმც ხომალდზე ორივე ეს ხელსაწყო თან ჰქონდა). ტიმ სევერინმა, ძველი მოგზაურების მსგავსად, ტალღების მოყვანილობისა და ქარის მიმართულების მიხედვით ზუსტად განსაზღვრა ხმელეთის ადგილმდებარეობა და ხომალდი მტკიცედ მიაყენა სანაპიროს... კიდევ ბევრი რამ საინტერესო მიაშობო თავისა მოგზაურობის დეტალების შესახებ ტიმ სევერინმა, განსაკუთრებით ისეთი, რაც ზუსტად ეხმაურება ძველ ბერძენ მწერალთა ცნობებს არგონავტთა მოგზაურობასა და მათ თავგადასავლებს რომ შეეხება... მე ვერ მივცემ უფლებას ჩემ თავს ამ წიგნში გადმოვცე ტიმ სევერინის ნაამბობი მისი მოგზაურობის შესახებ... ის ჩემზე ბევრად უკეთესად შეძლებს ამის გადმოცემას. ამიტომაც უმჯობესია დაველოდოთ მის წიგნს, რომელშიც დაწვრილებით

იქნება აღწერილი მთელი მისი მოგზაურობა და განცდილი განახლებები... ასევე არ შევუდგები იმის აღწერასაც, თუ როგორ შექმნილია ტიმ სევერინს და მის ეკიპაჟს საქართველოში. ეს აღწერილი იმ დღეების პრესაში, ნაწილები საქართველოს ტელევიზიის მიერ გადაღებულ რ სერიიან ფილმში „იასონის ნაკვალევზე“, აგრეთვე საკავშირო ტელევიზიის „კინომოგზაურთა კლუბის“ საგანგებო გადაცემაში. ამიტომაც საუბარს ახლა ტიმ სევერინის ექსპერიმენტის მეცნიერულ მნიშვნელობასა და მის შედეგებზე გავაგრძელებ მხოლოდ.

არგონავტთა კოლხეთში ოქროს საწმისისათვის მოგზაურობა, როგორც უკვე ვნახეთ, არაერთ ძველ ბერძენ მწერალს აქვს აღწერილი, მაგრამ დღეს ჩვენამდე ყველაზე უფრო სრულყოფილად იგი შემონახულია ძვ. წ. III ს-ის შესანიშნავი ბერძენი მწერლისა და მეცნიერის აპოლონიოს როდოსელის პოემაში „არგონავტიკა“. ტიმ სევერინმაც სხვა მრავალრიცხოვანი ვერსიების გათვალისწინებით თავის გზამკვლევად აპოლონიოს როდოსელის თხზულება აირჩია და სრულიად მართებულია: დღეს სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში ერთხმადაა აღიარებული, რომ აპოლონიოს როდოსელის თხზულება არგონავტიკის თემაზე შექმნილ ნაწარმოებებთან ყველაზე უფრო სრულყოფილია და მასში ამ სიუჟეტის უძველესი და თავდაპირველი ვერსიებია წარმოდგენილი. არანაკლებ ყურადსაღებია ფილოლოგების მიერ არაერთგზის ხაზგასმული ფაქტიც, რომ აპოლონიოს როდოსელი ხელშეუვალ ავტორიტეტად იყო მიჩნეული თვით ძველ სამყაროშიც და მისი ცნობებიც არასოდეს გაუხდია ვისმეს საკამათოდ, მაშინ როდესაც სხვა ავტორთა ცნობებს არგონავტების შესახებ ძველადვე ბევრი კრიტიკოსი ჰყავდა (საკმარისია გავიხსენოთ ცნობილი ბერძენი გეოგრაფოსის სტრაბონის პაექრობა ასევე ცნობილ ძველ ბერძენ მეცნიერთან დემეტრიოს სკეპსისელთან თუ მრავალი სხვა).

სწორედ ამიტომაც, ვიმეორებ, ტიმ სევერინმა თავის მეგზურად აპოლონიოს როდოსელის პოემა „არგონავტიკა“ მიიჩნია. აპოლონიოს როდოსელის თანახმად, კი, როგორც კარგადაა ცნობილი, არგონავტებმა იასონის მეთაურობით მოგზაურობა დაიწყეს საბერძნეთის ქალაქ იოლკოსიდან, გასცურეს დარდანელისა და ბოსფორის სრუტეები და შავი ზღვის სანაპიროს გასწვრივ მიადგნენ შესართავთან მდინარე ფასისს, რომელიც კავკასიონის მთებში იღებს სათავეს. აქედან სავსებით აშკარაა, რომ მდინარე ფასისი სწორედ დღევანდელი



მდ. რიონია. აქ არგონავტები მდინარეში შეაცურებენ თავიანთ ხო  
 მალღს და მიადწევენ კოლხეთის მთავარ ქალაქ კუტაიას.

აპოლონიოს როდოსელის თხზულებიდან ისე ჩანს, რომ  
 მეფის აიეტის საბრძანებელი ზღვის სანაპიროს მოცილებულია, იგი  
 ქვეყნის შიდა ნაწილშია — „სწრაფმაველი“ არგოსათვის, თითქოს, ერ-  
 თი ღამის სავალზე, ამასთან მდინარე ფასისს აყოლილი არგონავტე-  
 ბისათვის ხელმარცხნივ ჩანს ქალაქი კუტაია და კავკასიონის მთები,  
 აპოლონიოს როდოსელის მიერ აგრეთვე ამირანტის (ე. ი. ამირანის!)  
 მთებად წოდებული. ზუსტად ეს მარშრუტი გაიმეორა ტიმ სევერინ-  
 მაც, რომელიც აპოლონიოს როდოსელთანაა აღწერილი.

დღეს უკვე ყველასათვის კარგადაა ცნობილი, რომ ტიმ სევერინის  
 ექსპერიმენტი წარმატებით დამთავრდა. ახალმა „არგომ“ მისი ინტერ-  
 ნაციონალური ეკიპაჟით, რომელთა შორის იყვნენ საქართველოს მე-  
 ნიჩბეებიც<sup>7</sup>, ზუსტად გაიმეორა აპოლონიოს როდოსელის მიერ აღ-  
 წერილი გზა არგონავტებისა, დაძლია ყველა სიძნელე, გასცურა შავი  
 ზღვის სრუტეები, მოადგა ძველი კოლხეთის სანაპიროზე ქ. ფოთს და  
 განახორციელა თითქმის მ-საათიანი აღმასვლა ნიჩბებით მდ. რიონზე.  
 ამით ტიმ სევერინმა ექსპერიმენტულად დაამტკიცა, რომ ბერძენთა  
 პირველი მოგზაურობა კოლხეთში ნამდვილად შესაძლებელი იყო ჯერ  
 კიდევ ძვ. წ. XIII საუკუნეში, ე. ი. გვიანბრინჯაოს ეპოქაში. იმის  
 გამო, რომ თანამედროვე ცივილიზაციის გავლენით (კაშხალი, ხიდები,  
 საკომუნიკაციო ხაზები, ბორნები, ამასთან ხშირი მეჩრეები) მდ. რი-  
 ონზე დღეს ნაოსნობა საკმაოდ გართულებულია, ტიმ სევერინმა ნიჩ-  
 ბებით აღმასვლა რიონზე სოფ. ჭალადიდთან შეაჩერა. სოფ. ჭალადიდ-  
 თან იმიტომ, რომ მდ. რიონის გაყოლებაზე სწორედ აქაა აღმოჩენი-  
 ლი გვიანბრინჯაოს ხანის კოლხური ნამოსახლარი „ზურგა“<sup>8</sup>.

ტიმ სევერინის ექსპედიციამ საბოლოო ბანაკი, როგორც ცნობი-  
 ლია, მდ. რიონზე თანამედროვე ჭყვიშთან, ვანის ნაქალაქართან ახ-  
 ლოს დაიდო. ალბათ, ბევრს აინტერესებს (ხოლო ზოგიერთებს<sup>9</sup> სამართ-  
 ლიანადაც უკვირთ), თუ რატომ მაინცა და მაინც ვანთან? ეს იყო  
 თვით ტიმ სევერინის თავდაპირველი და ერთპიროვნული გადაწყვე-  
 ტილება. ჯერ კიდევ 1984 წლის აპრილის თვეში, როდესაც ტიმ სევე-  
 რინის წერილი ახალი მიღებული მქონდა და პასუხიც ვერ მოვასწა-  
 რი, საქართველოში ჩამოვიდა ინგლისის ტელეკომპანიის ბი-ბი-სის  
 წარმომადგენელი, ტიმ სევერინის მომავალი ექსპედიციის გადამღე-  
 ბი გჯუფის ხელმძღვანელი ჯ. მილლერი, რომელმაც სსრკ და საქართ-




ველოს ტელევიზიის წარმომადგენლებთან ერთად წინასწარ შეკრულ-  
გებული პროგრამის მიხედვით დაათვალიერა ვანის ნაქსპერიმენტის  
ვერა“ კატერით მდ. რაონი, გაეცნო სვანეთის, ქუთაისის, მცხეთის  
ლისის მუზეუმებში დაცულ ტიმ სევერინისათვის საინტერესო არქე-  
ოლოგიურ მასალებს. ტიმ სევერინის ვანში დაბანაკება და იქ მისი  
ექსპერიმენტის მეცნიერული შედეგების შეჯამება გადაწყდა არა იმი-  
ტომ, რომ ან ტიმ სევერინს, ან ვისმეს ქართველ მეცნიერთაგან (პირ-  
ველ რიგში ვგულისხმობ ჩემ თავს) ვანი მიაჩნდეს ძველი კოლხეთის  
დედაქალაქად და მეფე აიეტის ადგილსამყოფელად. არა, ამიტომ არა!  
რამდენადაც ძველი კოლხეთის დედაქალაქი აპოლონიოს როდოსელ-  
თან „კუტაიად“ წოდებული, ჯერჯერობით აღმოჩენილი არაა, ხოლო  
ანტიკური ხანის კოლხური ცივილიზაცია მდ. რაონის ვაკეობაზე  
ჯერჯერობით ყველაზე უფრო თვალსაჩინოდ ვანშია გამოვლენილი და  
ფართოდ ცნობილიც, მხოლოდ ამიტომ გადაწყდა ვანში ტიმ სევერი-  
ნის ექსპედიციის დაბანაკება. ამასვე განაპირობებდა, გარკვეულ წი-  
ლად, ოქროს საწმისის შესახებ ლეგენდის ერთ-ერთი შემადგენელი  
ნაწილის, კოლხეთის „ოქრომრავლობის“ დამადასტურებელი არქე-  
ოლოგიური ძეგლების ჯერჯერობით ყველაზე მრავალი და მრავალ-  
ფეროვნად ვანში აღმოჩენა. ჯონ მილლერმა დაიმოწმა კიდევ ჩემს  
მიერ ლონდონში კლასიკური არქეოლოგიის IX საერთაშორისო კონგ-  
რესზე წაკითხულ მოხსენებასთან დაკავშირებით ლონდონის გაზეთ  
„ტიმსში“ (1978 წ. 10.IX) გამოქვეყნებული რეცენზია სათაურით:  
„ვანი: ოქროს საწმისის ინსპირაცია?“<sup>9</sup>

ახლა როდესაც ტიმ სევერინის ექსპედიციის დასრულებიდან კარგა  
ხანი გავიდა (თითქმის ერთ წელზე მეტი!), მეც საკმაო დრო მქონდა  
კიდევ ერთხელ გამეზარა ამ ექსპერიმენტის მეცნიერული მნიშვნე-  
ლობა<sup>10</sup> და ახლა უფლებას მივცემ ჩემ თავს დაწვრილებით მოვახსენო  
ქართველ საზოგადოებრიობას, რომელმაც აგრე დიდი და სრულიად  
ბუნებრივი ინტერესი გამოიჩინა ახალი არგონავტების საქართველოში  
მოგზაურობის შესახებ. იმ საკითხებისა და დისკუსიის შესახებ, რო-  
მელიც მქონდა როგორც ტიმ სევერინთან პირადი საუბრისას, ასევე  
ვანში გამართულ შემაჯამებელ პრეს-კონფერენციასა და ჩვენი (ტიმ  
სევერინის და ჩემი) ხანგრძლივი დიალოგისას, მთლიანად რომ ჩაიწე-  
რა და ფირზე აღბეჭდა ბი-ბი-სის ტელეგადამღებმა ჩგუფმა.

ტიმ სევერინის დასმული კითხვების ერთი ნაწილი მოიცავდა მეც-  
ნიერული პრობლემების იმ წრეს, რომელიც ვრცლადაა განხილული

ამ წიგნის წინა თავებში, კერძოდ: რატომია თქმულება არგონავტების  
ლაშქრობის შესახებ აგრე პოპულარული ძეგლსა და ახალ საქართველოში  
ში? სად მდებარეობდა აია-კოლხეთი და ქალაქი კუტაია? ვინაა ქალაქი  
მოადგენდა კოლხეთი ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარში  
სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული განვითარების  
თვალსაზრისით? ეს უკანასკნელი საკითხი განსაკუთრებით აინტერესებდა  
ტიმ სევერინს. აქ გადამწყვეტი სიტყვა არქეოლოგიის ეკუთვნის და ამიტომაც  
მიიჩნევა ახალი არგონავტების ხელმძღვანელი ქართველ არქეოლოგებს თავისი  
ექსპერიმენტის თანამონაწილედ. იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენდა კოლხეთი გვიანბრინჯაოს  
ხანაში, მე დაწვრილებით განვიხილე ამ წიგნის III თავში („სად მდებარეობდა  
აია?“), ხოლო ტიმ სევერინსა და მისი საქართველოში მოგზაურობისას  
მონაწილე მეცნიერთა და ჟურნალისტთა ფართო წრეს, ვანში გამართულ პრესკონფერენციაზე  
არქეოლოგიური მონაპოვრის მეცნიერული დოკუმენტაციის დიაპოზიტივების ილუსტრაციით მოვახსენე  
ქართველ არქეოლოგთა მიერ ჩატარებული კვლევის უმთავრესი შედეგები, რომელსაც  
აქ ძალიან მოკლედ გადმოვცემ.


არქეოლოგიური მონაცემებით სწორედ ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარში  
თითქმის მთლიანად დღევანდელ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე  
ჩამოყალიბებულია ერთგვაროვანი და მალაღანიტივებული ბრინჯაოს კულტურა,  
რომელიც სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში „კოლხური კულტურის“  
სახელითაა ფართოდ ცნობილი. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, აგრეთვე მდ.  
რიონის აუზში მრავლად აღმოჩენილი კოლხური ნამოსახლარები (აგრე  
დამახასიათებელი ჯარგვალური ტიპის ხის არქიტექტურით) ნათლად  
წარმოგვიდგენენ იმდროინდელი დასავლეთ საქართველოს დემოგრაფიულ  
სიტუაციას და მის ძალზე მჭიდროდ დასახლებას. არქეოლოგიური  
გათხრებისას მოპოვებული მეტად მრავალფეროვანი ნატიფი და შესანიშნავად  
ორნამენტირებული კერამიკა ხელოსნური წარმოების დაწინაურების  
მოწმობაა. მაგრამ არგონავტების მითთან დაკავშირებით, მაინც მიწათმოქმედებისა  
და ლითონის დამუშავების მალაღანიტივებული არქეოლოგიურ მასალაზე  
საგანგებოდ იყო ყურადღება გამახვილებული. ტიმ სევერინსა და პრესკონფერენციის  
მონაწილეებს ფერადი დიაპოზიტივებით ვუჩვენეთ მრავალფეროვანი არქეოლოგიური  
ძეგლები: ბრინჯაოს საომარი, სამეურნეო და სარიტუალო დანიშნულების  
ცულები, რომლებიც მორთულია გრავირებული



და პლასტიკური გამოსახულებებით; საბრძოლო იარაღ-საჭურჭელი, მრავალსახოვანი სამკაულები; მაღალი მხატვრული ოსტატობის მქონე ნილი ადამიანის, ცხოველთა თუ ფრინველთა ქანდაკებაში; მრავალფეროვანი სამიწათმოქმედო იარაღები; უაღრესად ნატიფი თიხის ჭურჭელი და მრავალი სხვა, არგონავტების კოლხეთში ლაშქრობის დროის კოლხეთის ეკონომიკური და კულტურული განვითარების საკმაოდ მაღალი დონის თვალსაჩინო მოწმობა, რაც აისახა კიდევაც არგონავტების შესახებ მოთხრობის თავდაპირველ ვერსიაში. ჩვენი აზრით, ყოველივე ეს უტყუარი დადასტურებაა თვით ძველ ბერძენთა წარმოდგენებისა არგონავტების ლაშქრობის დროინდელი კოლხეთის შესახებ, რაშიც ტიმ სევერინიც დაგვეთანხმება და რაც სტრაბონის „გეოგრაფიაშიცაა“ ასახული: „კარგადაა (პომპროსთან) ნათქვამი „ყველასთვის სანუკვარი არგო“, ვინაიდან ხომალდით მოგზაურობა მოხდა ცნობილ და კარგად დასახლებულ ადგილებში, თორემ მაშინ სარწმუნო არ იქნებოდა არც ეს ლაშქრობა საწმისისათვის უცნობ და იღუმალ ადგილებში; არც უდაბურ, დაუსახლებელ და ჩვენგან ასე დაშორებულ ადგილებში მოგზაურობა გახდებოდა ასე სახელგანთქმული და სანუკვარი“.

ტიმ სევერინზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ინფორმაციამ სასოფლო-სამეურნეო იარაღებზე, კოლხურ სამარხებში რომ გასაოცარი სიმრავლით იქნა აღმოჩენილი, რაც უნიკალური შემთხვევაა მსოფლიო არქეოლოგიაში; ასევე კოლხური ოქრომკედლობის უზნადო, მრავალრიცხოვანმა ძეგლებმა, რომელთაც შექმნეს ძველ ბერძენულ სამყაროში შეხედულება კოლხეთის, როგორც „ოქრომრავალი“ ქვეყნის შესახებ და ეს ფაქტი ოქროს საწმისის ლეგენდას დაუკავშირებს (უფრო დაწვრილებით ამ საკითხებზე საუბარია ამ წიგნის IV თავში: „არგონავტიკის გვიანდელი ვერსიები და კოლხეთი“).


არგონავტების კოლხეთში ლაშქრობის შესახებ თქმულებასთან დაკავშირებით ტიმ სევერინს სხვა მრავალი საკითხიც აინტერესებდა. ერთ-ერთი მათგანი, ბუნებრივია, იყო მდ. რიონზე ნავით ცურვა მდინარის დინების საპირისპიროდ, რამდენადაც აპოლონიოს როდოსელის პოემის თანახმად მეფე აიეტის სატახტო ქალაქი ქვეყნის შიგნით მდინარე რიონის გაყოლებაზეა საგულვებელი, ხოლო ახალმა „არგომ“, როგორც ვნახეთ, ვერ შეძლო საკუთარი ძალებით ქალადიდის შემდეგ ცურვის გაგრძელება, რასაც ხელი შეუშალა უაღრესად ცუდმა ამინდ-



მა, იმ დროს მდინარის დაბალმა დონემ, კალაპოტის ხანგრძლივად გაუწმენდაობამ, თანამედროვე ხიდებმა და კაშხალებმა...  
 მდინარე რიონი რომ ძველთაგანვე სანაოსნოდ იყო მიჩნეული, მისი

დასტურად ტიმ სევერინს ჩვენ შევახსენეთ კარგად ცნობილი ცნობა სტრაბონისა (XI,2,17): „ფასისზე (იგულისხმება რიონ-ყვირილა) აღმა ცურვა შეიძლება შორაპნამდე“ და რომაელი ისტორიკოსის პლინიუსისა („ბუნების ისტორია“, VI,13): „პონტოს მდინარეთა შორის ყველაზე განთქმული ფასისი სანაოსნოა უდიდესი ხომალდებისათვის 38500 ნაბიჯის (ე. ი. 53,5 კმ) მანძილზე და შემდეგ დიდ სივრცეზე — მომცროთათვის“. აქედ სიმ. ჯანაშიას გამოკვლევით პლინიუსის მოცემულ მანძილებს „პირდაპირი ხაზით დაახლოებით ორპირამდე მივყავართ, ნამდვილად კი საძიებელი პუნქტი შესაძლოა სუჯუნის რაიონში დაიდვას“<sup>11</sup>. აქედ სიმ. ჯანაშია იმოწმებს აგრეთვე გვიანდელ ცნობებსაც, კერძოდ, 1650—1652 წწ. იმერეთში მყოფი რუსი ელჩებისას: „ნიჩბიანი ნავეებით რიონზე ზღვიდან ყვირილას შესართავამდე დადიოდნენ“, აგრეთვე ვახუშტი ბაგრატიონისას: „ვლენან ნავეებით ზღვიდან ბაჟამდე“<sup>12</sup>. რიონზე ნაოსნობის შესახებ საინტერესო ცნობები აქვს შეკრებილი საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის სპეციალისტს თამაზ ბერაძეს, რაც აგრეთვე მოხსენდა ტიმ სევერინს, კერძოდ: VI ს-ის ბიზანტიელი ისტორიკოსის აგათია სქოლასტიკოსისა — რომ მდ. ტეხურისა და რიონის შესაყართან დაბანაკებულმა ბიზანტიელებმა „ჯარით აავსეს ტირიემები და რაც კი ოცდაათნიჩბიანი ნავეები იყო მზად მდ. რიონში და სასწრაფოდ გაჰყვნენ მდინარის დინებას“, აგრეთვე სხვა მრავალი მონაცემიც (1737 წელს შედგენილი დასავლეთ საქართველოს რუკა იმერეთის მეფის ალექსანდრე V-ს ბრძანებით რომ გაეგზავნა რუსეთის მთავრობას; ვახუშტი ბაგრატიონის, ე. მაევსკის, არქანჯელო ლამბერტისა და სხვ.), რომელნიც უტყუარად მოწმობს ზღვიდან მდინარე რიონზე რეგულარულ მიმოსვლას ყვირილის შესართავამდე<sup>13</sup>. ასე რომ, არსებობს სრული საფუძველი იმის სამტკიცებლადაც, რომ არგონავტებს თავისუფლად შეეძლოთ ზღვიდან რიონზე აღმასვლა აიეტის სასახლემდე. ამაში, სხვათა შორის, ადვილად დარწმუნდა ისიც. ვინც თავისი თვალით ნახა, თუ როგორ სწრაფად და ლაღად მოცურავდა რიონზე ახალი „არგო“, რომელსაც ტიმ სევერინის მარჯვე და მტკიცე ხელი მართავდა.

ამრიგად, გვაქვს, ერთი მხრივ, ტიმ სევერინის მიერ წარმატებით განხორციელებული ექსპერიმენტი, მეორე მხრივ, ქართველი არქე-



ოლოგების მიერ გამოვლენილი საკმაოდ მაღალი დონე ძველი კოლხური საზოგადოების განვითარებისა ძვ. წ. II ათასწლეულს დაკავშირებული ნახევარში, ე. ი. მაშინ, როდესაც ივარაუდება იასონის მოგზაურობის კოლხეთში და პირველი კონტაქტები ბერძნებისა ქართველ ტომებთან. მაგრამ ეს ორი ფენომენი (ერთი მხრივ ბერძენთა მიერ შავი ზღვის სანაპიროებისაკენ ცურვა ძვ. წ. XIII ს-ის პირველ ნახევარში, ხოლო მეორე მხრივ, მაღალგანვითარებული კოლხეთი) შეიძლება ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად არსებობდეს. ამიტომ, ბუნებრივია, ტიმ სევერინს აინტერესებდა, მოგვეპოვება თუ არა რაიმე სხვა დამამტკიცებელი მასალები ბერძნულ-ქართული კონტაქტების რეალურად არსებობის შესახებ სწორედ გვიანბრინჯაოს ხანაში. აქ გარკვევით უნდა ითქვას, რომ პირდაპირი არქეოლოგიური მასალა, კერძოდ ისეთი, როგორც ჩვენ უფრო მოგვიანო ხანისათვის (ე. ი. ძვ. წ. VI ს-ის შემდგომ) მრავლად გვაქვს (კოლხეთში აღმოჩენილი ბერძნული კერამიკა, ტორეკტიკა, გლიპტიკური ძეგლები, მონეტები და სხვ.), ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრისათვის, ე. ი. მიკენური (ანუ აქეურის) ეპოქისათვის ჯერჯერობით არ მოგვეპოვება, მაგრამ ეს სრულებითაც არაა გასაკვირი და მოულოდნელი: ჩვენთვის საინტერესო პერიოდში ბერძენთა მოგზაურობას შავი ზღვის სანაპიროებისაკენ ჯერ კიდევ ერთობ შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა. არსებითად ეს იყო მხოლოდ პირველი ექსპედიციები მამაცი ზღვაოსნებისა, შორეული ქვეყნებისაკენ რომ მიიღტვოდნენ სიმიდირისა და სახელის მოსახვეჭად. ასეთი მოგზაურობები, ბუნებრივია, იშვიათად თუ დატოვებდნენ ნივთიერ კვალს. ამ დროს ხომ ბერძნებს არც თავიანთი სამოსახლოები დაუარსებიათ კოლხეთში და არც რეგულარული სავაჭრო ურთიერთობა დაუმყარებიათ ადგილობრივ მოსახლეობასთან. ასე რომ, თუ გავითვალისწინებთ ბერძენთა ამ პირველი მოგზაურობების ხასიათს, ძნელია მოველოდეთ ამ მოგზაურობების დამადასტურებელ უყოყმანო არქეოლოგიური მასალის აღმოჩენას, თუმც მომავალი კვლევა-ძიებისას არც ესაა გამორიცხული.

სამაგიეროდ გვაქვს სხვა ხასიათის, მაგრამ უთუოდ უაღრესად საყურადღებო მასალა, რომელიც მოწმობს, რომ სწორედ იმ დროისათვის, როდესაც ივარაუდება არგონავტთა ლაშქრობა კოლხეთში, ბერძნულ მწერლობაშიც ჩნდება პირველი ცნობები შავი ზღვის სანაპიროზე მოსახლე ტომებისა და გეოგრაფიული პუნქტების შესახებ. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში დამაჯერებლადაა ნაჩვენები,



რომ უკვე ჰომეროსი იხსენიებს უძველეს კოლხურ ტომს ხალხისა  
 ჰალიძონების სახელით და მათ ქვეყანას ალიბეს, მდ. სინგარისს პო-  
 ტოს ჰერაკლესთან რომ ერთვოდა შავ ზღვას (დღევანდელი <sup>სამხრეთ-დასავლეთი</sup>  
 გარია), მდინარე პართენიოსს (აწინდელი მდ. ბარტან-სუ თუ ბაიტიწე),  
 აგრეთვე პაფლაგონიელებს, ენეტების ტომს, ქალ. კიტორას და სხვ. 14.

ძალზე მნიშვნელოვანია ლინგვისტური კვლევის შედეგები. ასე  
 მაგ.: ქართული კლასიკური ფილოლოგიის სპეციალისტებმა ყურად-  
 ლება მიაქციეს, რომ ჰომეროსი იასთან კავშირში იხსენიებს ტერმინს  
 „მოლი“, როგორც ჯადოსნური ძალის წამალს. ეს ტერმინი, რომელიც  
 არაინდოევროპულადაა მიჩნეული, შეიძლება ბერძნულში ქართულიდან  
 იყოს ნასესხები: „მოლი“ ხომ ქართულში ბალახის აღმნიშვნელია,  
 ხოლო „ვეფხისტყაოსანში“ მას მაგიური მალამოს ფუნქციაც აქვს 15.

კიდევ უფრო მრავლისმეტყველია ის ფაქტი, რომ თანამედროვე  
 ლინგვისტურ ლიტერატურაში (კერძოდ, პოლანდიელი ენათმეცნიერის  
 ე. ფურნეს ნაშრომებში) დადგენილია ძველქართულ ნასესხობათა  
 ლექსიკური ფენა ძველ ბერძნულში. ამ თვალსაზრისით განსაკუთრე-  
 ბით საინტერესოა „საწმისის“ ძველბერძნული სახელწოდება. ამ ცნე-  
 ბის აღსანიშნავად ძველ ბერძნულ ენაში უფრო ხშირად ორი ტერმი-  
 ნია ნახმარი: ერთია — „დერმა“, ხოლო უფრო ადრინდელ ავტორებ-  
 თან (ჰომეროსი, ჰეროდოტე, პინდარი) გვხვდება ტერმინი „კოსა“.  
 ახლა ეს სიტყვა „კოვო“ ფორმით ზოგადად „ტყავის“ აღმნიშვნელად  
 მიკენურ, ე. ი. ძვ. წ. II ათასწლეულში (XV—XIII სს.) ძველი ბერძ-  
 ნული ენის ერთ-ერთ დიალექტზე ე. წ. ხაზოვანი B დამწერლობით  
 შესრულებულ წარწერებშიცაა დადასტურებული. იგი არაა ძირეულ  
 ბერძნულ (თუ ინდოევროპულ) სიტყვად მიჩნეული. აკად. თამაზ გამყ-  
 რელიძის განმარტებით, მიკენურ წარწერებში დადასტურებული „საწ-  
 მისის“ აღმნიშვნელი ძველბერძნული სახელწოდების უძველესი ფორმა  
 დასავლურქართველური წარმომავლობისა უნდა იყოს და ქართულ  
 სიტყვას „ტყავ“ უნდა ეთანადებოდეს: საერთო ქართველური ტყავ,  
 დასავლურქართველური — ტყოუ-ტკოვ. თამაზ გამყრელიძის აზრით,  
 „თვით ფორმის თვალსაზრისით სავსებით ბუნებრივია, რომ დასავ-  
 ლურ-ქართული ტყოუ-ტკოვ სიტყვა „(ცხერის) ტყავის“ მნიშვნელო-  
 ბით ბერძნებმა სწორედ კოვ — ფორმით გადაიღეს და თავიკიდური,  
 ბერძნულისათვის არაბუნებრივი ტყ-ტყ თანხმოვანთა ჯგუფი კ — თანხ-  
 მოვნით გაამარტივეს“ 16. ეს უაღრესად დიდმნიშვნელოვანი ფაქტია:  
 მიკენურ (ე. ი. ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრით დათარი-



ღებულ) წარწერებში დადასტურებული „კოვ“ სიტყვა „საწმენკის“  
 სანიშნავად თუ მართლაც დასავლურქართველური (ე. წიგნების  
 ქანური) წარმოშობისაა (აქ გადამწყვეტი სიტყვა ლინგვისტების კომ-  
 პეტენციას), ეს სწორედ იმ დროის ე. ი. იასონის კოლხეთში მოგზა-  
 ურობისდროინდელი კონტაქტების შედეგი შეიძლება იყოს (მეორე  
 მხრივ, ეს ფაქტი იმითაც იქნებოდა დიდმნიშვნელოვანი, რომ იგი იქ-  
 ნებოდა მოწმობა იმისა, რომ ამ დროს, ე. ი. ძვ. წ. II ათასწლეულის  
 შუა ხანებში ქართულ-ზანური ერთობა უკვე დიფერენცირებულია და  
 მეგრულ-ქანური ცალკეა გამოყოფილი და გვიანბრინჯაოს ხანის კოლ-  
 ხური კულტურის შემქმნელიც სწორედ მეგრულ-ქანური მოსახლე-  
 ობა).

ამრიგად, ჰომეროსთან მოხსენიებული გეოგრაფიული და ეთნიკუ-  
 რი სახელები, აგრეთვე ენობრივი მონაცემები<sup>17</sup> ადასტურებენ იმ ღე-  
 ბულებას, რომ ბერძენთა პირველი გამოჩენა აღმოსავლეთ შავიზღვის-  
 პირეთში და პირველი კონტაქტები კოლხეთთან სწორედ გვიანბრინ-  
 ჯაოს ეპოქაში უნდა განხორციელებულიყო, ე. ი. იმ ღებულებას, რის  
 დასამტკიცებლადაც განხორციელდა ტიმ სევერინის ექსპერიმენტი.

ტიმ სევერინმა არგონავტების მითთან და საქართველოს ძველი  
 ისტორიისა და კულტურის პრობლემების ირგვლივ კიდევ სხვა მრავა-  
 ლი კითხვა დასვა. მათგან მხოლოდ ზოგიერთის შესახებ მოგახსენებთ.

ტიმ სევერინს საგანგებოდ აინტერესებდა ქართული ხალხური  
 მედიცინის ისტორიის საკითხები, რამდენადაც არგონავტების შესახებ  
 მითში კოლხთა მეფის ასული მედეა წარმოგვიდგება, როგორც სამ-  
 კურნალო საქმის მცოდნე, განსაკუთრებით ბალახებით მკურნალობისა.  
 აკი აპოლონიოს როდოსელი ხშირად იხსენიებს მედეას წამლებს, რო-  
 მელთაგან ზოგიერთს „პრომეთეს წამალს“ უწოდებს და მიაჩნია, რომ  
 იგი იმ ბალახიგანაა დამზადებული, რომელიც პრომეთეს სისხლზე  
 აღმოცენდა (III, 845—852). პოემაში (III, 802—803) იხსენიება აგ-  
 რეთვე მედეას „ყუთი, რომელშიც მრავალი წამალი ეწყო. ზოგი მა-  
 კურნებელი და ზოგიც მომაკვდინებელი“. ამასთან ჩანს, რომ მედე-  
 ასათვის ბალახებით მკურნალობა მის ღედას და მამიდას — გრძნეულ  
 კირკეს უსწავლებიათ. როგორც ცნობილია, ამ ცნობებს, კერძოდ, მე-  
 დეას მიერ ბალახებით მკურნალობას მრავალი სხვა ბერძინი და რო-  
 მაელი ავტორიც იხსენიებს. ჩვენ მოგახსენეთ ტიმ სევერინს, რომ, რა  
 თქმა უნდა, ახლა ძნელად დასადგენია, თუ ზუსტად რა სახის იყო ის  
 წამლები, ძველი ავტორები რომ იხსენიებენ, მაგრამ ძველ საქართვე-


ლოში სხვადასხვა ბალახებისაგან დამზადებული წამლებით მკურნალობა ფართოდ იყო გავრცელებული და დღეს საკმაოდ ეფექტური შესწავლილი ქართული მედიცინის ისტორიის მკვლევართა შორის უნდა იქნას

არა მხოლოდ ძველი ქართული მედიცინის, არამედ არგონავტების მითთან დაკავშირებულ საკითხებთან ერთად ტიმ სევერინი საკმაოდ დრმა ინტერესს იჩენდა საერთოდ ქართული კულტურის გენეზისისა და ისტორიის საკითხების მიმართ, განსაკუთრებით ძველ ბერძნულ ცივილიზაციასთან კონტაქტების ასპექტში. აინტერესებდა მას აგრეთვე, თუ რამდენადაა შემონახული ანტიკური ხანის ადგილობრივი ტრადიციები შემდეგდროინდელ ქართულ კულტურაში და ა. შ.

ამ კითხვების პასუხად ტიმ სევერინს ჩვენ, ერთი მხრივ, არქეოლოგიური მონაპოვარი წარუდგინეთ, ხოლო, მეორე მხრივ, წერილობითი წყაროების ანალიზის შედეგები. ასე მაგ., ვანის ნაქალაქარის დათვალიერებისას ტიმ სევერინზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ინფორმაციამ იმის შესახებ, რომ ამ ძველი კოლხური ქალაქის გათხრებისას დადგენილი რელიგიური რიტუალები, მსხვერპლშეწირვის წესები და საგნები, ზოგიერთ საკულტო ნაგებობათა ფუნქცია და სხვ. სრულ და პირდაპირ პარალელებს პოულობს ქართულ ეთნოგრაფიულ ძეგლებში, აგრე მრავლად რომაა შემონახული საქართველოს მთიანეთში და ქართველი ეთნოგრაფების მიერ შესწავლილი<sup>19</sup>.

ტიმ სევერინის დიდი ინტერესი გამოიწვია სხვა ფაქტებმაც. ასე მაგ., ჩვენს სტუმარს განუუმარტეთ, რომ ბერძნულ საისტორიო და მხატვრულ მწერლობაში მოხსენიებული საკუთარი თუ გეოგრაფიული სახელწოდებანი, როგორც წესი, ადგილობრივ საფუძველზეა აღმოცენებული — ხშირ შემთხვევაში ან ადგილობრივი სახელის ელინიზირებული გადმოცემა ან პირდაპირი თარგმანია, ამასთან ეს სახელები დღემდეა ცოცხალი საქართველოში. ასე მაგ., განსაკუთრებით საინტერესოა ფასისის სახელწოდება, რომლითაც ბერძნულ მწერლობაში აღინიშნებოდა კოლხეთის უდიდესი მდინარე რიონი და აგრეთვე მის შესართავთან მდებარე ქალაქი. მრავალ მოსაზრებათა შორის აქ მე საესებით ვიზიარებ რ. გორდუზიანის აზრს<sup>20</sup>, რომ ამ მდინარეს ფასისი დაარქვეს ბერძნებმა ოდესღაც აქ არსებული კოლხური დასახლებული პუნქტის ადგილობრივი სახელის ფათ-ის მიხედვით. რამდენადაც მდ. ფასისი უკვე ძვ. წ. VIII—VII საუკუნეების ავტორთან ჰესიოდესთან იხსენიება, ხოლო ბერძნების მიერ თავიანთი სავაჭრო ფაქტორიის დაარსება ძვ. წ. VI საუკუნეზე ადრე არ ივარაუდება, ხომ





საეხებით აშკარაა, რომ სახელწოდება ფასისი ბერძნულ მწერლობაში დღევანდელი ფოთის მახლობლად უკვე ძვ. წ. VIII ს-ში უფრო ადრე მდებარე დიდი ადგილობრივი დასახლების წარმომდგარი. ნორვეგიელი მეცნიერის ჰანს ფოგტის მტკიცებით, ბერძნული „ფასის“ ფორმის ამოსავალია ქართველური (ქართულ-ზანური) „ფათი“, რომელიც ზანური (ე. ი. მეგრულ-ჭანური) „ფოთის“ კანონზომიერი შესატყვისია<sup>21</sup>. ასევე მდ. ცხენისწყალის ბერძნული სახელწოდება „პიპოსი“ (ე. ი. ცხენი), ყვირილასი „ბოასი“ (ბერძნულად „ყვირილს“ ნიშნავს) და მრავალი სხვა ადგილობრივი ქართული სახელწოდებების თარგმანია. მეორე მხრივ, მაგ., სტრაბონთან შემონახული ძველი ქართლის ქალაქების ბერძნული სახელწოდებანი „არმოძიკე“ და „სისამურა // სევსამორა“ შეესატყვისება ქართულ არმაზციხესა და წიწამურს<sup>22</sup>. ყოველივე ეს თვალსაჩინო მოწმობაა ბერძნულ-ქართული საკმაოდ ცხოველი კონტაქტებისა, რაც ასაზრდოებდა ბერძნულ საისტორიო და მხატვრულ ლიტერატურას. ამიტომაც ხშირად ბერძენ მწერალთა ცნობები, რომელნიც მითოლოგიურ საბურველშია მოქცეული და ერთი შეხედვით ლეგენდარულისა და ზღაპრულის შთაბეჭდილებას ტოვებენ, მეტწილად რეალურ საფუძველზეა აღმოცენებული და დღეს ეპკმიუტანლად დასტურდება არქეოლოგიური აღმოჩენებით. ამის საილუსტრაციოდ ჩვენს სტუმარს საგანგებოდ მოვახსენეთ რამდენიმე საინტერესო ფაქტი.

ქართველ-ბერძენთა უძველესი კონტაქტების ანარეკლად უნდა მივიჩნიოთ ქართველი ფოლკლორისტების მიერ გამოვლენილ-დადგენილი ფაქტები ბერძნული და ქართული მითოლოგიური სახეებისა და სიუჟეტების თანხედომათა თუ ტიპოლოგიური მსგავსების შესახებ. ასე მაგ., ტიმ სევერინს მოვახსენეთ აწ განსვენებული ქართველი ფოლკლორისტის პროფ. მიხეილ ჩიქოვანის მიერ ქართულ ზღაპრულ ეპოსში ფართოდ გავრცელებული სახე ჯადოსანი ქალისა, რომელიც მაგიური მოქმედებით თუ ჯადოსნური საგნების გამოყენებით ადამიანებს აქვავებს ან ცხოველებად აქცევს, რაც ამჟღავნებს დიდ მსგავსებას პომეროსის „ოდისეასა“ და აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკაში“ წარმოდგენილ გრძნულ დედოფალ კირკესთან, რომელიც აიეტის დაა<sup>23</sup>. ასევე დიდ ინტერესს იწვევს ბერძნული პრომეთესა და ქართული ეპოსის გმირის ამირანის მითოლოგიური სახეების სიახლოვე, რაც ტიმ სევერინისათვის კარგად იყო ცნობილი. მაგრამ ამჟერად ტიმ სევერინის ყურადღება მივაქციეთ იმ გარემოებაზე, რომ

ადრეული ხანიდან (ყოველ შემთხვევაში ესქილეს დროიდან მაინც) ბერძენთა შორის განმტკიცებული იყო რწმენა იმის შესახებ, რომ პრომეთე კავკასიის ქედზე იყო მიჯაჭვული და ეს შესანიშნავად აღწერილი აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკაში“ (II, 1245-1250) არგონავტიკა

„... და აი, უკვე გამოჩნდა პონტოს უკიდურესი ყურე და კავკასიის მალაღი მწვერვალებიც აღიმართნენ. აქ სპილენძის ბორკილებით პირქუშ კლდეებზე მიჯაჭვული პრომეთე თავისი ღვიძლით კვებავდა არწივს, რომელიც განუწყვეტლივ მიისწრაფოდა მისკენ...“ კიდევ მეტი, აპოლონიოს როდოსელის თხზულებიდან (III, 850—855) კარგად ჩანს, რომ ელინთა წარმოდგენით ბერძენი პრომეთე სადღაც კოლხეთის ახლოს იყო კავკასიონის ქედზე მიჯაჭვული: <sup>24</sup> „...მედემამ გაკრიალებული ყუთიდან ჯადოსნური წამალი ამოიღო, რომელიც, ამბობენ, პრომეთეს წამლად იწოდებაო... ამ წამლის მცენარე პირველად აღმოცენდა ტანჯული პრომეთეს იმ ზრქელი სისხლისაგან, რომელიც გაუშმადარმა არწივმა კავკასიონის ფერდობებზე დაღვარა...“

პრომეთეს კავკასიონის ქედზე მიჯაჭვის შესახებ აზრს საარწმუნოდ მიიჩნევდნენ და მტკიცედ იმეორებდნენ სხვა ბერძენი მწერლებიც. ასე მაგ., იმპერატორ ადრიანეს მოხელე ფლაბიუს არიანე, რომელმაც ახ. წ. 134 წელს კოლხეთში იმოგზაურა, თავის იმპერატორს მოახსენებს: „პიპოსიდან დაწყებული ასტელეფოსამდე და დიოსკურიამდე ჩვენ ვხედავთ კავკასიონის მთას, რომელიც სიმაღლით წააგავს ყველაზე მეტად კელტურ ალპებს. გვიჩვენებს ერთ-ერთი მწვერვალი — სტრობილოსი, რომელზედაც მითის თანახმად ზევსის ბრძანებით პრომეთესი ჩამოკიდა ჰეფესტომ“ <sup>25</sup>. კიდევ უფრო საინტერესო ისაა, რომ კოლხეთში არსებულ თქმულებას ადგილობრივი გმირის შესახებ, თავისი თავგადასავლით პრომეთეს რომ ეტოლებოდა, კარგად იცნობდნენ თვით ძველი ბერძენები. ახ. წ. II—III საუკუნეების მწერალი ფილოსტრატე თავის მკითხველებს არწმუნებდა: ადგილობრივი მცხოვრებნი „ისეთ თქმულებას ჰყვებიან, როგორსაც ელინები მღერიან მასზე (ე. ი. პრომეთეზე — ო. ლ.); რომ იქ მიჯაჭვული იქმნა პრომეთე და კაცთმოყვარეობის გამო მეორე ჰერაკლემ, — და არა თებელმა, რომელსაც აქაურები არ იცნობენ, — ვერ აიტანა ეს და ისრით განგმირა ფრინველი, რომელიც პრომეთეს შიგნულს ჯიჯგნიდა. ზოგიერთები ამბობენ, რომ იგი მიჯაჭვული იყო გამოქვაბულში, რომელსაც მთის ძირში აჩვენებენ... ფრინველს — არწივს კავკასიის მოსახ-

ლენი მტრად მიიჩნევენ და ბუდეებს, რამდენსაც კი აკეთებენ არწვე-  
 ბი კლდეზე. ცეცხლოვანი ისრების ტყორცნით წვავენ, ქიქიჭაღი  
 უგებენ მათ და ამბობენ პრომეთესათვის შურს ვიძიებთ...“<sup>26</sup> ამ ცნობაში ყურადღებას იქცევს  
 მად სწამთ თქმულების სისწორე...“<sup>26</sup> ამ ცნობაში ყურადღებას იქცევს  
 ბერძნული მითისათვის უცხო ვერსია, რომლის თანახმად პრომეთე  
 გამოქვაბულშია მიჯაჭვული. ეს მომენტი კი, როგორც ცნობილია, სწო-  
 რედ ამირანის შესახებ ქართული თქმულებისთვისაა დამახასიათებ-  
 ლი<sup>27</sup>. საინტერესოა, რომ პრომეთეს მღვიმეში დატყვევების შესახებ  
 გადმოცემას უფრო ადრე იცნობდა სტრაბონი, რომელსაც პრომეთეს  
 შესახებ მითი პონტოს სანაპიროებიდან მიაჩნდა გავრცელებულად<sup>28</sup>:  
 „...ამ მითს ამტკიცებს კავკასიონისა და პრომეთეს შესახებ ამბებიც:  
 ესენი პონტოდან გადმოაქვთ აქ მცირე მიზეზით, რაკილა ხედავენ,  
 რომ პაროპამისადეში არის წმინდა გამოქვაბული და მიუთითებენ  
 თითქოს აქ ყოფილიყოს მიჯაჭვული პრომეთე და აქ მოსულიყოს ჰე-  
 რაკლეც პრომეთეს გასათავისუფლებლად და ეს იყოს ის კავკასიონი.  
 რომელსაც ელინები თვლიან პრომეთეს მიჯაჭვის ადგილად“ (XV, 1, 8).  
 ამრიგად, თითქოს ექვს არ უნდა იწვევდეს, რომ კოლხეთში ცნობილი  
 იყო ბერძნული მითი პრომეთეს შესახებ, მაგრამ იმავე დროს ბერძ-  
 ნებმაც იცოდნენ მსგავსი შინაარსის ადგილობრივი თქმულება...<sup>29</sup> მაგ-  
 რამ ამჯერად სხვა მხარეცაა აქ ძალზე საინტერესო: მრავალგზის მი-  
 თითება პრომეთეს ხსნისა ჰერაკლეს მიერ! ამ თვალსაზრისით ყუ-  
 რადღება ბერძენი ისტორიკოსის აპიანეს (დაახლ. 90—170 წწ.)  
 ცნობა, რომ რომაელმა სარდალმა პომპეუსმა კოლხეთში ლაშქრობი-  
 სას „მოიარა კოლხები, არგონავტთა, დიოსკურებისა და ჰერაკლეს იქ  
 ყოფნის ამბების შესატყობად და განსაკუთრებით კი უნდოდა ენახა  
 ტანჯვის ადგილები, რადგან ამბობდნენ, პრომეთე კავკასიონის ქედ-  
 ზე იყო მიჯაჭვული“<sup>30</sup>. ეს ცნობა იმითაცაა კიდევ საინტერესო, რომ,  
 როგორც ვხედავთ, ბერძნებში გავრცელებული იყო რწმენა ბერძენი  
 გმირის ჰერაკლეს კოლხეთში ყოფნის შესახებ. აქ წინასწარ უნდა შევ-  
 ნიშნო, რომ არგონავტების შესახებ თქმულების თანახმად ჰერაკლეს  
 მაშინ კოლხეთამდე არ მოუღწევია და იძულებული იყო არგონავტებს  
 ჩამოცილებოდა, რადგან მისი დაკარგული მეგობრის ჰილასის საძებ-  
 ნელად გაემართა. ჰერაკლეს კოლხეთში მოსვლას ბერძნული ტრადი-  
 ცია, როგორც ჩანს, საგანგებოდ პრომეთეს გასათავისუფლებლად ჩა-  
 დენილ გმირობას უკავშირებს. კოლხეთში რომ კარგად იცნობდნენ  
 ბერძნულ მითს პრომეთეს შესახებ და მას ადგილობრივი მკვიდრნი



თავისებურად აღიქვამდნენ, ჩანს ერთი უაღრესად საინტერესო ცნობიდანაც, რომელიც ცნობილ ბერძენ ისტორიკოსს დურისს (ძვ. წ. 340—275 წწ.) მიეწერება: „კავკასიის მცხოვრებნი მხოლოდ ზევსს (Ζεύς) თენას არ სწირავენ მსხვერპლს, ვინაიდან ისინი იყენენ პრაქსინის (Πραξινης) დასჯის მიზეზნი, ჰერაკლეს კი განსაკუთრებულად სცემენ თაყვანს იმის გამო, რომ მან ისრით განგმირა არწივი პრომეთეს გულ-ღვიძლს რომ უკორტინდა“<sup>31</sup>. ამ ცნობაში შესანიშნავადაა ახსნილი, თუ რატომ სცემენ თაყვანს ჰერაკლეს კოლხეთში: მან ხომ ტანჯვა-წამებისაგან იხსნა პრომეთე, რომელიც ქართული ეპოსის გმირის ამირანის ორეულაია ბუნებრივია, რომ ამირან // პრომეთეს მსხნელი ჰერაკლე აღგილობრივი ხალხების თაყვანისცემის საგანი გახდა... და რაოდენ დიდი იყო ტიმ სევერინის გაცემა, როდესაც მას მოვახსენეთ, რომ ფაქტი ჰერაკლეს კულტის პოპულარობისა კოლხეთში არქეოლოგიურადაც ექვემოტანლად დასტურდება. ამას მოწმობს ვანში აღმოჩენილი ბრინჯაოს გამოსახულება ჰერაკლესი<sup>32</sup> და ოქროს ბალთა, რომელზედაც ნემეურ ლომთან შებრძოლებული ჰერაკლეა გამოსახული<sup>33</sup>. კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ისაა, რომ ვანშივე აღმოჩენილია თიხის ტვიფარი ჰერაკლეს გამოსახულებით<sup>34</sup>, რაც იმის მოწმობაა, რომ ჰერაკლეს გამოსახულებებს ვანშივე ამზადებდნენ. ეს მოსაზრება დაგვიდასტურა აგრეთვე ვანის ნაქალაქარის მახლობლად ე. წ. საყანჩის ველზე ძვ. წ. III—II სს-ის ნამოსახლარის გათხრებისას ნაპოვნმა თიხის ყალიბმაც, რომელიც ასევე ჰერაკლეს გამოსახულების დასამზადებლადაა განკუთვნილი<sup>35</sup>. აი ასე საოცრად დასტურდება არქეოლოგიური აღმოჩენებით ერთი შეხედვით ლეგენდარული ხასიათის ცნობებიც კი. ისინი თურმე რეალურ საფუძველზეა ხშირად აღმოცენებული. ამავე თვალსაზრისით ტიმ სევერინის ყურადღება მივაქციეთ მრავალთა შორის კიდევ ასეთ საინტერესო დეტალზეც.

არგონავტების შესახებ თქმულების სხვადასხვა ვერსიებში, როგორც ცნობილია, კოლხეთში ოქროს საწმისი „არესის ქალაქში“ ინახებოდა<sup>36</sup>. „არესის ველზე“ იყვნენ გაშვებული აიეტის „ცეცხლის-მფრქვეველი“ და „სპილენძისლიქებიანი ხარებიც“<sup>37</sup>. ზოგიერთი ვერსიით, ვერძი, რომელმაც ფრიქსე კოლხეთში გადმოაფრინა, არესს შესწირეს მსხვერპლად, ხოლო ოქროს საწმისიც თითქოს აიეტის სატახტო ქალაქთან ახლოს არესის ტაძარში იყო დაცული<sup>38</sup>. რატომაა აქ არესი აგრე წინ წამოწეული? არესი ხომ ბერძნული ღვთაებაა — ომის ომირთი! თუმც უნდა აღინიშნოს, რომ არესის კულტი თვით

საბერძნეთში არ იყო მაინცდამაინც პოპულარული. საინტერესოა, რომ ტროის ომშიც არესი ტროელთა მხარეს იბრძვის აქავე ~~ქვეყნულ~~ წინააღმდეგ<sup>39</sup>, თუმცა ყოველივე ამას თავისი ახსნაც ~~ქვეყნულ~~ მითოლოგიაში და ამჯერად იგი აქ ჩვენი ფართოდ განსჯის საგანი ვერ გახდება<sup>40</sup>. ახლა ჩვენთვის ისაა უფრო საინტერესო და ასახსნელი თუ რატომაა არესის კულტი კოლხეთში ასე გამოჩინებული? კიდევ მეტი, ბერძენი მწერლის პავსანიას ცნობით: სპარტიდან თერაპნამდე „რამდენი ტაძარიც კია აგებული ამ გზაზე, მათში ყველაზე უძველესია არესის ტაძარი... არესის ქანდაკება კი, ამბობენ, აქ დიოსკურებმა მოიტანეს კოლხთა ქვეყნიდანო. არესს ეძახიან თეროს სახელისაგან. ამბობენ, იგი არესის ძიძა იყოო. სრულიად შესაძლებელია, რომ კოლხებისაგან გაიგონეს და ეძახიან თერიტეს, ვინაიდან ელინებმა არ იციან არესის ძიძად თერო“<sup>41</sup>. ეს ცნობაც თვალსაჩინოდ მოწმობს არესის კულტის პოპულარობას კოლხეთში. მაგრამ ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ომის ბერძნული ღვთაების — არესის კულტი იყო კოლხეთში. ცნობილია, რომ ძველი ბერძნები უცხო ხალხების რელიგიური კულტების აღწერისას, თუ ესა თუ ის ღვთაება ფუნქციონალურად და გარეგნული თვისებებით ამჟღავნებდა მსგავსებას ამა თუ იმ ბერძნულ ღვთაებასთან, მაშინ მას ამ ღვთაების ბერძნული სახელით მოიხსენიებდნენ<sup>42</sup>. ასე რომ, სავსებით აშკარაა: არესის სახელით კოლხეთში იხსენიება ადგილობრივი ღვთაება ომიანობისა. მაგრამ გვაქვს კი საფუძველი ვივარაუდოთ, რომ კოლხეთში მართლაც არსებობდა ომის ღვთაების კულტი? ამ მხრივ უადრესად საინტერესოა ქართული წარმართული კალენდრის ანალიზი, რომელიც მოგვცა აკადემიკოსმა ივ. ჯავახიშვილმა. მან ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ სულხან-საბა ორბელიანის ცნობით ქართულ სამწერლობო ენაში სამშაბათი დღის აღმნიშვნელია „არიასი“, რომელიც აშკარად ბერძნულ „არესს“ და რომაულ „მარსს“, ე. ი. ომის ღმერთს შეესატყვისებაო. მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია ამ შემთხვევაში დიალექტური ფორმები: სამშაბათი მეგრულად „თახაშხად“ იწოდება, სვანურად — „თახაშ“-ად. ამავე დროს ჭანურში ოთხი სახელწოდებაა დადასტურებული: „ერკინაჩხა“, „ეკინაჩხა“, „ტიკინაჩხა“, „იკინაჩხა“. აკად. ივ. ჯავახიშვილი მეგრული „თახა-შ-ხა“ და სვანური „თახა-შ“ სიანლოვის გამო სამშაბათი დღის სახელში სავედრებელი ღვთაების სახელად „თახა“-ს მიიჩნევს, ხოლო ჭანურში შემონახული ოთხი სახელიდან აღადგენს უძველეს ფორმას: „ტერკინ // ტარკუნ“. ამ უკანასკნელს



ივ. ჯავახიშვილი უკავშირებს ომიანობის ღვთაების ხეტურ სახელს „ტარხონ“, ამავე დროს ადასტურებს მსგავსი სახელების გავრცელებას ქართულ სინამდვილეშიც და ასკვნის: „სამშაბათი ქართველ ღვთაება „ტარხონ“, „თარხონ“ ან „თარხო“-სთვის ჰქონია განკუთვნილი, რომელიც მარსის ანუ არიას შესატყვისად იყო მიჩნეული. „თახა“ ამ სახელის თემც მერმინდელი, მაგრამ მაინც საკმაოდ ძველი ფორმა უნდა იყოს“<sup>43</sup>. ე. ი. ირკვევა, რომ ქართულ წარმართულ კულენდარში ერთი დღე — სამშაბათი ომიანობის ღვთაების სავედრებლად იყო განკუთვნილი, რაც მოწმობს ამ ღვთაების კულტის ფართოდ გავრცელებას ძველ საქართველოში და არგონავტების შესახებ მითშიც კოლხეთში „არესის ჰალაის“, „არესის ველის“, „არესის ტაძრის“ მოხსენიება ოქროს საწმისთან კავშირში სრულებითაც არაა შემთხვევითი. ასევე არ უნდა იყოს შემთხვევითი ისიც, რომ ოქროს საწმისი, არესის ჰალაი, მუხის ხეზე იყო ჩამოკიდებული: მუხა ძველთაგანვე ქართველ ტომებში წმინდა ხედ იყო აღიარებული<sup>44</sup>.


ტიმ სევერინს, როგორც მოგახსენეთ, არგონავტების მითთან დაკავშირებით მრავალი საკითხი „აწუხებდა“ და მრავალმხრივ ცდილობდა ბერძნულ მითში არეკლილი ადგილობრივი სიტუაციები დაენახა. მას საგანგებოდ აინტერესებდა კოლხეთში ცხვრის კულტის არსებობის დამადასტურებელი არქეოლოგიური მასალა. ამ მხრივ მან შეძლებისდაგვარად ამომწურავი ინფორმაცია მიიღო. განსაკუთრებით დაინტერესდა ბრინჯაოსაგან დამზადებული და II ათასწლეულის შუა ხანებით დათარიღებული ვერძისა და ვერძის თავის გამოსახულებებით რაჭიდან (გ. ვობეჯიშვილის აღმოჩენები)<sup>45</sup> და სვანეთიდან (შ. ჩართოლანის მოპოვებული მასალები)<sup>46</sup>. საინტერესოა, რომ გამომწვარი თიხისაგან დამზადებული ცხვრის მშვენიერი ქანდაკება ძვ. წ. VII ს-ისა ტიმ სევერინის ჩამოსვლამდე რამდენიმე დღით ადრე ვანის ნაქალაქარზეც აღმოჩნდა და იგი ბი-ბი-სის წარმომადგენლებმა და ტიმ სევერინის ფოტოგრაფმა დიდის ამბით გადაიღეს. ცხვრის კულტის ფართოდ გავრცელებამ კოლხეთში ტიმ სევერინი, ჩემი აზრით, რამდენადმე შორსმიმავალ დასკვნებამდეც კი მიიყვანა, რაც მან საჯაროდაც რამდენიმე ინტერვიუშიც განაცხადა. იგი ფიქრობს, რომ ცხვრის კულტის არსებობა კოლხეთში გარკვეულ კავშირშია და საფუძველიცაა არგონავტთა ლაშქრობის შესახებ მითში ოქროს ვერძისა და საწმისის მოტივის გაჩენისა. მე უფლება მივეცი ჩემს თავს არ დაეთანხმებოდი პატივემულ სტუმარს მისეულ ინტერპრეტაციაში

ომიტომ, რომ ცხვრის კულტი ძველთაგანვეა სხვა ხალხშიც ფართოდ გავრცელებული, ხოლო ოქროს ვერძი, რომლითაც მითის თანახმად ფრიქსე კოლხეთში გადმოფრინდა, „ბერძენი“ იყო-მეთქი, უნდა ვთქვათ სამაგიეროდ. ძალზე საინტერესოა ის ფაქტი, რომ დასავლეთ საქართველოში, კერძოდ სამეგრელოში, შემონახულია წყება ლეგენდებისა, რომელშიც მთავარ გმირად ოქროს ვერძი გვევლინება. ერთ-ერთი ასეთი თქმულება ჩაუწერია ჯერ კიდევ XIX საუკუნეში ა. გრენს. ამ თქმულების თანახმად, თითქოს მეფე გიორგის ჰყოლია მკვიანი და ლამაზი ასული, აგრეთვე „ოქროს ბეწვიანი მძლავრი ვერძი“. მის ქალაქთან ერთო მარად ჩაუქრობელი ცეცხლი (სადაც დამნაშავეებს წვავენ), ხოლო მიუვალ ციხეში გამომწყვდეული ჰყავდა 12 მზეთუნახავი, რომელთაც უძლეველი დევები იცავდნენ. მეფის ასულის სილამაზის შესახებ ხმას საბერძნეთამდე მიულწვია და იქიდან საგანგებოდ ბერძენთა მეფის ვაჟი ზომალდით გამომგზავრებულა. მეფე გიორგის ბერძენი უფლისწული პატივით მიუღია, ხოლო მეფის ასულს იგი ჩონგურზე დაკვრით მოუხიზლავს. ქალსა და ვაჟს ერთმანეთი შეეყვარებიათ. მეფის ასულს ბერძენი უფლისწულისთვის თითქოს წამალი მიუტანია და უთქვამს: „მამაჩემი ვერძის დამარცხებას, ცეცხლის ჩაქრობასა და 12 მზეთუნახავის დევებისაგან განთავისუფლებას მოგთხოვს. ამ პირობებს შენ ამ წამლის მეშვეობით შესძლებ“. მართლაც, ბერძენმა უფლისწულმა შეძლო მეფე გიორგის პირობების შესრულება...

ა. გრენის მტკიცებით, მეგრელებს ბევრი ასეთი გადმოცემა მოეპოვებათ, რომელნიც მედეა-იასონის შესახებ მითს ეხმაურებაო...<sup>47</sup>

მართლაც, ცნობილ ქართველ გეოლოგსა და მხარეთმცოდნეს ა. ჭანტურიას, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის სამეგრელოს მიწა-წყალზე არქეოლოგიური ძეგლების გამოვლენისა და გადარჩენის საქმეში<sup>48</sup>, შეუკრებია მთელი ცოკლი ზღაპრებისა, სადაც ფიგურირებს ოქროს ვერძი ან ოქროს კრავი. იგი ღვთაებად და გრძნეულ არსებად გვევლინება, შეუძლია ფრენა და ლაპარაკიც (მსგავსად იმ ვერძისა, ფრიქსე რომ ჩამოაფრინა მეფე აიეტის ქვეყანაში). მეგრული ზღაპრების ოქროს ვერძი თუ კრავი ქვეყნის კეთილდღეობის მფარველია და მისი სიმბოლო, მრავალი სიკეთის მომტანი და სიმდიდრის გამცემი, იგი სწეულთა მკურნალიცაა და გამანაყოფიერებელი თვისებითაცაა აღჭურვილი, იგი სადადიანოს მფარველია და ეხმარება უცხო მტრებთან ბრძოლაში, ხშირად ოქროს კრავი მზეს ეთამაშება... მის

შესახებ იციან უცხო ქვეყნებში და ოცნებობენ მის ხელში ჩაგდებაზე... 49



ეს უალრესად საინტერესო ციკლია თქმულებებისა და მომენტებისა, რომლებშიც შემდგომ შესწავლასა და ახალი მასალების მოძიებას, რაც ფოლკლორისტიკის კომპეტენცია და მოვალეობაა... ამ თქმულებებში წარმოდგენილი ოქროს ვერძის მითოლოგიური სახე სრულიად უეკველად წინარეჟირტიანული ხანისაა, რამდენადაც გრძელეული ვერძი ზღაპრებში „ღმერთადაა“ გამოცხადებული. ამიტომ გვაქვს საფუძველი ვივარაუდოთ სიძველე ოქროს ვერძის კულტისა და ისტორიული კოლხეთის ტერიტორიაზე არსებული უძველესი რელიგიური რწმენა-წარმოდგენებისა, რომელთა თანახმად ოქროს ვერძი (ან ზოგიერთ ზღაპარში — მისი სკულპტურული გამოსახულება) ქვეყნის მფარველ ღვთაებას და მისი კეთილდღეობის სიმბოლოს წარმოადგენდა... 50

უალრესად მნიშვნელოვნად მეჩვენა ტიმ სევერინის დაინტერესება არგონავტების შესახებ მითის ერთი მოტივით — კოლხეთში ოქროს საწმისის მოდარაჯე გველეშაპის შესახებ. ტიმ სევერინი გულმოდგინედ ეძიებდა ქართულ ფოლკლორში რაიმე ანალოგიურ მოტივს. ამ თვალსაზრისით მისი განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია იმ ფაქტმა, რომ ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში არსებობს გველის, როგორც ოჯახის და საოჯახო კერიის მფარველის („სახლის გველი“, „ოჯახის ფუძის გველი“) კულტი 51. (ჩვენ ისიც კი ვუთხარით სტუმარს, რომ ეს მომენტი საკმაოდ საინტერესოა აღწერილი დიდი ქართველი რომანისტის კონსტანტინე გამსახურდიას „მთვარის მოტაცებაში“). ქობულეთ-ფიჭვნარის ტერიტორიაზე აღმოჩენილი უძველესი კოლხური ნამოსახლარის („ნამკედურის“) დათვალიერებისას ექსპედიციის ხელმძღვანელმა დ. ხახუტაიშვილმა ტიმ სევერინს აჩვენა გათხრებისას მოპოვებული თიხის ნივთები, რომელნიც გველის გამოსახულებებითაა მორთული. ტიმ სევერინმა საგანგებოდ ჩაინიშნა ეს ფაქტი და გამოთქვა ვარაუდი: ის რომ ძველ საქართველოში სწორედ გველია ოჯახის მფარველი, გასაგებს ხდის იმასაც, თუ რატომ მაინცდამაინც გველეშაპს დაევალა ოქროს საწმისის, როგორც ქვეყნის ყველაზე დიდი საუნჯის დაცვა და მფარველობა 52.

რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ბერძნული მითის ამ ასპექტისათვის აქამდე (ყოველ შემთხვევაში, ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში) ჯერ ყურადღება არავის მიუქცევია და ამ თვალსაზრისით საკითხიც არავის დაუსვამს 53. ტიმ სევერინის ეს უალრესად საყურად-



ღებო მოსაზრება იმითაა ღირსშესანიშნავი, რომ იგი ნახს წყვეს ბერძნული მითის ადგილობრივ (ძველ კოლხურ) ფეხვეტი წყვეთ არგონავტების ოქროს საწმისისათვის ლაშქრობის შესახებ წყვეთ მითი კიდევ ერთ რეალურ ელემენტს იძენს. არ შემოძლია არ აღვნიშნო ის დიდი აღფრთოვანება, რომელსაც ტიმ სევერინი კოლხეთში მოგზაურობის იმ უკანასკნელ დღეს გამოთქვამდა ამ ფაქტის აღმოჩენით. მე კი თბილისში დაბრუნებისთანავე შევამოწმე აპოლონიოს როდოსელის პოემის ძველი ბერძნული ტექსტი. ამ ნაწარმოების ქართულ თარგმანებში „გველუშაპი“ ან „ურჩხულია“ ოქროს საწმისის მოდარაჯედ წარმოდგენილი<sup>50</sup>, ბერძნული ტექსტის II თავის 1208-ე და 1269-ე, III თავის 128-ე ტაბებში ნახმარია ტერმინი „ოფს“, რაც ძველბერძნულად ნიშნავს „გველს“!<sup>54</sup>

ტიმ სევერინის მოგზაურობა საქართველოში მრავალმხრივია მნიშვნელოვანი. ახალმა არგონავტებმა, როგორც ცნობილია, დაათვალიერეს არქეოლოგიური გათხრები ვანში, ნოქალაქევეში, ქუთაისში, სვანეთში, კობულეთ-ფიჭვნარში, ძალისში, მცხეთაში. თუმცე ტიმ სევერინს უკვე ჰქონდა წინასწარ გარკვეული ინფორმაცია საქართველოში მიმდინარე არქეოლოგიური გათხრების შესახებ, მაგრამ მაინცო, იმეორებდა მრავალჯერ, პირადად ნანახმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბაო. მე დავრწმუნდი, რომ საქართველოში, ამბობდა თავის ინტერვიუებში ხაზგასმით ტიმ სევერინი, არქეოლოგიური კვლევა-ძიება და ისტორიულ ძეგლთა მოვლა-პატრონობის საქმე სახელმწიფო ხელისუფლებისა და მათ ხელმძღვანელთა ზრუნვის შედეგად უმაღლეს დონეზეაო. საკმარისია თუნდაც დავიმოწმო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გაზეთში „სოვეტსკაია კულტურა“ (1984 წლის 2 აგვისტოს № 92) გამოქვეყნებული ტიმ სევერინის განცხადება: „არსად სახელმწიფო არ ხარჯავს არქეოლოგიურ გათხრებზე იმდენ თანხებს, როგორც თქვენთან. თქვენი შემუშრდებათ მთელი მსოფლიოს მეცნიერთ. მე განცვიფრებული ვარ იმითაც, რომ თქვენი ხალხი ასე სათუთად უვლის თავის ისტორიას, რომ მითი არგონავტების შესახებ ცოცხლობს მათ გულებში. აჲ, კოლხეთის ძველ მიწაზე, მე შევხვდი მდიდარი კულტურის ადამიანებს, ნამდვილ ინტელიგენციას. მსოფლიო კლასის მეცნიერებს. ახლა მე უკვე დარწმუნებით შემოძლია ვთქვა: ჩემი „ოქროს საწმისი“ ეს ის ცოდნაა, რომელიც მე საბჭოთა მეცნიერთაგან მივიღე. დღეს მე კვლავ ვიგრძენი თავი სტუდენტად“.

ტიმ სევერინის მოგზაურობა საქართველოში ძალზე დიდი მოვ-



ღენა იყო და იგი უთუოდ დიდ როლს შეასრულებს მომავალში არგონავტიკასთან დაკავშირებული საქართველოს ისტორიის კვლევების კვლევის საქმეში.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ტიმ სევერინთან შეხვედრებში მონაწილე ქართველ მეცნიერთა სახელით კიდევ ერთხელ გავიმეორო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმში გამართულ შეხვედრაზე თქმული და გულითადი მადლობა მოვასხენო ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელობას, რომელმაც ყველა პირობა შექმნა „ახალი არგონავტების“ საქართველოში მოგზაურობის მალალ დონეზე წარმართვისათვის, ყველა იმ რაიონის ხელმძღვანელებსა და მშრომელებს, სადაც ტიმ სევერინის ეკიპაჟმა იმოგზაურა (აჭარის ასსრ, ფოთის, ცხაკაიას, აბაშის, გეგეჭკორის, მესტიის, ქუთაისის, თერჯოლის, ვანის, მცხეთის), საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს, რომელსაც მთლიანად დააწვა უმძიმესი ტვირთი ამ მოგზაურობის ორგანიზაციისა, და რომელმაც მეცნიერებს ტიმ სევერინთან მნიშვნელოვან საკითხებზე აზრთა გაცვლა-გამოცვლის მშვიდი, საქმიანი ატმოსფერო შეგვიქმნა. ამ საუბრების დროს დაისვა მრავალი ახალი საინტერესო საკითხი, რომელთა გადაჭრა ისტორიკოსების, არქეოლოგების, ლინგვისტების, ფოლკლორისტების ერთობლივ მუშაობას მოითხოვს. ჩვენ შევეთანხმდით ტიმ სევერინთან, რომ მის მომავალ წიგნს არგონავტთა ნაკვალევზე მოგზაურობის შესახებ გამოვეხმაურებით რეცენზიით, რომელშიც ამ ექსპერიმენტის მეცნიერულ მნიშვნელობაზე გვექნება საუბარი და დამატებითი მასალა იქნება წარმოდგენილი ძველი კოლხეთის შესახებ. ტიმ სევერინის წიგნი კი უთუოდ გამოიწვევს მსოფლიო მეცნიერების ფართო წრეებში ცხოველ ინტერესს საქართველოს ისტორიისა და მისი კულტურის მიმართ. ამაშიცაა ტიმ სევერინის საქართველოში მოგზაურობის დიდი მნიშვნელობა. დასამალი არაა, რომ ევროპისა და ამერიკის (ასევე სხვა კონტინენტის) საზოგადოების ფართო მასებისათვის არც თუ ისე კარგადაა ცნობილი საქართველო და მისი უძველესი კულტურა<sup>55</sup>. თუ რამდენად ბუნდოვანია ზოგჯერ წარმოდგენები ჩვენი ქვეყნის შესახებ არგონავტების ასე საყოველთაოდ ცნობილ თქმულებებთან დაკავშირებითაც კი, საკმარისია დავასახელოთ საკმაოდ პოპულარული ინგლისური ენციკლოპედიური გამოცემის ერთ-ერთი სერია „ვინ არის ვინ ანტიკურ სამყაროში“, სადაც იასონის შესახებ „განმარტებულია“, რომ მან „იმგზაურა კოლხეთში (ყირიმში)“,



ასევე ყირიმშია მოთავსებული კოლხეთი წიგნის გეოგრაფიული და სა-  
 კუთარ სახელთა „საძიებელშიც“ („ინდექსში“) 56. ექვი არაა დასაშვანი  
 სევერინის მომავალი წიგნის მეტად მრავალრიცხოვან მკითხველებს  
 უფრო ნათელი და სწორი წარმოდგენა ექნებათ ძველი კოლხეთისა და  
 ახალი საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობის, ისტორიისა და  
 კულტურის შესახებ.

ეს პატარა წიგნიც ტიმ სევერინის მოგზაურობის და მასთან და-  
 კავშირებული შთაბეჭდილებების შედეგადაა დაწერილი. ამ მოგზა-  
 ურობამ კიდევ ერთხელ მიაქცია ჩემი ყურადღება ძველი ბერძნული  
 სამყაროსა და კოლხეთის ურთიერთობის პრობლემებს, ბევრი რამ  
 ამჯერად მე სხვაგვარად (ვიდრე ადრე მეჩვენებოდა) დავინახე, ზოგი  
 კი — თითქოს უფრო ღრმად. სწორედ ამის გადმოცემა დავისახე ამჯე-  
 რად მიზნად.

## შ ე ნ ი შ კ ე მ ბ ი

### „წინათქმა“

1. ს ტ რ ა ბ ო ნ ი — ცნობილი ბერძენი გეოგრაფოსი და ისტორიკოსი დაიბადა ძვ. წ. 64/63 წლებში ქ. ამასიაში (მცირე აზია), გარდაიცვალა ახ. წ. 23/24 წლებამდე. სტრაბონის დედის ბიძა მამის მხრიდან — მოაფერნე ერთხანს პონტოს მეფე მითრიდატე VI ევპატორის მიერ კოლხეთის მმართველადაც კი იყო დანიშნული. სტრაბონი ავტორია 17 წიგნისაგან შემდგარი „გეოგრაფიისა“, სადაც იმდროინდელი ევროპის, აზიისა და აფრიკის სხვა ქვეყნებთან ერთად აღწერილია ფართევე დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე მაშინ მდებარე ორი ქართული სახელმწიფო — კოლხეთი და იბერია. წმინდა გეოგრაფიული ხასიათის აღწერილობებთან ერთად, სტრაბონის „გეოგრაფიაში“ დიდი ადგილი აქვს დათმობილი აზროვნებების კოლხეთში ლაშქრობის საკითხს, მოცემულია ცნობები იბერიისა და კოლხეთის ეთნიკური შედგენილობის, ქალაქების, სავაჭრო გზების, პოლიტიკური ისტორიის ცალკეული მომენტებისა და სხვათა შესახებ. ფიქრობენ, რომ სტრაბონი თვით იყო კოლხეთში წამყოფი. ამასთან მან ფართოდ და კრიტიკულად გამოიყენა მის დროს არსებული საისტორიო და ლიტერატურული წყაროები, მათ შორის პომპეუსის ამიერკავკასიაში ლაშქრობის მონაწილეთა აღწერილობანი. ამიტომ სტრაბონის „გეოგრაფია“ საქართველოს ძველი ისტორიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს და სანდო წყაროდაა მიჩნეული. დაწვრ. იხ. თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია (ცნობები საქართველოს შესახებ), თბილისი, 1957 წ. ამ წიგნს გამოკვლევასთან ერთად თან ახლავს საქართველოს შესახებ სტრაბონის ყველა ცნობა (ბერძნული ტექსტი და ქართული თარგმანი) კომენტარებითურთ.

2. ო დ ი ს ე ვ ს ი ს — ითაკის მითური მეფის ხანგრძლივი მოგზაურობა პომეროსის მიერაა აღწერილი პოემაში „ოდისეა“, რომლის ქართული პროზაული თარგმანი ეკუთვნით ზურაბ კიკნაძესა და თამაზ ჩხენკელს (თბილისი, 1975, გამომცემლობა „ნაკადული“), ხოლო პოეტური თარგმანი პანტელეიმონ ბერაძეს (თბილისი, 1979, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ — სერიიდან „მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკა“). მენელაოსი კი ბერძნული მითოლოგიით — სპარტის მეფე, ატრეისის ძე და ავამემნონის უმცროსი ძმაა. მას მოსტავა პარისში მეუღლე ელენე, რაც ტროის ომის მიზეზი გახდა. ტროის აღების შემდეგ იგი ელენესთან ერთად ბრუნდება სპარტაში. სხვა ვერსიით კი ტროის ომის დამთავრების შემდეგ მენელაოსს 8 წელი უმოგზაურია და მშვიდობით დაბრუნებულა თავის სატახტო ქალაქში.

3. დ ე ლ ფ ე — საბერძნეთის ერთ-ერთი უძველესი სატაძრო ქალაქია ღვთაება აპოლონის სახელზე აგებული. ის საერთო ბერძნული სალოცავი იყო და მას დიდ-

ბალ ოქრო-ვერცხლს, ძვირღას ნივთებსა თუ სხვა დასველობას უხვად სარგებლობდა. ამ განმეულის შესანახად და მის დასაცავად სხვადასხვა ბერძნული კალაძები დედ-ლოში აგებდნენ საგანგებო ნაგებობებს, რომელთაც ძველ ბერძნულ ენაზე „საგანგებო“ ანუ საგანგებო ეწოდებოდათ. ერთ-ერთი მათგანი ეკუთვნოდა ნაგებობების არქეოლოგიური გათხრებისას დადგინდა, რომ სიციონელთა საგანგებო ნაგებობის ამოყვანილია უფრო ძველი (ძვ. წ. VI ს-ის მეორე ნახევრის) ნაგებობის ნანგრევებზე. ეს უკანასკნელიც საგანგებო როლს ასრულებდა (ზოგიერთი მკვლევარი მას სირაკუზელთა აშენებულად თვლის, სხვები კი — მეგარელებისად). ჩვენთვის კი ისაა საინტერესო, რომ არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩნდა რამდენიმე ფრაგმენტი ბარელიეფებისა, რომელნიც, არქეოლოგთა ერთი ნაწილის აზრით, სიციონელთა საგანგებო ამკობდნენ, ხოლო უმრავლესობა მიაკუთვნებს უფრო ძველ ნაგებობას (სირაკუზელებს თუ მეგარელებს რომ მიაწერდნენ). ამ ბარელიეფებს შორის ერთ-ერთზე, რომელიც ახლა დედფოს მუზეუმშია დაცული, გამოსახული არიან ფრიქსე, მისი და ჰელე, და ოქროსმატელიანი ვერძი. ბარელიეფი მიჩნეულია არქაული ხანის ბერძნული ხელოვნების ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშად და ასახავს იმ საწყის მომენტს, როდესაც მეოტიის მეფისწული ფრიქსე და მისი და ჰელე ოქროსსაწმისიანი ვერძით ვაჭარებენ კოლხეთისაკენ...

4. „ელისისტური“ პირობითი სახელწოდება ერთი დიდი ეპოქისა ხმელთაშუაზღვისპირეთისა და ძველი აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიაში, რომელიც მოიცავს პერიოდს ზოგადად ძვ. წ. IV ს-ის უკანასკნელი მეოთხედიდან ძვ. წ. I ს-ის 30-იან წლებამდე: ტრადიციული დათარიღებით ძვ. წ. 323 წლიდან (ალექსანდრე მაკედონელის გარდაცვალება) ძვ. წ. 31 წლამდე (ავგუსტუსის მიერ რომის იმპერიის შექმნა). ზოგიერთი ისტორიკოსი „ელისისტურ“ ხანას ალექსანდრე მაკედონელის გამეფებიდან (ძვ. წ. 336 წ.) იწყებს და ამთავრებს ძვ. წ. 30 წ. (რომის მიერ უკანასკნელი ელინისტური სახელმწიფოს — ეგვიპტის დაპყრობა).

5. დაწერ. იხ. „შესავალი“ აკაკი ურუშაძის წიგნში — აბოლონიოს როდოსელი, არგონავტიკა, თბილისი, 1970, გვ. 32—33.

